საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
Georgian Football Federation

2025

კლუბების დისციპლინარული დებულებები

საქართველოს ჩემპიონატის ეროვნულ დივიზიონში, ეროვნულ დივიზიონ 2-ში, დივიზიონ 3-ში, დივიზიონ 4-სა და ქალთა დივიზიონში მონაწილეობისთვის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

კლუბების ეროვნული ლიცენზირების

დებულებები

საქართველოს ჩემპიონატის ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში და ქალთა ეროვნულ ლიგაში მონაწილეობისთვის

2025 წ. გამოცემა

შინაარსი

პრეამბულა 5

თავი I. ზოგადი დებულებები 6

მუხლი 1. მოქმედების სფერო 6

მუხლი 2. მიზნები 7

მუხლი 3. ტერმინთა ჩამონათვალი 8

თავი II. ლიცენზიარი 18

მუხლი 4. ლიცენზიარის პასუხისმგებლობა 18

მუხლი 5. კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია (**ლმა**) 18

მუხლი 6. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები 20

მუხლი 7. სანქციების ჩამონათვალი 27

მუხლი 8. ძირითადი პროცესი 27

მუხლი 9. შეფასების პროცედურები 28

მუხლი 10. თანასწორი მიდგომა და კონფიდენციალობა 28

თავი III. ლიცენზიის მაძიებელი და უეფა-ს ლიცენზია 29

მუხლი 11. ლიცენზიის მაძიებლის განსაზღვრება და „სამი/ორი/ერთი სეზონის“ წესი 29

მუხლი 12. ლიცენზიის მაძიებლის ძირითადი პასუხისმგებლობები 30

მუხლი 13. **სფფ**-ის ეროვნული ლიცენზიები 30

მუხლი 14. ლიცენზიის მაძიებლის შეფასება სხვადასხვა ლიცენზიაზე 31

თავი IV. კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმები 33

მუხლი 15. ზოგადი ინფორმაცია / სავალდებულო („ა“), მეორადი/სანქცირებადი („ბ“) და რეკომენდაციის („გ“) თანრიგის კრიტერიუმები 33

სპორტული კრიტერიუმები 34

მუხლი 16. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების დამტკიცებული პროგრამა 34

მუხლი 17. ახალგაზრდული გუნდები 35

მუხლი 18. ქალთა ფეხბურთის საქმიანობა 36

მუხლი 19. ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება 36

მუხლი 20. ფეხბურთელების რეგისტრაცია/კლუბის გაწვრთნილი ფეხბურთელები 36

მუხლი 21. წერილობითი კონტრაქტი პროფესიონალ ფეხბურთელებთან 37

მუხლი 22. პროფესიონალი ფეხბურთელების იჯარა 37

მუხლი 23. მონაწილეობა სემინარებში 37

სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის კრიტერიუმები 38
მუხლი 24. სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის სტრატეგია 38
მუხლი 25. თანასწორობა და ჩართულობა 38
მუხლი 26. ანტირასიზმი 38
მუხლი 27. ბავშვთა და მოზარდთა დაცვა და მათზე ზრუნვა 38
მუხლი 28. ფეხბურთი ყველა შესაძლებლობისთვის 38
მუხლი 29. გარემოს დაცვა 38
მუხლი 30. სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის ოფიცერი 39
ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები 40
მუხლი 31. სტადიონი ეროვნული ჩემპიონატისთვის 40
მუხლი 32. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა 40
მუხლი 33. სავარჯიშო ობიექტები: არსებობა და მინიმალური ინფრასტრუქტურა 40
მუხლი 34. კლუბის ოფისი 41
საპადრო-ადმინისტრაციული კრიტერიუმები 42
მუხლი 35. კლუბის ადმინისტრაცია და საორგანიზაციო სქემა 42
მუხლი 36. დირექტორი — უფლებამოსილი პირი 43
მუხლი 37. ლიცენზირების მენეჯერი 44
მუხლი 38. ფინანსისტი 44
მუხლი 39. მედია-ოფიცერი 45
მუხლი 40. ექიმი 45
მუხლი 41. ფიზიოთერაპევტი 45
მუხლი 42. ახალგაზრდული გუნდების ექიმი 46
მუხლი 43. მატჩების ორგანიზების მენეჯერი 46
მუხლი 44. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ოფიცერი 46
მუხლი 45. გულშემატკივართან მეკავშირე 47
მუხლი 46. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებთან მეკავშირე 47
მუხლი 47. ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი 47
მუხლი 48. ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე 48
მუხლი 49. ძირითადი გუნდის მეკარეების მწვრთნელი 49
მუხლი 50. ძირითადი გუნდის ფიზიკური მომზადების (ფიზმომზადების) მწვრთნელი 49
მუხლი 51. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი 50
მუხლი 52. ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელები 50

მუხლი 53. ახალგაზრდული გუნდების მეკარეების მწვრთნელი 52

მუხლი 54. ზოგადი მოთხოვნები **უეფა**-ს სამწვრთნელო კვალიფიკაციებთან დაკავშირებით 52

მუხლი 54[1]. ზოგადი მოთხოვნები 35–53 მუხლებით გათვალისწინებული პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ზემდგომი ლიგის ლიცენზიისთვის 52

მუხლი 55. წერილობითი კონტრაქტები 53

მუხლი 56. მომსახურების მომწოდებლები 53

მუხლი 57. თანამდებობების დაკავება და ფუნქციების შესრულება 54

მუხლი 58. სეზონის განმავლობაში შეცვლის ვალდებულება 54

სამართლებრივი კრიტერიუმები 56

მუხლი 59. იურიდიული დეკლარაციები 56

მუხლი 60. მინიმალური სამართლებრივი ინფორმაცია 57

მუხლი 61. ლიცენზიის მაძებლის იდენტობა, ისტორია და მემკვიდრეობა 57

მუხლი 62. სამართლებრივი ჯგუფის სტრუქტურა 58

მუხლი 63. საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, საბოლოო ბენეფიციარი ან გადაწყვეტილებისუნარიანი გავლენის მქონე მხარე 59

მუხლი 64. წერილობითი დასტური სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღებამდე 60

ფინანსური კრიტერიუმები 62

მუხლი 65. ანგარიშვალდებული საწარმო და ანგარიშგების პერიმეტრი 62

მუხლი 66. ფინანსური ანგარიშგება 63

მუხლი 67. ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნება 65

მუხლი 68. წმინდა კაპიტალის წესები 65

მუხლი 69. ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა ფეხბურთის კლუბების მიმართ 66

მუხლი 70. ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა თანამშრომელთა მიმართ 67

მუხლი 71. ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა სოციალური/საგადასახადო ორგანოების მიმართ 70

მუხლი 72. ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა ფეხბურთის მმართველი ორგანოების მიმართ. 71

მუხლი 73. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია 71

თავი V. დასკვნითი დებულებები 73

მუხლი 74. დანართები 73

მუხლი 75. შესაბამისობის შემოწმებები და მონიტორინგის პროცესი 73

მუხლი 76. განხორციელების მოთხოვნები 74

მუხლი 77. მიღება, ანულირება, ცვლილებების შეტანა და ძალაში შესვლა 74

დანართები 75

დანართი I. სანქციების კატალოგი (მე-7 მუხლი) 75

დანართი II. ძირითადი პროცესი 82

დანართი III. ე.წ. „3/2/1 სეზონის წესთან“ (მუხ. 11) დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების პროცედურა 92

დანართი IV. აუდიტორის არჩევა და აუდიტორის მიერ ჩასატარებელი პროცედურები 96

დანართი V. ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენის მინიმალური მოთხოვნები 97

დანართი VI. ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის 110

დანართი VII. „ვადაგადაცილებული ვალდებულების“ ცნება.....121

დანართი VIII. ლიცენზიარისა და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩასატარებელი შეფასების პროცედურები.....123

დანართი IX. ლიცენზირების მოთხოვნები სათადარიგო გუნდებისთვის 128

პრეამბულა

სფფ–ის წესდების 71–ე მუხლის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი დებულებები:

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. *მოქმედების სფერო*

1. წინამდებარე დებულებები მოქმედებს **სფფ**–ის ეგიდით გასამართი საქართველოს ჩემპიონატის (შემდგომში: **სფფ**–ის ჩემპიონატი) **ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2–ში, ლიგა 3–ში** და **ლიგა 4–ში**, ასევე **ქალთა ეროვნულ ლიგაში** მონაწილეობისთვის (შემდგომში: [ლიცენზირებადი] ლიგები).

2. **სფფ**–ის მიერ გაცემული ეროვნული **პრო–**, **ა–**, **ბ–**, **საბაზისო**– და **ქალთა**– საკლუბო ლიცენზიები კლუბებს აძლევს **სფფ**–ის შესაბამის ლიგაში მონაწილეობის უფლებას, კერძოდ:

   ა) **პრო–** საკლუბო ლიცენზია — ნებისმიერ ლიცენზირებად **კაცთა ლიგაში**;

   ბ) **ა–** საკლუბო ლიცენზია — **ეროვნულ ლიგა 2–ში, ლიგა 3–ში** და **ლიგა 4–ში**;

   გ) **ბ–** საკლუბო ლიცენზია — **ლიგა 3–სა** და **ლიგა 4–ში**;

   დ) **საბაზისო** საკლუბო ლიცენზია — მხოლოდ **ლიგა 4–ში**;

   ე) **ქალთა** საკლუბო ლიცენზია — **ქალთა ლიგებში**.

   ამას გარდა, კლუბების სათადარიგო გუნდების ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის, მფლობელი კლუბების მიერ შესაბამისი ლიგის მოთხოვნების შესრულების გარდა, სათადარიგო გუნდი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს უშუალოდ გუნდისთვის განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია IX დანართში.

3. აქედან გამომდინარე, ეროვნული ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა სავალდებულოა **ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2–ის, ლიგა 3–ის, ლიგა 4–ისა** და **ქალთა ეროვნული ლიგის** ყველა კლუბისა თუ სათადარიგო გუნდისთვის, ასევე **ქალთა ლიგა 2–ის** ყველა კლუბისთვის/გუნდისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი, სალიცენზიო სეზონში იასპარეზონ **ქალთა ეროვნულ ლიგაში**. ხოლო **რეგიონული ლიგის** კლუბები გათავისუფლებულნი არიან ეროვნული ლიცენზირების პროცესისგან და, სპორტული შედეგებით **ლიგა 4–ში** დაწინაურების შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, განვითარების მიზნით, ლიცენზიის გარეშე დაიშვებიან აღნიშნულ ლიგაში.

4. **ლიგა 4–ის** ყველა კლუბმა თუ სათადარიგო გუნდმა, რომელსაც აქვს სურვილი, სალიცენზიო სეზონში იასპარეზოს ზემდგომ ლიგაში (**ლიგა 3**), ასევე **ქალთა ლიგა 2–ის** ყველა კლუბმა/გუნდმა, რომელსაც აქვს სურვილი, სალიცენზიო სეზონში იასპარეზოს **ქალთა ეროვნულ ლიგაში**, ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, **სფფ**–ის მიერ დადგენილი ფორმით, წერილობით უნდა დაადასტუროს საკუთარი სურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ლიგა 4–ის** კლუბი/გუნდი კარგავს **ლიგა 3–ის ბ–** საკლუბო

ლიცენზიის მაძიებლის უფლებას, ხოლო **ქალთა ლიგა 2-ის** კლუბი/გუნდი კარგავს **ქალთა** საკლუბო ლიცენზიის მაძიებლის უფლებას და ასეთი კლუბები, სპორტული შედეგის მიუხედავად, სალიცენზიო სეზონში ვერ იასპარეზებენ, შესაბამისად, **ლიგა 3-ში** და/ან **ქალთა ეროვნულ ლიგაში**. ასევე, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ ვადაში, მოთხოვნილი დადასტურების ან უარის არწარმოდგენისთვის, კლუბს შეიძლება დაუწესდეს დისციპლინური სანქცია.

5. ნებისმიერ ლიცენზირებად ლიგაში მოასპარეზე კლუბი, რომელიც ვერ მოიპოვებს სპორტული შედეგის შესაბამისი ლიგის ლიცენზიას, სალიცენზიო სეზონში დაქვეითდება რანგით მომდევნო ქვედა ლიგაში, რომლის ლიცენზიასაც ფლობს. ხოლო თუ კლუბი ვერ მიიღებს ვერცერთ ეროვნულ ლიცენზიას, სალიცენზიო სეზონში დაქვეითდება არალიცენზირებად ლიგაში (ასევე იხ. მუხ. 14 — ლიცენზიის მაძიებლების შეფასებები სხვადასხვა ლიცენზიაზე).

6. წინამდებარე დებულებები არეგულირებენ **სფფ**-ის ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის კლუბების ლიცენზირების სისტემაში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს და, კერძოდ, განსაზღვრავენ:

   ა) **სფფ**-ის მიერ შესასრულებელ მინიმალურ მოთხოვნებს, რათა მან იმოქმედოს, როგორც თავისი კლუბების ლიცენზიარმა ორგანომ; აგრეთვე, ლიცენზიარის მიერ კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმების შეფასების პროცედურებს (თავი II);

   ბ) ლიცენზიის მაძიებელს და **სფფ**-ის ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზიას (ეროვნული ლიცენზია) (თავი III);

   გ) მინიმალურ სპორტულ, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის, ინფრასტრუქტურულ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ფინანსურ კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა შეასრულონ ფეხბურთის კლუბებმა, რათა **სფფ**-ისგან მიიღონ შესაბამისი ეროვნული ლიცენზია, რაც შეადგენს **სფფ**-ის ლიცენზირებად ლიგებში დაშვების პროცედურის ნაწილს (თავი IV).

მუხლი 2. *მიზნები*

1. წინამდებარე დებულებების მიზანია:

   ა) ყველა საფეხბურთო ასპექტის სტანდარტის შემდგომი ხელშეწყობა და მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მასშტაბით; აგრეთვე, თითოეულ კლუბში ახალგაზრდა ფეხბურთელების ვარჯიშისა და მათზე ზრუნვის მუდმივი პრიორიტეტულობა;

   ბ) ფეხბურთში ჩართულობის წახალისება და ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა;

   გ) კლუბებში მართვისა და ორგანიზაციის სათანადო დონის უზრუნველყოფა;

   დ) კლუბის სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტაცია, ფეხბურთელთათვის, მაყურებლებისა და მას-მედიისთვის სათანადო, კარგად აღჭურვილი და უსაფრთხო სტადიონების უზრუნველსაყოფად;

   ე) სეზონის განმავლობაში ეროვნული ჩემპიონატის სამართლიანობის დაცვა და მათი შეუფერხებლად ჩატარება;

   ვ) თითოეული კლუბის იდენტობის, ისტორიისა და მემკვიდრეობის დაცვა;

   ზ) ლიცენზიარსა და კლუბებს შორის თანამშრომლობის წახალისება და ფეხბურთის

კლუბების სპორტულ, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის, ინფრასტრუქტურულ, საკადრო–ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ფინანსურ კრიტერიუმებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების განვითარება საქართველოს მაშტაბით;

თ) ფეხბურთში სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა;

ი) კლუბებსა და გულშემატკივარს შორის ჯანსაღი ურთიერთობების წახალისება და ხელმისაწვდომობის გაზრდა ფეხბურთში.

2. ამას გარდა, წინამდებარე დებულებები მიზნად ისახავს კლუბების ფინანსურ საქმიანობაში მეტი დისციპლინისა და რაციონალობის წახალისებას, კერძოდ:

ა) კლუბების ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება, მათი გამჭვირვალობისა და სანდოობის გაზრდით;
ბ) კრედიტორების დაცვისადმი სათანადო ყურადღების მიქცევა;
გ) კლუბების წახალისება, იფუნქციონერონ საკუთარ შემოსავლებზე დაყრდობით;
დ) პასუხისმგებლიანი ხარჯვის წახალისება, ფეხბურთის გრძელვადიანი სარგებლისთვის;
ე) ევროპული საკლუბო ფეხბურთის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის წახალისება.

მუხლი 3. *ტერმინთა ჩამონათვალი*

3. წინამდებარე დებულებებისთვის ტერმინები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ტერმინი	განმარტება
აგენტი/შუამავალი	ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ ან უსასყიდლოდ (უფასოდ) წარმოადგენს ფეხბურთელებს და/ან კლუბებს მოლაპარაკებებში, რომელთა მიზანია შრომითი ხელშეკრულების დადება, ან წარმოადგენს კლუბებს მოლაპარაკებებში, რომელთა მიზანია სატრანსფერო ხელშეკრულების გაფორმება.
ადმინისტრირების პროცედურა	ნებაყოფლობითი ან სავალდებულო პროცედურა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც საწარმოს ლიკვიდაციის ალტერნატივა _ ხშირად უწოდებენ ადმინისტრირების პროცედურების დაწყებას. ამგვარი საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის მართვა შეიძლება ხორციელდებოდეს ადმინისტრატორის მიერ, კრედიტორების სახელით.
ანგარიშვალდებული საწარმო/საწარმოები	რეგისტრირებული წევრი ან საწარმოთა ჯგუფი, და/ან საწარმოთა სხვა კომბინაცია, რომელიც შედის სააღრიცხვო პერიმეტრში და რომელმაც ლიცენზიარს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის.

ტერმინი	განმარტება
არბიტრაჟი	წინამდებარე დებულებაში ტერმინი არბიტრაჟი აღნიშნავს **სფფ**–ის წესდებით განსაზღვრულ დავების განმხილველ დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოს (მაგ., არბიტრაჟი, ტრიბუნალი ან სხვ.).
არსებითობა	საანგარიშგებო მუხლის ან ინფორმაციის გამოტოვება ან ცდომილება არსებითია, თუ ისინი ცალ–ცალკე ან ერთობლივად გავლენას ახდენენ კლუბის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ანგარიშგების მომხმარებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული მუხლისა და/ან ინფორმაციის ან ცდომილების სიდიდესა და ბუნებაზე, გარემო პირობების ან კონტექსტის გათვალისწინებით. განმსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა იყოს მუხლების ან ინფორმაციის სიდიდე, ან ბუნება, ან ორივე ერთად.
ასოცირებული საწარმო	საწარმო, მათ შორის არაკორპორაციული იურიდიული პირიც (მაგ. ამხანაგობა), რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია, არც ერთობლივი საწარმო და რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა.
აღრიცხვის ეროვნული პრაქტიკა	აღრიცხვისა და ანგარიშგების, აგრეთვე განმარტებითი შენიშვნების მომზადების მეთოდიკა, რომლის გამოყენებაც მოეთხოვებათ საწარმოებს საქართველოში.
დაკავშირებული მხარე	დაკავშირებული მხარე არის პირი ან ერთეული ან მთავრობა, რომელიც დაკავშირებულია ერთეულთან, რომელიც ამზადებს მის ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებულ საწარმოსთან). თითოეული პოტენციური დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ საწარმოსთან, თუ: i. ანგარიშვალდებული საწარმო მისი კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ იმყოფება; ii. მას გააჩნია მნიშვნელოვანი ან გადამწყვეტი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან iii. ის ანგარიშვალდებული საწარმოს ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავოს ძირითადი მმართველი პერსონალის წევრია. ბ) საწარმო დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ საწარმოსთან, თუ: i. საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო ერთი ჯგუფის

ტერმინი	განმარტება
	წევრი არიან (ე.ი. თითოეული სათავო და შვილობილი საწარმო ერთმანეთთან დაკავშირებულია).
	ii. საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო ერთი და იგივე მხარის კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი/გადამწყვეტი გავლენის ქვეშ იმყოფება.
	iii. ერთი საწარმო წარმოადგენს მეორე საწარმოს ასოცირებულ ან ერთობლივ საქმიანობას (ან იმ ჯგუფის წევრის ასოცირებულ ან ერთობლივ საქმიანობას, სადაც ასევე გაწევრიანებულია მეორე საწარმო).
	iv. ერთ საწარმოს აქვს მნიშვნელოვანი ან გადამწყვეტი გავლენა მეორე საწარმოზე.
	v. ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იგივე მესამე მხარის ერთობლივ საქმიანობას.
	vi. ერთი საწარმო წარმოადგენს მესამე მხარის ერთობლივ საქმიანობას, ხოლო მეორე საწარმო წარმოადგენს ამავე მესამე მხარის ასოცირებულ საქმიანობას.
	vii. საწარმო წარმოადგენს საპენსიო სისტემას, რომლითაც სარგებლობენ ანგარიშვალდებული საწარმოს თანამშრომლები, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული საწარმოს თანამშრომლები. თუკი ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ წარმოადგენს ამგვარ სისტემას, სპონსორი დამსაქმებლები ასევე დაკავშირებული არიან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან.
	viii. საწარმო იმყოფება ა) პუნქტით განსაზღვრული პირის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
	ix. (ა)(i) ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს აქვს მნიშვნელოვანი ან გადამწყვეტი გავლენა საწარმოზე, ან საწარმოს (ან საწარმოს სათავოს) ძირითადი მმართველი პერსონალის წევრია.
	x. საწარმო, ან იმ ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს, უწევს ძირითადი მმართველი პერსონალის მომსახურებას ანგარიშვალდებულ საწარმოს ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავოს.

ტერმინი	განმარტება
დამატებითი ინფორმაცია	ფინანსური ინფორმაცია, რომელიც, ფინანსური ანგარიშგების დამატებით წარედგინება ლიცენზიარს, თუკი ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციის გახსნის მინიმალური მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული. დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს მომზადებული ისეთ სააღრიცხვო მეთოდებზე და სააღრიცხვო პოლიტიკებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან. ფინანსური ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ ინფორმაციის წყაროებს. სადაც შესაძლებელია, დამატებით ინფორმაციაში მოცემული ახსნა–განმარტებითი შენიშვნები უნდა ედრებოდეს (ან დადარებულ იქნეს, ახსნადი სხვაობების შემთხვევაში) ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებით შენიშვნებს.
დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მოვლენა ან პირობა	ეკონომიკური მოვლენა ან პირობა, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს/საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მიიჩნევა არსებითად და რომლის გასულ საანგარიშგებო წელს არსებობა გამოიწვევდა ანგარიშვალდებული საწარმოს/საწარმოების საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და წმინდა აქტივების შესახებ ინფორმაციის სხვა (უფრო არასასურველი) სახით წარდგენას.
ერთობლივი კონტროლი	ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება ამა თუ იმ ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საქმიანობასთან დაკავშირებით სტრატეგიული ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილეების) ერთსულოვან თანხმობას.
ერთობლივი საქმიანობა	ორი ან რამდენიმე მონაწილე მხარის მიერ ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა ხელშეკრულების საფუძველზე.
ეროვნული ლიგა	საქართველოს ჩემპიონატის რანგით პირველი უმაღლესი ლიგა.
ეროვნული ლიგა 2	საქართველოს ჩემპიონატის რანგით მეორე უმაღლესი ლიგა.

ტერმინი	განმარტება
ეროვნული ლიცენზია	**სფფ**–ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს ყველა მინიმალურ კრიტერიუმს. ეროვნული ლიცენზიის გაცემა შეადგენს **სფფ**–ის ლიცენზირებად ლიგებში დაშვების პროცედურის ნაწილს.
– **[ეროვნული] პრო– [საკლუბო] ლიცენზია**	**სფფ**–ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს **სფფ**–ის **ეროვნულ ლიგასა** და ქვედა ლიგებში მონაწილეობისთვის სავალდებულო ყველა მინიმალურ კრიტერიუმს. [ეროვნული] **პრო–** [საკლუბო] ლიცენზიის გაცემა შეადგენს **სფფ**–ის **ეროვნულ ლიგებში** დაშვების პროცედურის ნაწილს.
– **[ეროვნული] ა– [საკლუბო] ლიცენზია**	**სფფ**–ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს **სფფ**–ის **ეროვნულ ლიგა 2–სა** და ქვედა ლიგებში მონაწილეობისთვის სავალდებულო ყველა მინიმალურ კრიტერიუმს. [ეროვნული] **ა–** [საკლუბო] ლიცენზიის გაცემა შეადგენს **სფფ**–ის ეროვნულ **ლიგა 2–ში** დაშვების პროცედურის ნაწილს.
– **[ეროვნული] ბ– [საკლუბო] ლიცენზია**	**სფფ**–ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს **სფფ**–ის **ლიგა 3–ში** მონაწილეობისთვის სავალდებულო ყველა მინიმალურ კრიტერიუმს. [ეროვნული] **ბ–** [საკლუბო] ლიცენზიის გაცემა შეადგენს **სფფ**–ის **ლიგა 3–ში** დაშვების პროცედურის ნაწილს.
– **[ეროვნული] საბაზისო [საკლუბო] ლიცენზია**	**სფფ**–ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს **სფფ**–ის **ლიგა 4–ში** მონაწილეობისთვის სავალდებულო ყველა მინიმალურ კრიტერიუმს. [ეროვნული] **საბაზისო** [საკლუბო] ლიცენზიის გაცემა შეადგენს **სფფ**–ის **ლიგა 4–ში** დაშვების პროცედურის ნაწილს.
– **[ეროვნული] ქალთა [საკლუბო] ლიცენზია**	**სფფ**–ის მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს **სფფ**–ის რანგით უმაღლეს **ქალთა ეროვნულ ლიგაში** მონაწილეობისთვის სავალდებულო ყველა მინიმალურ კრიტერიუმს. [ეროვნული] **ქალთა** [საკლუბო] ლიცენზიის გაცემა შეადგენს **სფფ**–ის **ქალთა ეროვნულ ლიგაში** დაშვების პროცედურის ნაწილს.

ტერმინი	განმარტება
იმიჯის გამოყენების უფლების გადასახადი	ლიცენზიის მაძიებელთან/ლიცენზირებულთან დადებული ხელშეკრულების თანახმად თანამშრომლებისთვის (პირდაპირ ან არაპირდაპირ) მათი იმიჯის ან რეპუტაციის საფეხბურთო და/ან არასაფეხბურთო საქმიანობაში გამოყენების უფლების მოსაპოვებლად გადასახდელი თანხები.
კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმები	ექვს კატეგორიად დაყოფილი მოთხოვნები (სპორტული, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის, ინფრასტრუქტურული, საკადრო–ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური), რომლებიც უნდა შეასრულოს ლიცენზიის მაძიებელმა, რათა მიიღოს შესაბამისი ეროვნული ლიცენზია.
კონტროლი	საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება, მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით. კონტროლის მოპოვება შესაძლებელია აქციების (საწარმოს წილის) ფლობით, წესდების ან ხელშეკრულების მეშვეობით.
კრედიტორებისგან დაცვა	კანონმდებლობის ან დებულებების შესაბამისი პროცედურები, რომელთა მიზანია საწარმოს კრედიტორებისგან დაცვა, გადახდისუუნარო (გაკოტრებული/ბანკროტი) საწარმოების გადარჩენა და მათთვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით საქმიანობის გაგრძელების საშუალების მიცემა. ეს პროცესი მოიცავს ადმინისტრირების პროცედურებს და სხვა სამართლებრივ/სასამართლო პროცედურებს (რის შედეგადაც შეიძლება მიღწეულ იქნეს კომპრომისი კრედიტორებთან, საწარმო გამოცხადდეს გაკოტრებულად ან მოხდეს საწარმოს ლიკვიდაცია).
ლიგა 3	საქართველოს ჩემპიონატის რანგით მესამე ლიგა.
ლიგა 4	საქართველოს ჩემპიონატის რანგით მეოთხე ლიგა.
ლიცენზიარი	ორგანო, რომელიც ახორციელებს კლუბების ლიცენზირებას **სფფ**–ის ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის და გასცემს შესაბამის ეროვნულ ლიცენზიას. ლიცენზიარი არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (**სფფ**).
ლიცენზიარისთვის დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადა	თარიღი, რომლისთვისაც ყოველი ლიცენზიარი მოითხოვს ლიცენზიის მაძიებლებისგან შესაბამის ეროვნულ სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის წარდგენას.

ტერმინი	განმარტება
ლიცენზირებული [კლუბი]	ლიცენზიის მაძიებელი, რომელზეც ლიცენზიარმა უკვე გასცა შესაბამისი ეროვნული ლიცენზია.
ლიცენზიის მაძიებელი	იურიდიული პირი, რომელიც მხოლოდ თვითონ არის სრულად პასუხისმგებელი ეროვნულ და საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილე ფეხბურთის გუნდზე, რომელიც წარადგენს განაცხადს შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის მიღებაზე.
მთავრობა	გულისხმობს ნებისმიერი ფორმის ხელისუფლებას (მთავრობას), მათ შორის, სახელმწიფო სააგენტოებს, განყოფილებებს და დეპარტამენტებს, უწყებებსა და სხვა ანალოგიურ ორგანოებს, როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე.
მინიმალური კრიტერიუმები	ლიცენზიის მაძიებლის მიერ შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის მისაღებად შესასრულებელი კრიტერიუმები.
მნიშვნელოვანი გავლენა	საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკების შემუშავებაზე/მიღებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა/უნარი, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკების მართვის უფლებას (კონტროლს). მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება შესაძლებელია აქციების (საწარმოს წილის) ფლობით, წესდების ან ხელშეკრულების მეშვეობით. გაუგებრობის ასაცილებლად მიიჩნევა, რომ მხარეს ან რამდენიმე მხარეს ერთად, რომლებსაც ერთი და იგივე საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ჰყავთ (**უეფა**–ს, **სფფ**–ის და აფილირებული **ლიგის** (თუ არსებობს) გარდა) გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა, თუ ის/ისინი ანგარიშგების პერიმეტრში წარმოადგენენ საანგარიშგებო პერიოდში ლიზცენზიატის მთლიანი ამონაგების 30%–ის ან მეტის წყაროს.
მნიშვნელოვანი მმართველი პერსონალი	პიროვნებები, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლი–სათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, მათ შორის, საწარმოს ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი)
მნიშვნელოვანი ცვლილება	მოვლენა, რომელიც ითვლება არსებითად ლიცენზიარისთვის ადრე წარდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებაში და ამგვარი მოვლენის სალიცენზიო დოკუმენტაციის ლიცენზიარისთვის წარდგენამდე არსებობის შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა ამ დოკუმენტაციის სხვაგვარად მომზადება და წარდგენა.

ტერმინი	განმარტება
მონაწილე მხარეები	კლუბების ლიცენზირების სისტემაში ჩართული ნებისმიერი მხარე (ფიზიკური და/ან იურიდიული), **სფფ**–ის, ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის და მათი სახელით მონაწილე ნებისმიერი ფიზიკური პირის ჩათვლით.
მხარე	ფიზიკური ან იურიდიული პირი.
ოფიციალური საანგარიშგებო დღე	ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის (საანგარიშგებო) თარიღი. ეროვნული ლიცენზირების მიზნებისთვის ოფიციალური საანგარიშგებო დღეა 31 აგვისტო.
პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია	**სფფ**–ის საკლუბო შეჯიბრებების დაწყების წლის შემდგომ დასრულებული საანგარიშგებო პერიოდების ინფორმაცია კლუბის ფინანსური საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ (საანგარიშგებო პერიოდები T+1 და შემდგომ).
საანგარიშგებო პერიოდი	ფინანსური ანგარიშგების პერიოდი, რომელიც მთავრდება ოფიციალურ საანგარიშგებო დღეს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სრული წელი.
სალიცენზიო გადაწყვეტილებების სია	სია, რომელსაც ლიცენზიარი აწვდის **სფფ**–ის უმაღლეს ხელმძღვანელობას და რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს ინფორმაციას ლიცენზიის იმ მაძიებელთა შესახებ, რომლებმაც გაიარეს ეროვნული ლიცენზირების პროცესი და გადაწყვეტილების მიმღები ეროვნული ორგანოებისგან მიიღეს ან ვერ მიიღეს შესაბამისი ეროვნული ლიცენზია.
სალიცენზიო სეზონი	**სფფ**–ის სეზონი, რომელზეც ლიცენზიის მაძიებელმა გააკეთა განაცხადი/მიიღო შესაბამისი ეროვნული ლიცენზია. იგი იწყება ლიცენზიარის მიერ ეროვნული სალიცენზიო გადაწყვეტილებების საბოლოო ვადის გასვლის შემდეგი დღიდან და გრძელდება მომავალი წლის ანალოგიურ საბოლოო ვადამდე.
სათადარიგო გუნდი	ლიცენზირებად ლიგაში მონაწილე კლუბის მეორე (არაძირითადი) გუნდი, რომელსაც სრულად ფლობს აღნიშნული ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული ფეხბურთის კლუბი (ან რომელიც სრულად შედის აღნიშნული ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული კლუბის სტრუქტურაში).

ტერმინი	განმარტება
საწვრთნელი ობიექტები	ადგილ(ებ)ი, სადაც კლუბის რეგისტრირებული ფეხბურთელები რეგულარულად გადიან წვრთნას და/ან ხორციელდება ახალგაზრდული განვითარების პროგრამა.
სტადიონი	შეჯიბრის მატჩის ჩატარების ადგილი, მათ შორის ყველა მიმდებარე შენობა–ნაგებობები და ინფრასტრუქტურა (მაგ., ოფისები, სტუმართა მისაღები ზონები, პრეს–ცენტრი, აკრედიტაციის ცენტრი).
ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის დანახარჯები	ფეხბურთელის რეგისტრაციის მოსაპოვებლად გადახდილი და/ან გადასახდელი თანხები, კლუბში შიდა განვითარებისათვის გაწეული და/ან სხვა დანახარჯების გამოკლებით, რომლებიც მოიცავს: ● სატრანსფერო გადასახადს და პირობით სატრანსფერო თანხებს, მათ შორის წვრთნის კომპენსაციისა და სოლიდარობის გადასახადს, რომელიც გადახდილი და/ან გადასახდელია სხვა ფეხბურთის კლუბისთვის და/ან მესამე მხარისთვის ფეხბურთელის რეგისტრაციის ტრანსფერის უზრუნველსაყოფად; ● აგენტების/შუამავლების საკომისიო გადასახადს; და ● ფეხბურთელის რეგისტრაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარჯებს, მაგ., სატრანსფერო გადასახადის მოსაკრებელს.
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს/IFRS)	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც მოიცავს: ● ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს; ● ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს; და ● ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის (IFRIC) ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ გამოცემულ ინტერპრეტაციებს.
ქალთა ეროვნული ლიგა	**სფფ**–ის მიერ ორგანიზებული რანგით უმაღლესი ლიგა, ქალთა ჩემპიონატის ჩასატარებლად.
ქალთა ლიგა 2	**სფფ**–ის მიერ ორგანიზებული რანგით მეორე ლიგა, ქალთა ჩემპიონატის ჩასატარებლად.

ტერმინი	განმარტება
შეთანხმებული პროცედურები	შეთანხმებული პროცედურების გარიგების მიხედვით აუდიტორს ევალება აუდიტის პროცედურების ბუნების მქონე პროცედურების ჩატარება, რომელზეც შეთანხმდნენ აუდიტორი, საწარმო და რომელიმე მესამე მხარე და ფაქტობრივი შედეგების შესახებ ანგარიშის მომზადება. აღნიშნული ანგარიშის მიმღებმა თვითონ უნდა გამოიტანოს საკუთარი დასკვნები აუდიტორის მიერ შედგენილი ანგარიშის საფუძველზე. შეთანხმებული პროცედურების ჩატარების შედეგად მომზადებული აუდიტორის ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ იმ მხარეებისთვის, რომლებიც შეთანხმდნენ მოცემული პროცედურების ჩატარებაზე, რადგან მათ, ვინც არ იცის ამ პროცედურების მიზანი, შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ შედეგებს.
წმინდა ვალი	შემდეგი ნაშთების ჯამი: ● წმინდა ნასესხები სახსრები (ბანკის წმინდა ოვერდაფტები, ბანკის და სხვა სესხები, დავალიანება ჯგუფის ერთეულებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეთა წინაშე, ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტების გამოკლებით); ● ფეხბურთელების ტრანსფერების წმინდა ნაშთი (ე.ი. ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისა და ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების სხვაობა); ● სოციალური/საგადასახადო ორგანოებისადმი გადასახდელი თანხები (გრძელვადიანი).
ჯგუფი	სათავო და მისი ყველა შვილობილი. სათავო არის საწარმო, რომელსაც გააჩნია ერთი ან მეტი შვილობილი. შვილობილი არის საწარმო, მათ შორის არაკორპორაციული იურიდიული პირიც (მაგ. კოოპერატივი), რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო (მოიხსენება, როგორც სათავო საწარმო).

თავი II. ლიცენზიარი

მუხლი 4. *ლიცენზიარის პასუხისმგებლობა*

1. ლიცენზიარი არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (**სფფ**) და ის მართავს ლიცენზირების სისტემას **სფფ**–ის ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის.

2. ლიცენზიარი, კერძოდ:
   ა) აყალიბებს კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სათანადო ადმინისტრაციას, მე–5 მუხლის შესაბამისად;
   ბ) აყალიბებს გადაწყვეტილების მიმღებ ორ ორგანოს, მე–6 მუხლის შესაბამისად;
   გ) ადგენს სანქციების ჩამონათვალს, მე–7 მუხლის შესაბამისად;
   დ) განსაზღვრავს ძირითად პროცესს, მე–8 მუხლის შესაბამისად;
   ე) ამოწმებს ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, განიხილავს მათ შესაბამისობას და განსაზღვრავს შეფასების პროცედურებს, მე–9 მუხლის შესაბამისად;
   ვ) უზრუნველყოფს თანასწორ მიდგომას ლიცენზიის ყველა მაძიებლისადმი და, მოთხოვნის შემთხვევაში, აძლევს მათ სრული კონფიდენციალობის გარანტიას ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი წარმოადგენს ლიცენზირების პროცესის დროს, მე–10 მუხლის შესაბამისად;
   ზ) საკუთარი კომფორტული დამაჯერებლობისთვის განსაზღვრავს, შესრულდა თუ არა ყველა კრიტერიუმი და რა დოკუმენტაციაა საჭირო, რათა გაიცეს შესაბამისი ეროვნული ლიცენზია.

მუხლი 5. *კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია (ლმა)*

1. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია (**ლმა**) შედგება კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის განყოფილებისა და ექსპერტთა პანელისგან. **სფფ**–ის სტრუქტურით განსაზღვრული **სფფ**–ის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელი პასუხისმგებელია საქართველოში კლუბების ლიცენზირების სისტემის განხორციელებაზე. **ლმა** ფუნქციონირებს **სფფ**–ის შტაბ–ბინის ცალკე გამოყოფილ ოფისში, წინამდებარე დებულებების შესაბამისად.

2. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის განყოფილება შედგება, მინიმუმ, შემდეგი პერსონალისგან:

   - განყოფილების უფროსი, რომელიც მოქმედებს ლიცენზირების მენეჯერად (ლმ), როგორც ეს განსაზღვრულია **უეფა**–ს კლუბების ლიცენზირების ხარისხის სტანდარტში;
   - ლიცენზირების მენეჯერის თანაშემწე.

   სფფ–ის ძირითადი ფინანსური ექსპერტი (იხ. მე–3 პუნქტი, ქვემოთ) ეხმარება ლიცენზირების მენეჯერს კლუბების ლიცენზირების ფინანსურ საკითხებში, ხოლო ძირითადი სამართლებრივი ექსპერტი (იხ. მე–3 პუქტი, ქვემოთ) — იურიდიულ საკითხებში

(იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები, სამართლებრივი პროცესები/პროცედურები და ა.შ.).

3. ექსპერტთა პანელი შედგება **სფფ**–ის კომპეტენტური თანამშრომლების ან მოწვეული კვალიფიციური კადრებისგან — მინიმუმ, ერთი ექსპერტი თითოეულ კრიტერიუმში (სპორტული, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის, ინფრასტრუქტურული, საკადრო–ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ფინანსური). ექსპერტები პასუხისმგებელნი არიან ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი სალიცენზიო და მონიტორინგის დოკუმენტაციის სისრულისა და შინაარსის შემოწმებაზე, ასევე ლიცენზირებისა და მონიტორინგის განყოფილების სხვადასხვა დავალების შესრულებაზე. სამართლებრივ ექსპერტ(ებ)ს უნდა გააჩნდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებული იურისტის დიპლომი, ხოლო ფინანსურ ექსპერტ(ებ)ს — საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და/ან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ აღიარებული დიპლომი/სერტიფიკატი საბუღალტრო/სააუდიტო საქმეში.

4. **ლმა**–ის წევრები ინიშნებიან **სფფ**–ის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. ლიცენზირებისა და მონიტორინგის განყოფილების წევრები შეიძლება დაინიშნონ ექსპერტებად. ამას გარდა, **სფფ** ნიშნავს ექსპერტების შემცვლელებს, რომლებიც ასრულებენ ექსპერტის ფუნქციებს, მათი არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, სწავლა, ავადმყოფობა და ა.შ.).

5. **ლმა**–ის ფუნქციებია:

   ა) **სფფ**–ის ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის კლუბების ლიცენზირების სისტემის მომზადება, განხორციელება და შემდგომი განვითარება;

   ბ) გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ადმინისტრაციული მხარდაჭერა;

   გ) ლიცენზიის მაძიებლების/ლიცენზირებულების დახმარება, რჩევების მიცემა და მათი საქმიანობის მონიტორინგი სეზონის განმავლობაში;

   დ) **სფფ**–ის უმაღლესი ხელმძღვანელობის ინფორმირება ყველა მოვლენაზე, რომელსაც ადგილი ექნება სალიცენზიო გადაწყვეტილებების შემდეგ და არსებითია ლიცენზიარისთვის მანამდე წარდგენილ ინფორმაციასთან მიმართებით, მათ შორის, ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის, ჯგუფის იურიდიული სტრუქტურის (მფლობელის შეცვლის ჩათვლით) ან იდენტობის ცვლილების შესახებ;

   ე) **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიასთან დაკავშირებით სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღება, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე დებულებების მე–6 მუხლში (აღნიშნული არ გულისხმობს სანქციების დაწესების უფლებამოსილებას, რაც რჩება **სფფ**–ის იურიდიული ორგანოების კომპეტენციაში).

6. **ლმა**–ის წევრებმა უნდა დაიცვან **სფფ**–ის ეთიკის კოდექსი.

მუხლი 6. *გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები*

1. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებია კლუბების ლიცენზირების კომიტეტი (**ლკ**), რომელიც მოქმედებს როგორც პირველი ინსტანციის ორგანო და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო (**ლაო**), რომლებიც უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. ასევე, **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიის გაცემის/უარის შესახებ პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილების უფლებამოსილება დელეგირებულია **ლმა**-ისთვის.

2. კლუბების ლიცენზირების კომიტეტი და/ან აქ და ქვემოთ, **ლკ**-ის ნაცვლად - **ლმა**, უფლებამოსილების ფარგლებში (იხ. მუხ. 5, ასევე ამავე მუხლის 2.ე) პუნქტი ქვემოთ), ლიცენზიარის მიერ დადგენილ საბოლოო ვადებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას:

   ა) ლიცენზიის მაძიებლისთვის შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის გაცემის თაობაზე;

   ბ) ლიცენზირებულისთვის შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ (**ლმა**-ს არ გააჩნია აღნიშნული კომპეტენცია);

   გ) ადგენენ 15.2 პუნქტში მითითებული სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის ფაქტს და დამრღვევ ლიცენზიის მაძებელ/ლიცენზირებულ კლუბებს უწესებს სანქციებს, წინამდებარე დებულებების I დანართის შესაბამისად (**ლმა**-ს არ გააჩნია აღნიშნული კომპეტენცია);

   დ) კლუბების ლიცენზირების და/ან კლუბების მონიტორინგის პროცესში საქმის/ინფორმაციის შესწავლის და/ან **ლმა**-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ადგენს წინამდებარე დებულებების სხვა მოთხოვნების, ასევე დისციპლინური დარღვევის (მაგ., კლუბების ლიცენზირების და/ან მონიტორინგის გრაფიკების ვადების დარღვევა, **ლმა**-ის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის არწარმოდგენა ან არასათანადოდ/არასრულად წარმოდგენა, და სხვ., როგორც ამას დაადგენს თავად **ლკ** ან **ლმა**) ფაქტებს და დამრღვევ ლიცენზიის მაძებელ/ლიცენზირებულ კლუბებს უწესებს სანქციებს, წინამდებარე დებულებების I დანართში განსაზღვრული დისციპლინური კატალოგის შესაბამისად;

   ე) ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიის მიზნებისთვის შემოტანილ სალიცენზიო განაცხადებთან დაკავშირებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების პირველი ინსტანციის დონეზე მიღების ფუნქციები დელეგირებულია **ლმა**-ისთვის და ლიცენზია გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც **ლმა**-ის ექსპერტთა პანელი დაადასტურებს კონკრეტული ლიცენზიის მაძიებლის მიერ **საბაზისო** ლიცენზიის მისაღებად სავალდებულო მოთხოვნების სრულად შესრულებას. სანქციების დაწესება არ წარმოადგენს **ლმა**-ის კომპეტენციას და რჩება **სფფ**-ის იურიდიული ორგანოების (**ლკ** და/ან **ლაო**) კომპეტენციაში.

3. კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო იღებს გადაწყვეტილებებს წერილობით შემოტანილ საჩივრებზე და გამოაქვს **სფფ**-ის საბოლოო გადაწყვეტილება:

   ა) ლიცენზიის მაძიებლისთვის შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის გაცემის თაობაზე;

   ბ) ლიცენზირებულისთვის შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ;

გ) 15.2 პუნქტში მითითებული სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის შესახებ და დამრღვევ ლიცენზიის მაძებელ/ლიცენზირებულ კლუბებს უწესებს სანქციებს, წინამდებარე დებულებების I დანართის შესაბამისად;

დ) კლუბების ლიცენზირების და/ან კლუბების მონიტორინგის პროცესში საქმის/ინფორმაციის შესწავლის და/ან **ლკ**-ის/**ლმა**-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ადგენს წინამდებარე დებულებების სხვა მოთხოვნების, ასევე დისციპლინური დარღვევის (მაგ., კლუბების ლიცენზირების და/ან მონიტორინგის გრაფიკების ვადების დარღვევა, **ლმა**-ის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის არწარმოდგენა ან არასათანადოდ/არასრულად წარმოდგენა, და სხვ., როგორც ამას დაადგენს თავად **ლაო** ან **ლმა**) ფაქტებს და დამრღვევ ლიცენზიის მაძებელ/ლიცენზირებულ კლუბებს უწესებს სანქციებს, წინამდებარე დებულებების I დანართში განსაზღვრული დისციპლინურ კატალოგის შესაბამისად.

4. გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ:

ა) ლიცენზიის მაძიებელს, რომელსაც **ლკ**-მა და/ან **ლმა**-მ და/ან **ლაო**-მ უარი უთხრა შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის გაცემაზე; ან/და

ბ) ლიცენზირებულს, რომელსაც **ლკ**-მა და/ან **ლაო**-მ ჩამოართვა შესაბამისი ეროვნული ლიცენზია; ან/და

გ) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს, რომელსაც **ლკ**-მა და/ან **ლმა**-მ და/ან **ლაო**-მ დაუდგინა წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა; ან/და

დ) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს, რომელსაც **ლკ**-მა და/ან **ლაო**-მ დაუწესა სანქცია; ან/და

ე) ლიცენზიარს, ლიცენზირების მენეჯერის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილება მინიჭებული პირის სახით.

ლკ-ის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხოლოდ **ლაო**-ში, ამ ორგანოებისთვის პირდაპირი მიმართვის გზით. **ლაო** და/ან **ლკ** აფასებს საჩივარს და ადგენს მის სამართლიანობას შინაარსსა და ფორმასთან მიმართებაში, ქვემოთ, 6.8.ნ) პუნქტის შესაბამისად.

5. **ლაო** და/ან **ლკ** გადაწყვეტილებას იღებს **ლკ**-ის და/ან **ლმა**-ის გადაწყვეტილების და ყველა იმ დასაშვები დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე (იხ. ქვემოთ, 6.8.ი) პუნქტი – *საჭირო მტკიცებულებები*), რომელსაც აპელანტი წარმოადგენს წერილობით საჩივართან ერთად, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ საბოლოო ვადაში.

აკრძალულია აპელაციის განხილვა განმეორებითი მოსმენით. **ლაო** და/ან **ლკ** უფლებამოსილია შეაფასოს მხოლოდ **ლკ**-ის დ/ან **ლმა**-ის გადაწყვეტილება, რომელიც ამ უკანასკნელმა მიიღო იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენილ იქნა ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ საბოლოო ვადებში.

6. **ლკ** შედგება შვიდი წევრისგან: თავმჯდომარე, მოადგილე და ხუთი წევრი, ხოლო **ლაო** შედგება ხუთი წევრისგან: თავმჯდომარე, მოადგილე და სამი წევრი. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრები ინიშნებიან **სფფ**-ის აღმასრულებელი კომიტეტის (აღმასკომის) მიერ ორი სალიცენზიო ციკლის ვადით და ისინი/მათ ამასთან:

ა) საკუთარი მოვალეობების შესრულებისას უნდა მოქმედებდნენ სამართლიანად,

მიუკერძოებლად;

ბ) ყველა შემთხვევაში უნდა შეიკავონ თავი ხმის მიცემისგან, თუკი არსებობს რაიმე ეჭვი მათ დამოუკიდებლობაზე ლიცენზიის მაძიებლის მიმართ ან თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრის დამოუკიდებლობა არ შეიძლება იყოს გარანტირებული იმ შემთხვევაში, თუ იგი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი (მეუღლე, შვილ(ებ)ი, მშობლები ან და–ძმა) არის ლიცენზიის მაძიებლის წევრი, აქციათა მფლობელი, ბიზნეს პარტნიორი, სპონსორი ან კონსულტანტი. ეს ჩამონათვალი საილუსტრაციოა და არაა ამომწურავი;

გ) არ შეიძლება იყოს იმავდროულად ლიცენზირების მენეჯერი ან ლიცენზირების ადმინისტრაციის წევრი;

დ) არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ **სფფ**–ის წესდებით განსაზღვრული იურიდიული ან სხვა ორგანოს წევრები.

ე) არ შეიძლება იყოს იმავდროულად **სფფ**–ის აღმასრულებელი ორგანოს ან მისი აფილირებული ლიგის წევრი (თუკი ეს უკანასკნელი არსებობს).

ვ) არ შეიძლება იყოს იმავდროულად აფილირებული კლუბის ხელმძღვანელობის წევრი და/ან თანამშრომელი.

ზ) წევრთა შორის უნდა იყოს, მინიმუმ, თითო კვალიფიციური იურისტი, რომელიც უნდა ფლობდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან იუსტიციის სამინისტროს მიერ აღიარებულ იურისტის დიპლომს, და თითო კვალიფიციური ფინანსისტი, რომელიც უნდა ფლობდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და/ან საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და/ან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ აღიარებულ დიპლომს საბუღალტრო/სააუდიტო საქმეში.

თ) დაიცვან **სფფ**–ის ეთიკის კოდექსი.

7. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების კვორუმი შეადგენს შესაბამისი ორგანოს წევრთა რაოდენობის 50%+1–ს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

8. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უნდა მოქმედებდნენ შემდეგი პროცედურული წესების შესაბამისად:

<u>ა) საბოლოო ვადები</u>

საბოლოო ვადები ლიცენზირების მთლიანი პროცესისთვის განისაზღვრება **ლმა**–ის მიერ შემუშავებულ ცალკე გრაფიკში და სალიცენზიო სეზონის წინა წლის ივლისის ბოლომდე, სალიცენზიო დოკუმენტაციის პაკეტთან ერთად, გადაეცემა ყველა დაინტერესებულ მხარეს (ლიცენზიის მაძიებლები, ექსპერტები, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები და სხვ.).

<u>ბ) ფუნდამენტური პროცედურული უფლებების გარანტია</u>

მხარეებისთვის გარანტირებულია ფუნდამენტური საპროცედურო უფლებები, განსაკუთრებით, თანასწორად მოპყრობისა და მოსმენის უფლება (აზრის გამოთქმის, საქმესთან დაკავშირებული კონსულტაციის, მტკიცებულებათა წარმოდგენის, მტკიცებულებათა წარმოდგენაში მონაწილეობის და მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებების ჩათვლით და ეს ჩამონათვალი არაა

ამომწურავი).

გ) წარმომადგენლობა

ყოველი ლიცენზიის მაძიებლისთვის/ლიცენზირებულისთვის აუცილებელია კლუბების ლიცენზირების კომიტეტისა და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს სხდომებზე მიავლინოს უფლებამოსილი პირი და/ან ლიცენზირების მენეჯერი და/ან სხვა უფლებამოსილება მინიჭებული პირი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს პირადობის და უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები.

ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის ზემოაღნიშნული წარმომადგენლის დაუსწრებლობა ითვლება დისციპლინურ დარღვევად. ასეთ შემთხვევაში ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება კლუბის დაუსწრებლად.

დ) ლიცენზიის მაძიებლების / ლიცენზირებულის უფლება, იქნენ მოსმენილნი

ლიცენზიის ყველა მაძიებელს აქვს უფლება, იქნეს მოსმენილი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა, თავდაპირველად, უნდა დაადგინონ პიროვნებების ვინაობა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, წარმოადგინონ ლიცენზიის მაძიებელი და შემდეგ მიმართონ მათ, თქვან სიმართლე. ამ პიროვნებებს უნდა ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ, შესაძლოა, გატარდეს დისციპლინური სანქციები, ცრუ ინფორმაციის მიცემის შემთხვევაში.

თუ **გმო** განიხილავს უკვე დადგენილ დარღვევაზე დისციპლინური სანქციის დაწესების საკითხს, **გმო** უფლებამოსილია საკითხი განიხილოს ლიცენზიის მაძიებლის / ლიცენზირებულის დაუსწრებლად.

ე) ოფიციალური ენა

ლიცენზირების მიზნებისთვის ოფოციალურ ენას წარმოადგენს — ქართული. **უეფა**-ს ფორმებში (ნაბეჭდი თუ ელექტრონული) ინფორმაციის შეყვანა ხდება **უეფა**-ს მიერ მითითებულ ენაზე.

ვ) საბოლოო ვადა მოთხოვნის წარსადგენად

საბოლოო ვადის ათვლა იწყება მხარის მიერ გადაწყვეტილების ოფიციალურად მიღების მომდევნო დღიდან. შაბათი, კვირა და საქართველოში ოფიციალური უქმეები ითვლება დაანგარიშებაში.

ელექტრონული მედიით გაგზავნილი შეტყობინებები (ე.ი. ელფოსტა, ექსტრანეტი და ა.შ.) ითვლება ადრესატამდე მისულად მისი გაგზავნის/გამოქვეყნებისთანავე, როგორც ეს აისახება ლიცენზიარის ჩანაწერებში. წინამდებარე დებულებების თანახმად, ლიცენზიის მაძიებელმა/ლიცენზირებულმა უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის გამართული სისტემა და ლიცენზიარი არ იღებს პასუხისმგებლობას ადრესატის მიერ ელექტრონული გზავნილის გახსნის დაყოვნებაზე/არწაკითხვაზე თუ ადრესატის მხარეს სხვა სახის ტექნიკურ პრობლემებზე.

საბოლოო ვადა იწურება ბოლო დღის შუაღამეს, თუ სხვაგვარად არ მეეთითება შეტყობინებაში. თუ ბოლო ვადა ემთხვევა შაბათს, კვირას ან საქართველოში

ოფიციალურ უქმეებს, ბოლო ვადა ამოიწურება პირველივე მომდევნო სამუშაო დღეს.

ზ) გასაჩივრების ვადები

ლაო-ში გასაჩივრების ვადა შეადგენს 2 დღეს სადავო გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების მომდევნო დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს **ლმა**-ის მიერ აპელაციებისთვის დადგენილი საბოლოო ვადისა.

საჩივარი, რომელსაც საფუძვლად უდევს მართლმსაჯულების პრინციპის დარღვევა ან გაუმართლებელი ვადაგადაცილება, შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ დროს.

თ) აპელაციის შედეგი

აპელაცია არ იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას.

ი) საჭირო მტკიცებულებები

ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა ლიცენზიის მაძიებელს/ლიცნზირებულს შესაძლოა მოთხოვონ მათ ხელთ არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი წერილობითი მტკიცებულების წარმოდგენა.

ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს აქვს უფლება, ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს მიმართოს შუამდგომლობით მტკიცებულების წარდგენის შესახებ.

ლაო და/ან **ლკ** არ მიიღებს/განიხილავს დოკუმენტაციას/ინფორმაციას, რისი წარმოდგენის ვალდებულებაც ლიცენზიის მაძიებელს ჰქონდა სავალდებულო მინიმალური დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის გრაფიკით დადგენილ საბოლოო ვადებში და დამატებითი მტკიცებულებები (თუკი არსებობს) უნდა შეეხებოდეს/ადასტურებდეს ლიცენზირების დებულებებით და გრაფიკით დადგენილ ვადებში მოთხოვნების შესრულებას და არა ხარვეზის გამოსწორებას გრაფიკით დადგენილი ვადის შემდგომ.

ახალი მტკიცებულებები არ გაითვალისწინება, თუ ისინი ეხება სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მოწესრიგების საბოლოო ვადის და/ან ხარვეზების გამოსასწორებლად დადგენილი გახანგრძლივებული ვადის შემდგომ (თუ ლიცენზიის მაძიებელმა ისარგებლა **ლკ**-ის მეორე განხილვის უფლებით) პერიოდში განხორციელებულ მოქმედებებს.

ლაო-ში დასაშვებია მხოლოდ იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლითაც აპელანტი ასაბუთებს საკუთარ პრეტენზიას, გასაჩივრების საფუძველთან დაკავშირებით, მათ შორის – ლიცენზირების დებულებებით და გრაფიკით დადგენილ ვადებში მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის **ლკ**-სთვის და/ან **ლმა**-ში წარდგენის ფაქტს (6.8.მ, იხ. ქვემოთ), აგრეთვე – ლიცენზირების დებულებებით და გრაფიკით დადგენილ ვადებში მოთხოვნების შესრულების ფაქტს ან ობიექტურად (მათ შორის ტექნიკური მიზეზებით) შეუძლებლობის ფაქტს.

ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, კანონიერი საფუძველის გათვალისწინებით, აქვს უფლება არ მიიღოს ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის შუამდგომლობა მტკიცებულების წარმოდგენაზე.

კ) მტკიცების ვალდებულება

ლიცენზიის მაძიებელს ეკისრება მტკიცების ტვირთი.

ლ) გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა უნდა გამოსცენ წერილობითი გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნული იქნება:

- ადგილი, სადაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება;
- თარიღი, როდესაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება;
- გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრთა ვინაობა;
- მხარეების და მათი წარმომადგენლების ვინაობა;
- მხარეთა განცხადებები;
- გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზები;
- გადაწყვეტილება, ხარჯების განაწილების ჩათვლით;
- შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერები;
- გასაჩივრების უფლების მითითება, თუკი შესაძლებელია (ფორმა, ორგანო, გასაჩივრების საბოლოო ვადა).

გადაწყვეტილება მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელი, ლიცენზირებული, **ლმა**) უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ, **სფფ**–ში აღიარებული ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით (საფოსტო გზავნილი, ფაქსი, ელფოსტა, ექსტრანეტი და სხვ.), გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

მ) გასაჩივრების საფუძველი

კლუბების ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (**გმო**) გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძველი შეიძლება იყოს:

- **გმო**–მ არ მისცა საშუალება აპელანტს, ობიექტურად გადმოეცა საქმის ვითარება;
- **გმო**–ს გადაწყვეტილება არღვევს მართლმსაჯულების პრინციპებს ან **გმო**–მ ჩაიდინა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე დებულებებს;
- **გმო**–მ მიიღო საქმის ვითარებით გაუმაგრებელი გადაწყვეტილება.

ნ) საჩივრის შინაარსი და ფორმა

საჩივარი უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობით და ხელმოწერილი იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

აპელაციის განაცხადში მოცემული უნდა იყოს:

- ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- აპელანტის წარმომადგენელი: უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (არაა აუცილებელი უფლებამოსილი პირისა და ლიცენზირების მენეჯერისთვის);

- გადაწყვეტილება, რომელიც საჩივრება;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ან აბსოლუტური გაუქმების საფუძველი;
- განცხადება-მოთხოვნა;
- აპელაციის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში: მოთხოვნილი დოკუმენტაცია;
- საჭიროების შემთხვევაში: შუამდგომლობა მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ, მასში მითითებულ მტკიცებულებებთან ერთად.

ო) განხილვა/მოსმენა

განხილვები უნდა მოხდეს ფარულად. იგი შეიცავს იმ წევრების ვინაობის დასახელებას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გადაწყვეტილების გამოტანაში და რომელთა უშუალო მონაწილეობითაც შედგა კვორუმი.

თუ საქმე არ მოითხოვს მტკიცებულებათა წარმოდგენას, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ფაილის დარიგების შემდეგ, იმ პირობით, თუ მისი არც ერთი წევრი არ მოითხოვს მოსმენას.

პ) პროცედურის ხარჯები/ადმინისტრაციული გადასახადი/დეპოზიტი

(i) სალიცენზიო გადასახადი შეადგენს:
- 2'500 ლარს — **ეროვნული ლიგის** კლუბებისთვის;
- 1'500 ლარს — **ეროვნული ლიგა** 2-ის კლუბებისთვის/გუნდებისთვის;
- 1'000 ლარს — **ლიგა 3-ის** კლუბებისთვის/გუნდებისთვის;
- 500 ლარს — **ლიგა 4-ის** კლუბებისთვის/გუნდებისთვის;
- 500 ლარს — **ქალთა ეროვნული ლიგის** კლუბებისთვის/გუნდებისთვის;
- 200 ლარს — **ქალთა ლიგა 2-ის** კლუბებისთვის/გუნდებისთვის.

სალიცენზიო გადასახადის დადგენილ საბოლოო ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ლიცენზირების კომიტეტი არ განიხილავს სალიცენზიო განაცხადს აღნიშნულ ლიცენზიაზე, რაზედაც როგორც **გმო**-ებმა, ისე **ლმა**-მ შეიძლება მიიღოს სალიცენზიო განაცხადის განხილვის შეწყვეტის გადაწყვეტილება, რაც ნიშნავს ავტომატურ უარს შესაბამის ეროვნულ ლიცენზიაზე.

(ii) აპელაციის გადასახადი ეროვნული ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის შეადგენს შესაბამისი სალიცენზიო გადასახადის 50%-ის ეკვივალენტს, თითოეულ გასაჩივრებულ კრიტერიუმზე (**სფფ** გათავისუფლებულია ამ გადასახადებისგან).

(iii) აპელაციის გადასახადი 15.2 პუნქტში მითითებული მეორადი/სანქცირებადი (ე.წ. „ბ") თანრიგის კრიტერიუმების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის შეადგენს შესაბამისი სალიცენზიო გადასახადის 10%-ის ეკვივალენტს, თითოეულ გასაჩივრებულ კრიტერიუმზე (**სფფ** გათავისუფლებულია ამ გადასახადებისგან).

(iv) აპელაციის გადასახადი წინამდებარე დებულებების/ლიცენზირების პროცესის/დისციპლინური დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის შეადგენს შესაბამისი სალიცენზიო გადასახადის 20%-ის

ეკვივალენტს, თითოეულ გასაჩივრებულ დარღვევაზე (**სფფ** გათავისუფლებულია ამ გადასახადებისგან).

აპელაციის გადასახადის დადგენილ ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, **ლაო** არ განიხილავს შესაბამის საჩივარს, რაზედაც **გმო**-ებმა შეიძლება მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აპელაციის თანხა უბრუნდება აპელანტს სრულად ან ნაწილობრივ, სააპელაციო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც მას დაუკმაყოფილდება, რაზედაც **ლაო** იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 7. *სანქციების ჩამონათვალი*

1. **სფფ**-მ შეადგინა სანქციების ჩამონათვალი ეროვნული ლიცენზირების სისტემისთვის 15.2 პუნქტში მითითებული სანქცირებადი/„ბ“ თანრიგის კრიტერიუმების შეუსრულებლობისა და დებულებების სხვა მოთხოვნების, ასევე დისციპლინური დარღვევებისთვის (იხ. I დანართი).

2. ლიცენზიის მაძიებლისთვის/ლიცენზირებულისთვის I დანართი-ში მითითებული სანქციების კატალოგით განსაზღვრული სანქციის დაწესება წარმოადგენს **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების (როგორც განსაზღვრულია მე-6 მუხლში) ექსკლუზიურ უფლებას.

მუხლი 8. *ძირითადი პროცესი*

1. ყოველი სალიცენზიო სეზონის დასაწყისში ლიცენზიარი განსაზღვრავს ძირითად პროცესს კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმების შესამოწმებლად და ამგვარად მართავს შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის გაცემას (იხ. II დანართი).

2. ძირითადი პროცესი იწყება და მთავრდება ლიცენზიარის მიერ ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ დღეს.

3. საკვანძო პროცედურული ბიჯების საბოლოო ვადები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ლიცენზიარის მიერ და სალიცენზიო სეზონის ძირითადი პროცესის დაწყებამდე მიეწოდოს დაინტერესებულ კლუბებს.

4. ძირითადი პროცესის საბოლოო ვადები უნდა აძლევდეს აპელანტს საშუალებას, საბოლოო ინსტანციაში მიმართოს **სფფ**-ის წესდებით განსაზღვრულ არბიტრაჟს. ასევე ამ ვადებით არბიტრაჟს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოსატანად, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ საბოლოო ვადამდე. კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ზემოაღნიშნულ არბიტრაჟში, მისთვის პირდაპირი მიმართვის გზით და საჩივართან დაკავშირებით მოქმედებს იგივე წესები და პრინციპები, რაც **ლაო**-ში აპელაციის შემთხვევაში (იხ. მუხ. 6.8) არბიტრაჟში გასაჩივრების ვადა შეადგენს 3 კალენდარულ დღეს და იგი აითვლება **ლაო**-ს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

მუხლი 9. *შეფასების პროცედურები*

შეფასების პროცედურები განსაზღვრულია **სფფ**–ის მიერ, თვითშემოწმების საკონტროლო სიასა და პროცედურებში, რაც წარმოადგენს სალიცენზიო პაკეტის ნაწილს, რომელიც გადაეცემა ლიცენზიის მაძიებლებს სალიცენზიო ციკლის დასაწყისში. თუმცა, დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმების მეთოდები, რისთვისაც საჭიროა სპეციფიკური პროცესების დაცვა, ჩამოყალიბებულია VIII დანართში.

მუხლი 10. *თანასწორი მიდგომა და კონფიდენციალობა*

1. ძირითადი პროცესის განხორციელებისას ლიცენზიარი უზრუნველყოფს თანასწორ მიდგომას ლიცენზიის ყველა მაძიებლისადმი.

2. ლიცენზიის მაძიებლის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ლიცენზიარი აძლევს ლიცენზიის მაძიებლებს სრული კონფიდენციალობის გარანტიას ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი წარმოადგენს ლიცენზირების პროცესის დროს, **სფფ**–ის მიერ დადგენილი კონფიდენციალობაზე შეთანხმების ფორმით. ასეთ შემთხვევაში, ყველამ, ვინც ჩართულია ლიცენზირების პროცესში ან დანიშნულია ლიცენზიარის მიერ, საკუთარი მოვალეობების აღებამდე ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას კონფიდენციალობაზე.

3. თუ ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ ვადაში ლიცენზიის მაძებელი არ წარმოადგენს **სფფ**–სა და კლუბის მიერ ორმხრივად ხელმოწერილ შეთანხმებას კონფიდენციალობაზე (**სფფ**–ის მიერ დადგენილი ფორმით), ლიცენზიარი თავისუფლდება ზემოთ მე–2 პუნქტში განსაზღვრული კონფიდენციალობის ვალდებულებისგან.

თავი III. ლიცენზიის მაძიებელი და უეფა-ს ლიცენზია

მუხლი 11. *ლიცენზიის მაძიებლის განსაზღვრება და „სამი/ორი/ერთი სეზონის“ წესი*

1. ლიცენზიის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფეხბურთის კლუბი, რომელიც არის იურიდიული პირი და მხოლოდ თვითონ არის სრულად პასუხისმგებელი ეროვნულ და საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილე კაცთა/ქალთა ფეხბურთის ძირითად გუნდზე და არის **სფფ**-ის, ან მისი წევრი **რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის (რფფ)**, ან **ლიგის**, ან **სფფ**-ის წევრი სხვა **ასოციაციის** რეგისტრირებული წევრი (შემდგომში – „რეგისტრირებული წევრი“).

2. სალიცენზიო სეზონის დასაწყისისთვის, რეგისტრირებული წევრობა უნდა გრძელდებოდეს, სულ ცოტა, ზედიზედ ბოლო 3 სეზონის მანძილზე – **პრო-** საკლუბო ლიცენზიისთვის, 2 სეზონის მანძილზე – **ა-** საკლუბო ლიცენზიისთვის, 1 სეზონის მანძილზე – **ბ-** და **ქალთა** საკლუბო ლიცენზიებისთვის. ამას გარდა, ამავე პერიოდში ლიცენზიის მაძიებელი კლუბის ძირითად /ან სათადარიგო/ან ქალთა გუნდს, რომლის ლიცენზიაც განიხილება, მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ოფიციალურ ეროვნულ შეჯიბრებებში (ქვემოთ: „3/2/1 სეზონის წესი“).

3. ამ პერიოდში ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში ან ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება (მაგ. სხვა ერთეულთან შერწყმა, ან საფეხბურთო საქმიანობის ტრანსფერი სხვა ერთეულისთვის), ან ნებისმიერი ცვლილება ლიცენზიის მაძიებლის იდენტობაში (მაგ., სათავო ოფისი, სახელწოდება, გერბი ან კლუბის ფერები, საშინაო არენა) დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიარს, ლიცენზირების პროცესის დაწყებამდე.

4. სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე 3/2/1 (ლიცენზიის შესაბამისად) სეზონის განმავლობაში ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში ან ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება (მაგ. სხვა ერთეულთან შერწყმა ან საფეხბურთო საქმიანობის ტრანსფერი სხვა ერთეულისთვის), ან ნებისმიერი ცვლილება ლიცენზიის მაძიებლის იდენტობაში (მაგ., სათავო ოფისი, სახელწოდება, გერბი ან კლუბის ფერები), შეჯიბრების სამართლიანი პრინციპის საზიანოდ, ან კლუბის ისტორიის და მემკვიდრეობის საზიანოდ, რათა გაიადვილოს სპორტული მიღწევებით კვალიფიკაცია ან ლიცენზიის მიღება ლიცენზიის მაძებლის მიერ, ჩაითვლება წინამდებარე მოთხოვნებით განსაზღვრული წევრობის წყვეტად.

5. **სფფ**-ის აღმასრულებელმა ორგანომ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი აღნიშნულ „3/2/1 სეზონის წესთან“ დაკავშირებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფეხბურთის განვითარების პოლიტიკის შესაბამისად. გამონაკლისის დაშვების პოლიტიკის პრინციპები და პროცესის დეტალები მოცემულია III დანართში – „**სფფ**-ის კლუბების ეროვნული ლიცენზირების დებულებების მუხ. 11 – ე.წ. „სამი/ორი/ერთი სეზონის წესთან“ დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების პროცედურა“.

მუხლი 12. *ლიცენზიის მაძიებლის ძირითადი პასუხისმგებლობები*

1. ლიცენზიის მაძიებლები სრულად და ერთპიროვნულად არიან პასუხისმგებლები წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე. ისინი შეიძლება არ ეთანხმებოდნენ **სფფ**–ის ლიცენზირების ექსპერტების მოსაზრებებს/რეკომენდაციებს და საკუთარი პოზიციები უნდა დაიცვან ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, რომლებიც სალიცენზიო გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობენ მხოლოდ წინამდებარე დებულებებით.

2. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ ვადებში ლიცენზიარს წარუდგინოს:

   ა) სალიცენზიო ვალდებულებების სრულად შესრულების დამადასტურებელი ყველა საჭირო ინფორმაცია და/ან შესაბამისი დოკუმენტაცია; და
   ბ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც აქტუალურია ლიცენზიარის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

3. ეს მოიცავს ინფორმაციას ანგარიშვალდებული საწარმო/საწარმოების შესახებ, რომლის მიმართაც მოითხოვება სპორტული, ფეხბურთის სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის, ინფრასტრუქტურული, საკადრო–ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა.

4. ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც ადგილი ექნება სალიცენზიო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ და რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას უკვე წარმოდგენილ ინფორმაციაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიარს წერილობით (მათ შორის, ლიცენზიის მაძიებლის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის, ჯგუფის იურიდიული სტრუქტურის (მფლობელის ჩათვლით) ან იდენტობის ცვლილება).

5. ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული ვალდებულია სალიცენზიო დოკუმენტაცია ლიცენზიარს წარუდგინოს მხოლოდ **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების ექსტრანეტის საშუალებით. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ექსტრანეტის ტექნიკურ გაუმართაობას და ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული ლიცენზიარს უთანხმდება დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენის ალტერნატიულ მეთოდზე.

მუხლი 13. *სფფ–ის ეროვნული ლიცენზიები*

1. კლუბებმა, რომლებიც სპორტული შედეგით მოიპოვებენ **სფფ**–ის ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობის უფლებას, უნდა მიიღონ **სფფ**–ის მიერ წინამდებარე დებულებების შესაბამისად გაცემული შესაბამისი ლიგის საკლუბო ლიცენზია. კერძოდ:

   - **ეროვნულ ლიგაში** მონაწილეობისთვის – **პრო–** საკლუბო ლიცენზია
   - **ეროვნულ ლიგა 2–ში** მონაწილეობისთვის – **ა–** საკლუბო ლიცენზია
   - **ლიგა 3–ში** მონაწილეობისთვის – **ბ–** საკლუბო ლიცენზია
   - **ლიგა 4–ში** მონაწილეობისთვის – **საბაზისო** საკლუბო ლიცენზია
   - **ქალთა ეროვნულ ლიგაში** მონაწილეობისთვის – **ქალთა** საკლუბო

2. ეროვნულ ლიცენზიებს ვადა გასდით ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე იმ სეზონის ბოლოს, რომელზეც გაიცა.

3. ეროვნული ლიცენზიების გადაცემა არ შეიძლება.

4. სეზონის განმავლობაში შესაძლებელია ლიცენზიის ჩამორთმევა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ, თუ:

   ა) აღარ კმაყოფილდება შესაბამისი ეროვნული ლიცენზიის გაცემის რომელიმე პირობა; ან
   ბ) ლიცენზირებული არღვევს წინამდებარე დებულებებით განსაზღვრულ რომელიმე ვალდებულებას.

5. როგორც კი დადგება ეროვნული ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი, **ლმა**-მ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ **სფფ**-ის უმაღელს ხელმძღვანელობას.

მუხლი 14. *ლიცენზიის მაძიებლის შეფასება სხვადასხვა ლიცენზიაზე*

1. საქართველოს ჩემპიონატის **ეროვნულ ლიგაში** და **ეროვნულ ლიგა 2-ში** მონაწილე ყველა კლუბი და სათადარიგო გუნდი შეფასდება:

   ა) ეროვნულ **პრო-** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ეროვნულ ლიგაში** მონაწილეობისთვის;
   ბ) ეროვნულ **ა-** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ეროვნულ ლიგა 2-ში** მონაწილეობისთვის; და
   გ) ეროვნულ **ბ-** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ლიგა 3-ში** მონაწილეობისთვის.
   დ) ეროვნულ **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ლიგა 4-ში** მონაწილეობისთვის.

2. საქართველოს ჩემპიონატის **ლიგა 3-ში** მონაწილე ყველა კლუბი და სათადარიგო გუნდი შეფასდება:

   ა) ეროვნულ **ა-** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ეროვნულ ლიგა 2-ში** მონაწილეობისთვის; და
   ბ) ეროვნულ **ბ-** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ლიგა 3-ში** მონაწილეობისთვის.
   გ) ეროვნულ **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ლიგა 4-ში** მონაწილეობისთვის.

3. საქართველოს ჩემპიონატის **ლიგა 4-ში** მონაწილე ყველა კლუბი და სათადარიგო გუნდი შეფასდება ეროვნულ **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიაზე, რაც სავალდებულოა **ლიგა 4-ში** მონაწილეობისთვის. ასევე, **ლიგა 4-ში** მონაწილე ყველა კლუბი და სათადარიგო გუნდი, რომელსაც აქვს სურვილი, სალიცენზიო სეზონში იასპარეზოს ზემდგომ ლიგაში (**ლიგა 3**), და რაც ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში ამის შესახებ დაადასტურა **სფფ**-ის მიერ დადგენილი წერილობითი ფორმით, შეფასდება ეროვნულ **ბ-** საკლუბო ლიცენზიაზეც, რაც სავალდებულოა **ლიგა 3-ში** მონაწილეობისთვის. **ლიგა**

4-ის კლუბი თუ სათადარიგო გუნდი, რომელიც ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში **სფფ**-ის მიერ დადგენილი წერილობითი ფორმით არ დაადასტურებს ეროვნული **ბ-** საკლუბო ლიცენზიის მაძიებლობას, სპორტული შედეგის მიუხედავად, ვერ იასპარეზებს ზემდგომ ლიგაში (**ლიგა** 3).

4. საქართველოს ჩემპიონატის **ქალთა ეროვნულ ლიგაში** მონაწილე ყველა კლუბი/გუნდი და ასევე **ქალთა ლიგა 2-ის** კლუბი/გუნდი, რომელსაც აქვს სურვილი, სალიცენზიო სეზონში იასპარეზოს **ქალთა ეროვნულ ლიგაში** და ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში დაადასტურებს ამის შესახებ **სფფ**-ის მიერ დადგენილი ფორმით, შეფასდება ეროვნულ **ქალთა** საკლუბო ლიცენზიაზე. **ქალთა ლიგა 2-ის** კლუბი თუ სათადარიგო გუნდი, რომელიც ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში **სფფ**-ის მიერ დადგენილი წერილობითი ფორმით არ დაადასტურებს **ქალთა** საკლუბო ლიცენზიის მაძიებლობას, სპორტული შედეგის მიუხედავად, ვერ იასპარეზებს **ქალთა ეროვნულ ლიგაში**.

თავი IV. კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმები

მუხლი 15. *ზოგადი ინფორმაცია / სავალდებულო („ა“), მეორადი/სანქცირებადი („ბ“) და რეკომენდაციის („გ“) თანრიგის კრიტერიუმები*

1. **სავალდებულო** („ა“) თანრიგის კრიტერიუმები: კლუბებმა უნდა შეასრულონ ამ თავში განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი, ქვემოთ 15.2 და 15.3 პუნქტში მითითებული კრიტერიუმების გარდა, რათა მიიღონ ეროვნული ლიცენზია **სფფ**-ის შესაბამის ლიგაში მონაწილეობისთვის.

2. **მეორადი/სანქცირებადი** („ბ“) თანრიგის კრიტერიუმები კაცთა და ქალთა საკლუბო ლიცენზიებისთვის: ამ პუნქტში აღნიშნულ მუხლებში განსაზღვრული კრიტერიუმების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს უარს შესაბამის ეროვნულ ლიცენზიაზე, თუმცა მოჰყვება წინამდებარე დებულებებით დადგენილი სანქციები (იხ. მე-7 მუხლი და I დანართი):

   2.1. **პრო-** საკლუბო ლიცენზიისთვის: 17.2, 18, 20.2, 22, 23, 25, 26, 28, 29, 33.2, 33.5, 35.3, 36.2, 37.2, 38.3, 43, 46, 49, 50, 55.1.ბ), 55.2, 56, 57, 58, 68;

   2.2. **ა-** საკლუბო ლიცენზიისთვის: 17.2, 18, 20.2, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 33.2, 33.5, 35.3, 35.4, 36.2, 37.2, 38.3, 43, 45, 49, 50, 55.1.ბ), 55.2, 56, 57, 58, 62.2, 64, 68;

   2.3. **ბ-** საკლუბო ლიცენზიისთვის: 16, 17.1, 17.3, 23.1, 27, 28, 30, 33, 34, 35.1.გ, 35.3, 35.4, 38.3, 39, 42, 45, 49, 50, 51, 52, 55.1.ბ), 55.2, 56, 57, 58, 59.2, 61, 62.2, 63, 64, 65, 67.ა, 71, 73;

   2.4. **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის: 16, 17.1, 23.1, 28, 30, 32, 33, 37, 38, 39, 48, 52, 55.1.ბ), 55.2, 57, 58, 62.2, 63, 64, 65, 67.ა, 71, 72, დანართები: V.E, V.F, V.G;

   2.5. **ქალთა** საკლუბო ლიცენზიისთვის: 16, 17.1, 23.1, 24, 25, 27, 28, 30, 32, 33, 34, 35.1, 37, 38, 39, 44, 48, 52, 55.1.ბ), 55.2, 58, 61, 62.2, 63, 64, 65, 67.ა, 71, 72.

3. **რეკომენდაციის** („გ“) თანრიგის კრიტერიუმები კაცთა და ქალთა საკლუბო ლიცენზიებისთვის: ქვემოთ მუხლებში განსაზღვრული კრიტერიუმების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს უარს ან რაიმე ტიპის სანქციას შესაბამის ეროვნულ ლიცენზიაზე, ვინაიდან, ისინი წარმოადგენენ რეკომენდაციის ტიპის მოთხოვნებს აღნიშნული ლიცენზიისთვის:

   3.1. **პრო-** საკლუბო ლიცენზიისთვის: 53;

   3.2. **ა-** საკლუბო ლიცენზიისთვის: 29, 46, 53;

   3.3. **ბ-** საკლუბო ლიცენზიისთვის: 17.2, 18, 20.2, 22, 23.2, 23.3, 24, 25, 26, 29, 36.2, 37.2, 38.3, 43, 45.2, 46, 53, 57.6, 67.ბ, 68;

   3.4. **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის: 17.2-3, 18, 20.2, 22, 24, 25, 26, 27, 29, 33.2, 34, 35.1.გ, 35.4, 36.2, 37.2, 38.3, 42, 43, 45, 46, 49, 50, 51, 57.6, 59.2, 68,

73;

3.5. **ქალთა** საკლუბო ლიცენზიისთვის: 17.3, 22, 23.3, 26, 29, 33.2, 35.4, 36.2, 37.2, 38.3, 44, 45, 49, 50, 51, 57, 59.2.

4. წინამდებარე IV თავის მუხლების/პუნქტების მოქმედების სფერო: ქვემოთ 16–73 მუხლებში განსაზღვრული კრიტერიუმები ეხება როგორც კაცთა, ისე ქალთა კლუბებს/გუნდებს, თუ სხვაგვარად არ მიეთითება კონკრეტულ მუხლში/პუნქტში. ასევე, ქალთა კლუბების მიმართ დადგენილი მოთხოვნები თანაბრად შეეხება კაცთა კლუბების ქალთა გუნდებსაც.

სპორტული კრიტერიუმები

მუხლი 16. *ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების დამტკიცებული პროგრამა*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა გააჩნდეს ლიცენზიარის მიერ დამტკიცებული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამა წერილობითი სახით.

2. ლიცენზიარმა რეგულარულად უნდა შეამოწმოს დამტიკცებული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება და შეაფასოს მისი ხარისხი.

3. ეს პროგრამა, მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების მიზნები და ფილოსოფია;
ბ) ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ორგანიზება (საორგანიზაციო სქემა: მასში ჩართული ორგანოები, კავშირი ლიცენზიის მაძიებელთან, ახალგაზრდული გუნდები და ა.შ);
გ) პერსონალი (ტექნიკური, სამედიცინო, ადმინისტრაციული და ა.შ.) და საჭირო მინიმალური კვალიფიკაციები;
დ) ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ინფრასტრუქტურა (მატჩების ჩასატარებელი და სავარჯიშო სპორტული ნაგებობები, ხელმისაწვდომობა, და ა.შ.);
ე) ფინანსური რესურსები (არსებული ბიუჯეტი, ლიცენზიის მაძიებლის, ფეხბურთელების ან ადგილობრივი საზოგადოების შენატანები და ა.შ.) **სფფ**–ის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (იხ. ქვემოთ, VI დანართი, G ქვეთავი);
ვ) საფეხბურთო განათლების პროგრამა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის (სათამაშო ოსტატობა, ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება);
ზ) სასწავლო პროექტები (თამაშის წესები, ანტიდოპინგის, სპორტული სამართლიანობის, ანტირასიზმის შესახებ);
თ) ახალგაზრდა ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება (მათ შორის, სამედიცინო ჩანაწერების წარმოება);
ი) შეფასებისა და გამოხმაურების მიღების პროცედურა, დასახული მიზნების მიღწევის შესაფასებლად;
კ) პროგრამის ხანგრძლივობა (მინიმუმ — 3 და მაქსიმუმ — 7 წელი);
ლ) მხოლოდ ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის ზემოთ, ა)–კ) პუნქტებზე დამატებით ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამა უნდა მოიცავდეს ქალთა

ფეხბურთის განვითარებას.

4. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს აქვს სავალდებულო სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და

ბ) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ არც ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს არ ეშლება ხელი, გააგრძელოს თავისი არასაფეხბურთო სწავლება.

მუხლი 17. *ახალგაზრდული გუნდები*

1. ლიცენზიის მაძიებელს საკუთარ იურიდიულ სტრუქტურაში, ანგარიშგების პერიმეტრში მყოფი საწარმოს სტრუქტურაში ან საკუთარ იურიდიულ სტრუქტურაში აფილირებული სხვა იურიდიული პირის კლუბის სტრუქტურაში (იხ. მე-4 პუნქტი, ქვემოთ) უნდა ჰყავდეს მინიმუმ შემდეგი ახალგაზრდული გუნდები:

<u>კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის:</u>

ა) 10-დან 21-წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში (ე.ი. U11-U21) — ჭაბუკთა სულ ცოტა:

- <u>ოთხი</u> გუნდი - ეროვნული **პრო-** და **ა-** საკლუბო ლიცენზიებისთვის;
- <u>სამი</u> გუნდი - ეროვნული **ბ-** და **საბაზისო**- საკლუბო ლიცენზიისთვის;

ბ) ეროვნული **პრო-** და **ა-** საკლუბო ლიცენზიებისთვის: 10-წლამდე (ე.ი. U10) ასაკის ბავშვთა სულ ცოტა <u>ერთი</u> გუნდი ან ამ ასაკობრივი კატეგორიისთვის ორგანიზებულ ფეხბურთში ჩართულობა.

გამონაკლისის სახით, ზედა ლიგის ლიცენზიის მაძიებელი კლუბებისთვის 17.1 ა)-ბ) კრიტერიუმთან დაკავშირებით, მოითხოვება მიმდინარე ლიგის ლიცენზიისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

<u>ქალთა კლუბების ლიცენზირებისთვის:</u>

გ) 12-დან 21-წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში (ე.ი. U13-U21) — გოგონათა სულ ცოტა <u>ერთი</u> გუნდი.

2. ამას გარდა, ახალგაზრდული ფეხბურთის სწორი სტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით, ლიცენზიის მაძიებელს მოეთხოვება ჰყავდეს, მინიმუმ, შემდეგი გუნდები: 10-წლამდე (U10), 11-წლამდე (U11), 12-წლამდე (U12), 13-წლამდე (U13), 14-წლამდე (U14), 15-წლამდე (U15), 17-წლამდე (U17), 19-წლამდე (U19). ***[ეს მე-2 პუნქტი არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]***

3. ყველა ზემოაღნიშნული გუნდი, 10-წლამდე ასაკის ბავშვთა გუნდის გარდა, ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე უნდა იღებდეს მონაწილეობას **სფფ**-ის მიერ აღიარებულ ოფიციალურ შეჯიბრებებში ან პროგრამებში.

4. სპორტული და საშეჯიბრო სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, კლუბს/გუნდს მიენიჭება აფილირებულის სტატუსი, თუ ლიცენზიის მაძიებელი აფინანსებს და უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას ამ კლუბს/გუნდს და ეს ხარჯები სათანადოდ აღირიცხება

ლიცენზიის მაძიებლის ანგარიშგების პერიმეტრში. ამასთან, სპორტული და შეჯიბრებების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, ფილიალი კლუბი/გუნდი უნდა წარმოადგენდეს იმავე ქალაქს/რეგიონს, რომელსაც წარმოადგენს ლიცენზიის მაძიებელი.

მუხლი 18. *ქალთა ფეხბურთის საქმიანობა*

*[მუხლი 18 არ განიხილება ***ქალთა*** კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]*

ლიცენზიის მაძიებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქალთა ფეხბურთს ისეთი ზომების მიღებითა თუ საქმიანობის განხორციელებით, რაც მიზნად ისახავს ქალთა ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, პროფისიონალიზაციასა და პოპულარიზაციას, რაც შეიძლება იყოს:

ა) ძირითადი (ქალთა) და/ან ახალგაზრდული (გოგონათა) გუნდის მონაწილეობა ოფიციალურ შეჯიბრებებში;

ბ) აფილირებული ფეხბურთის კლუბის/გუნდის მხარდაჭერა; ან

გ) ქალთა ფეხბურთის სხვა საქმიანობის განხორციელება, როგორც განსაზღვრავს **სფფ**.

მუხლი 19. *ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომლითაც უზრუნველყოფს მის ძირითად გუნდში[1] თამაშის უფლების მქონე ყველა ფეხბურთელის მიერ ყოველწლიური სამედიცინო შემოწმების გავლას. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს დადასტურება **სფფ**-ის უფლებამოსილი ორგანოდან (მაგ., საშეჯიბრო განყოფილება), რომ მის ძირითად გუნდში თამაშის უფლების მქონე ყველა ფეხბურთელმა გაიარა ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება, **სფფ**-ის ეროვნული ჩემპიონატის დებულებების შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომლითაც უზრუნველყოფს, რომ 12 წელზე უფროსი ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელი გადის ყოველწლიურ სამედიცინო შემოწმებას **სფფ**-ის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

მუხლი 20. *ფეხბურთელების რეგისტრაცია/კლუბის გაწვრთნილი ფეხბურთელები*

1. ლიცენზიის მაძიებლის 10 წელზე უფროსი ასაკის ყველა ფეხბურთელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, **რეგიონულ ფედერაციაში, ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში**, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ **ფიფა**-სა და **სფფ**-ის დებულებების შესაბამისად.

2. ლიცენზიის მაძიებლის ძირითადი გუნდის განაცხადში უნდა იყოს რეგისტრირებული,

[1] აქ და შემდგომ, ტერმინი „ძირითადი გუნდი“ გულისხმობს კაცთა და/ან ქალთა პირველ/ძირითად თუ სათადარიგო გუნდს, რომელიც აკეთებს განაცხადს ეროვნულ ლიცენზიაზე

მინიმუმ, კლუბის გაწვრთნილი 5 ფეხბურთელი. ფეხბურთელი ითვლება კლუბის გაწვრთნილად, თუ იგი 15–დან 21 წლის ასაკამდე ჯამში, მინიმუმ, 36 თვის განმავლობაში იყო რეგისტრირებული აღნიშნულ კლუბში. ***[ეს მე–2 პუნქტი არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]***

მუხლი 21. *წერილობითი კონტრაქტი პროფესიონალ ფეხბურთელებთან*

1. ლიცენზიის მაძიებლის ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს **სფფ**–ის საშეჯიბრო ორგანოს მიერ დამტკიცებული წერილობითი კონტრაქტი ლიცენზიის მაძიებელთან, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ **ფიფა**–სა და **სფფ**–ის დებულებების შესაბამისად.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი პროფესიონალი ფეხბურთელების კონტრაქტები აკმაყოფილებს **სფფ**–ის მიერ პროფესიონალ ფეხბურთელთა კონტრაქტებთან დაკავშირებით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს.

მუხლი 22. *პროფესიონალი ფეხბურთელების იჯარა*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაიცვას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ **ფიფა**–სა და **სფფ**–ის დებულებების მოთხოვნები, იჯარასთან დაკავშირებით.

მუხლი 23. *მონაწილეობა სემინარებში*

ლიცენზიის მაძიებელი უნდა დაესწროს **სფფ**–ის მიერ ან მასთან თანამშრომლობით სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე 12 თვის განმავლობაში ჩატარებულ შემდეგ სემინარებს ან სხვა ღონისძიებებს:

1. თამაშის წესებსა და სამსაჯო საკითხებზე, რომელსაც უნდა დაესწროს:

   ა) კაცთა ეროვნული **პრო–** საკლუბო ლიცენზიის მიზნებისთვის: ძირითადი გუნდის სრული შემადგენლობა (ფეხბურთელები, მწვრთნელები და სხვა ტექნიკური პერსონალი);

   ბ) კაცთა ეროვნული **ა–**, **ბ– საბაზისო** და **ქალთა** საკლუბო ლიცენზიის მიზნებისთვის, მინიმუმ: ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი ან მისი თანაშემწე და ძირითადი გუნდის კაპიტანი ან ვიცეკაპიტანი.

2. სპორტული სამართლიანობის შესახებ (როცა ჩატარდება), რომელსაც უნდა დაესწროს, მინიმუმ, ძირითადი გუნდის კაპიტანი (ან მისი შემცვლელი) და მთავარი მწვრთნელი (ან მისი თანაშემწე), აგრეთვე, კლუბის ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი (სალიცენზიო კადრები). ***[ეს მე–2 პუნქტი არ განიხილება საბაზისო საკლუბო ლიცენზიისა და ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]***

3. სპორტული მედიცინის შესახებ (როცა ჩატარდება), რომელიც წარმატებით უნდა ჰქონდეს გავლილი წინამდებარე დებულებებით განსაზღვრულ კლუბის ექიმს. ***[ეს მე–3 პუნქტი არ განიხილება საბაზისო საკლუბო ლიცენზიისთვის]***

სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის კრიტერიუმები

მუხლი 24. *სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის სტრატეგია*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის სტრატეგია, ფეხბურთის მდგრადი განვითარების შესახებ **სფფ**-ის მითითებების შესაბამისად, მინიმუმ, შემდეგი მიმართულებებით: თანასწორობა და ჩართულობა, ანტირასიზმი, ბავშვთა და მოზარდთა დაცვა და მათზე ზრუნვა, ფეხბურთი ყველა შესაძლებლობის მქონე პირთათვის, გარემოს დაცვა.

მუხლი 25. *თანასწორობა და ჩართულობა*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების პოლიტიკა ყველა ადამიანისთვის, ვინც ჩართულია და შექავს წვლილი ლიცენზიის მაძიებლის საფეხბურთო საქმიანობაში.

მუხლი 26. *ანტირასიზმი*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს ფეხბურთში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და უზრუნველყოს, რომ ლიცენზიის მაძიებლის ნებისმიერი პოლიტიკა, პროგრამა თუ აქტივობა ხორციელდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 27. *ბავშვთა და მოზარდთა დაცვა და მათზე ზრუნვა*

ახალგაზრდა ფეხბურთელების დასაცავად და მათზე ზრუნვის მიზნით, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი არიან დაცულ გარემოში, როდესაც მონაწილეობენ ლიცენზიის მაძიებლის აქტივობებში.

მუხლი 28. *ფეხბურთი ყველა შესაძლებლობისთვის*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომლითაც ლიცენზიის მაძიებლის საფეხბურთო საქმიანობაში ჩართულობა და წვლილის შეტანა იყოს ხელმისაწვდომი და სასიამოვნო ყველასთვის, უუნარობისა თუ შემზღუდავი ფაქტორების მიუხედავად.

მუხლი 29. *გარემოს დაცვა*

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს პოლიტიკა, რათა გამოასწოროს ღონისძიებების ორგანიზებით, ინფრასტრუქტურის მშენებლობითა თუ მართვით გარემოზე ზემოქმედება და უზრუნველყოს მდგრადი გარემო.

მუხლი 30. *სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის ოფიცერი*

ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკის განხორციელებასა და შესაბამისი ზომების მიღებაზე, **სფფ**–ის მითითებების შესაბამისად. სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის ოფიცერი უნდა იყოს აღნიშნულ საკითხებზე **სფფ**–სთან მეკავშირე და მისი საკონტაქტო ინფორმაცია (მინიმუმ, ელფოსტის მისამართი) გამოქვეყნებული იყოს კლუბის ოფიციალურ ვებსაიტზე.

ინფრასტრუქტურული კრიტერიუმები

მუხლი 31. *სტადიონი ეროვნული ჩემპიონატისთვის*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰქონდეს **სფფ**–ის კომპეტენტური ორგანოს (მაგ. საშეჯიბრო განყოფილება) მიერ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შესაბამისი ლიცენზირებადი ლიგისთვის დამტკიცებული სტადიონ(ებ)ი, რომელიც უნდა მდებარეობდეს იმავე ქალაქის/რეგიონის ტერიტორიაზე, რომელსაც წარმოადგენს კლუბი/გუნდი ან წარმოადგინოს **სფფ**–ის დადასტურება, გამონაკლისის სახით, სხვა ქალაქში/რეგიონში მდებარე სტადიონის დაშვების შესახებ (გამონაკლისის ვადის მოქმედების მითითებით).

2. თუ ლიცენზიის მაძიებელი არ არის სტადიონის მფლობელი, მან უნდა წარმოადგინოს გრძელვადიანი (შეფასების თარიღისთვის, მინიმუმ, 3–წლის ვადით მოქმედი) წერილობითი კონტრაქტ(ებ)ი იმ სტადიონის მფლობელთან, რომელსაც გამოიყენებს, აგრეთვე, სტადიონის მესაკუთრის მიერ სტადიონის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ამ კონტრაქტ(ებ)ით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტადიონ(ებ)ის გამოყენება სალიცენზიო სეზონში ლიცენზირებად ლიგებში საშინაო მატჩებისთვის.

მუხლი 32. *უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა პოლიცია/დაცვის ორგანიზაციების და, საჭიროების შემთხვევაში, განმკარგულებლების საშუალებით, საშინაო მატჩებზე, თითოეულ სტადიონზე, რომელსაც წარმოადგენს 31–ე მუხლის შესაბამისად.

2. თითოეული ზემოხსენებული სტადიონისთვის ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს სათანადოდ დამტკიცებული და საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში საჯარო ორგანოებთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის გეგმა. **სფფ** უფლებამოსილია, კრიტერიუმის შეფასების პროცესში მოითხოვოს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (მაგ., ზონირების გეგმა და სხვ.).

მუხლი 33. *სავარჯიშო ობიექტები: არსებობა და მინიმალური ინფრასტრუქტურა*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰქონდეს სავარჯიშო ობიექტ(ებ)ი, რომელიც, მინიმუმ, უნდა აკმაყოფილებდეს **სფფ**–ის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რომელსაც ეს უკანასკნელი აცნობებს სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე.

2. სავარჯიშო ობიექტები უნდა მდებარეობდეს იმავე ქალაქის/რეგიონის ტერიტორიაზე, რომელსაც წარმოადგენს კლუბი/გუნდი ან წარმოადგინოს **სფფ**–ის დადასტურება, გამონაკლისის სახით, სხვა ქალაქში/რეგიონში მდებარე ობიექტების დაშვების შესახებ

(გამონაკლისის ვადის მოქმედების მითითებით).

3. თუ ლიცენზიის მაძიებელი არ არის სავარჯიშო ობიექტ(ებ)ის მფლობელი, მან უნდა წარმოადგინოს გრძელვადიანი (შეფასების თარიღისთვის, მინიმუმ, 5-წლის ვადით მოქმედი) წერილობითი კონტრაქტ(ებ)ი მის(მათ) მფლობელ(ებ)თან, აგრეთვე, ობიექტ(ებ)ის მესაკუთრე(ებ)ისგან ამ ობიექტ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. აღნიშნული სავარჯიშო ობიექტები უნდა იყოს უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ლიცენზიის მაძიებლის ყველა გუნდისთვის როგორც სავარჯიშოდ, ასევე ახლაგაზრდული გუნდების ოფიციალური მატჩების ჩასატარებლად, სალიცენზიო სეზონის განმავლობაში, კლუბის ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის გათვალისწინებით.

5. სავარჯიშო ობიექტად ბუნებრივი ბალახის საფარიანი ძირითადი სტადიონის (მუხ. 31) გამოყენება დასაშვებია მხოლოდ:

(ა) ძირითადი გუნდის და მოწინააღმდეგეების ოფიციალური მატჩისწინა ვარჯიშებისთვის;

(ბ) უფროსი ასაკის (U16 და უფროსები) ახალგაზრდული გუნდების 11-11-ზე ოფიციალური მატჩების ჩასატარებლად (**სფფ**-ის კომპეტენტური საშეჯიბრო ორგანოს ნებართვის საფუძველზე).

[ეს მე-5 პუნქტი არ განიხილება საბაგისო საკლუბო ლიცენზიისა და ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

მუხლი 34. *კლუბის ოფისი*

1. ლიცენზიის მაძიებელი უნდა ფლობდეს ან ქირაობდეს საოფისე ფართს, რომელშიც განთავსდება ადმინისტრაცია.

2. იჯარის შემთხვევაში, უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილობითი კონტრაქტი საოფისე ფართ(ებ)ის მფლობელ(ებ)თან, აგრეთვე, ფართ(ებ)ის მესაკუთრე(ებ)ისგან ამ ფართ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ოფისი უნდა იყოს აღჭურვილი აუცილებელი მინიმალური ტექნიკური ინფრასტრუქტურით: ტელეფონი, ელფოსტა, კომპიუტერი ინტერნეტ კავშირით და ასლის გადამღები აპარატი.

მუხლი 35. *კლუბის ადმინისტრაცია და საორგანიზაციო სქემა*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ოფისი ღია იყოს **სფფ**-სთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. სულ ცოტა, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია:

   ა) მისი ოფიციალური შტაბ-ბინის მისამართი;

   ბ) ოფიციალური საკონტაქტო ინფორმაცია (როგორიცაა ტელეფონის/ფაქსის ნომერი და ელფოსტის მისამართები);

   გ) მისი ოფიციალური ვებსაიტის მისამართი.

2. ლიცენზიის მაძიებლის ოფიციალური ელფოსტის მისამართი უნდა იყოს რეგისტრირებული რეესტრში ან მის წესდებაში, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში. კლუბის ოფიციალური ელფოსტიდან გამოგზავნილი ინფორმაცია ითვლება კლუბის მიერ ხელმოწერილად, თუ იგი არ ეხება დოკუმენტს, რომელზეც მოითხოვება კლუბისგან განსხვავებული სხვა მხარის ხელმოწერაც.

3. ზემოთ, 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ელფოსტის დომეინი უნდა შეესაბამებოდეს კლუბის ოფიციალური ვებსაიტის დომეინს. ***[ეს მე-3 პუნქტი არ განიხილება საბაგისო საკლუბო ლიცენზიისა და ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]***

4. ლიცენზიის მაძიებლის ოფიციალური ვებსაიტი, მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კლუბის საორგანიზაციო სქემა (იხ. მე-5 პუნქტი, ქვემოთ), ძალაში შესვლის თარიღის მითითებით;

   ბ) ყველა სალიცენზიო კადრის ვინაობა, ფოტოსურათი და ყველა თანამდებობა, რომელიც მათ უკავია კლუბში;

   გ) ლიცენზიის მაძიებელი კლუბის ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია (მინ., ტელეფონი, ოფიციალური ელფოსტა). ცალკე უნდა იყოს აღნიშნული გულშემატკივართან მეკავშირის საკონტაქტო რეკვიზიტები (ელფოსტა და ტელეფონი);

   დ) ინფორმაცია კლუბის მოქმედი საკლუბო ეროვნული და **უეფა**ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლიცენზი(ებ)ის შესახებ.

   ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ლიცენზირების პროცესში წარმოდგენილ ინფორმაციას.

5. ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს უნდა წარუდგინოს საორგანიზაციო სქემა, რომელზეც გარკვევითაა მითითებული პერსონალი და მათი თანამდებობები, ასევე, მათი იერარქიული და ფუნქციონალური პასუხისმგებლობები ორგანიზაციაში.

6. საორგანიზაციო სქემა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, მინიმუმ, წინამდებარე დებულებების 30-ე და 36-დან 46-მდე მუხლებში განსაზღვრულ თანამდებობებზე მყოფი პირების შესახებ.

7. საორგანიზაციო სქემა უნდა იყოს დამტკიცებული ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის მიერ, უფლებამოისლი პირის/მმართველი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, და ასევე მითითებული იყოს დამტკიცების თარიღი.

მუხლი 36. *დირექტორი — უფლებამოსილი პირი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული დირექტორი, რომელიც, ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის თანახმად, არის ხელმძღვანელობასა და წარმოდმადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, უშუალოდ და სრულადაა პასუხისმგებელი ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაზე, ასევე კლუბების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დირექტორი უნდა ესწრებოდეს კლუბების ლიცენზირების შესაბამის ღონისძიებებს.

2. დირექტორი ან ლიცენზირების მენეჯერი (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ, 37-ე მუხლში):

   ა) უნდა ფლობდეს **სფფ**-ის მიერ აღიარებული სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად გაცემულ სერტიფიკატს ფეხბურთის და/ან სპორტის მენეჯმენტში; ან
   ბ) ჩარიცხული იყოს შესაბამის სასწავლო კურსზე. ამ შემთხვევაში, წინამდებარე მოთხოვნის შესრულება ხელახლა შეფასდება კურსის დასრულების შემდეგ, რა დროსაც აღნიშნულ პიროვნებას მოეთხოვება შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა.
   გ) გააჩნდეს **სფფ**-ის მიერ გაცემული კომპეტენტურობის აღიარების დოკუმენტი.

3. წინამდებარე დებულებების დამტკიცების თარიღისთვის, **სფფ**-ის მიერ აღიარებულია შემდეგი სასწავლო პროგრამები:

   - **უეფა**-ს საგანმანათლებლო პროგრამები: UEFA-CFM, UEFA-DFM, UEFA-DFLM, UEFA-MESGO;
   - **სფფ**-ის საგანმანათლებლო პროგრამა — „სერტიფიკატი ფეხბურთის მენეჯმენტში" (**სფფ**-ის სფმ);
   - ევროპული კლუბების ასოციაციის (ECA) საგანმანათლებლო პროგრამა კლუბების მენეჯმენტში;
   - **ფიფა**-ს საგანმანათლებლო პროგრამა სპორტის მენეჯმენტში — FIFA International Master in Management, Law and Humanities of Sport.

   სხვა საგანმანათლებლო პროგრამები ფეხბურთის და/ან სპორტის მენეჯმენტში განიხილება ინდივიდუალურად, რომელთა კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის დაშვებაზე **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ საჩივრდება.

4. დირექტორი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 37. *ლიცენზირების მენეჯერი*

1. როგორც მინიმუმი, ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ლიცენზირების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ლიცენზირების საკითხებზე კონტაქტის დამყარებაზე ლიცენზიის მაძიებელსა და ლიცენზიარს შორის. თუმცა, დირექტორი, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ, 36-ე მუხლში, არის სრულად პასუხისმგებელი **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირების მოქმედი დებულებების განხორციელებასა და კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმების შესრულებაზე, როგორც აღნიშნულია 36.1 პუნქტში.

2. ლიცენზირების მენეჯერს ან დირექტორს (როგორც განსაზღვრულია ზემოთ, 36-ე მუხლში) უნდა გააჩნდეს კვალიფიკაცია, რომელიც აღწერილია 36.2-3 პარაგრაფებში. ამასთან, 36.2.გ) პუნქტში მითითებული ალტერნატივა კომპეტენტურობის აღიარების შესახებ არ განიხილება ლიცენზირების მენეჯერისთვის.

3. ამას გარდა, ლიცენზირების მენეჯერი უნდა ესწრებოდეს კლუბების ლიცენზირების შესაბამის ღონისძიებებს. **სფფ** უფლებას იტოვებს, ჩაატაროს ფეხბურთის კლუბების ლიცენზირების მენეჯერების ტესტირება, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება ლიცენზირების პროცესში (მაგ., კლუბს უარი ეთქვას ლიცენზირების მენეჯერის დარეგისტრირებაზე, და ა.შ.).

მუხლი 38. *ფინანსისტი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული კვალიფიციური ფინანსისტი, რომელიც პასუხისმგებელია მის ფინანსურ საკითხებზე.

2. ფინანსისტი უნდა ფლობდეს, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

   ა) საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) მიერ გაცემული პროფესიონალი ბუღალტრის ან მთავარი ბუღალტრის სერტიფიკატი;
   ბ) კვალიფიციური აუდიტორის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   გ) **სფფ**-ის ან **სფფ**-ის მიერ აღიარებული ორგანიზაციის გაცემული ფინანსისტის დიპლომი და/ან სერტიფიკატი (რასაც ეს უკანასკნელი აცნობებს კლუბებს სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე);
   დ) საფეხბურთო ორგანიზაციებში ფინანსისტის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება, მინიმუმ, 3-წლის განმავლობაში[2].

3. ზემოთ, მე-2 პუნქტზე დამატებით, **სფფ** უფლებას იტოვებს, ჩაატაროს კლუბის ფინანსისტის ტესტირება ლიცენზირების ფინანსურ საკითხებში, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება ლიცენზირების პროცესში. კერძოდ, ტესტირების უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის ფარგლებში წარმოდგენილი ფინანსისტი ჩაითვლება არაკომპეტენტურად კლუბების ლიცენზირების საკითხებში, და შესაბამისად, წინამდებარე მე-3 პუნქტი ფინანსისტის ტესტირების შესახებ, ჩაითვლება დარღვეულად.

[2] აღნიშნული ალტერნატივა არ განიხილება ეროვნული პრო-ლიცენზიისთვის.

მუხლი 39. *მედია-ოფიცერი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მედია-ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია მას-მედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. მათ შორის, ეროვნული **პრო-** საკლუბო ლიცენზიის მიზნებისთვის, საერთაშორისო დონეზე ურთიერთობისთვის (მაგ., ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციებთან — **ფიფა** და **უეფა**) მედია-ოფიცერი უნდა ფლობდეს **უეფა**-ს ერთ-ერთ ოფიციალურ ენას: ინგლისურს, ფრანგულს ან გერმანულს.

2. მედია-ოფიცერს უნდა გააჩნდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი კვალიფიკაციია:

   ა) ჟურნალისტის დიპლომი;
   ბ) **სფფ**-ის ან **სფფ**-ის მიერ აღიარებული ორგანიზაციის გაცემული მედია-ოფიცრის დიპლომი და/ან სერტიფიკატი (რასაც ეს უკანასკნელი აცნობებს კლუბებს სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე);
   გ) **სფფ**-ის მიერ გაცემული „კომპეტენტურობის აღიარება“, რომელიც ემყარება, მინიმუმ, 3-წლიან პრაქტიკულ გამოცდილებას მსგავს საქმიანობაში.

3. მედია-ოფიცერი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 40. *ექიმი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული, მინიმუმ, ერთი კვალიფიციური ექიმი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი გუნდის მატჩებისა და ვარჯიშების დროს სამედიცინო მხარდაჭერაზე, ასევე დოპინგის პრევენციაზე. ექიმი არ უნდა ითავსებდეს სხვა სალიცენზიო თანამდებობას, გარდა ქვემოთ, 42-ე მუხლში განსაზღვრული ახალგზარდული გუნდების ექიმის თანამდებობისა.

2. ექიმი უნდა იყოს სერტიფიცირებული ჯანდაცვის ეროვნული სამინისტროს მიერ.

3. ექიმი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 41. *ფიზიოთერაპევტი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული, მინიმუმ, ერთი კვალიფიციური ფიზიოთერაპევტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი გუნდის მატჩებისა და ვარჯიშების დროს მკურნალობასა და მასაჟზე.

2. ფიზიოთერაპევტს უნდა გააჩნდეს ჯანდაცვის ეროვნული სამინისტროსა და/ან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული კვალიფიკაცია.

3. ფიზიოთერაპევტი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 42. *ახალგაზრდული გუნდების ექიმი*

[მუხლი 42 არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული, მინიმუმ, ერთი ექიმი ან ფიზიოთერაპევტი, რომელიც ასე კვალიფიცირდება შესაბამისი ჯანდაცვის საჯარო ორგანოს მიერ, და პასუხისმგებელია ახალგაზრდული გუნდების სამედიცინო მომსახურებაზე.

მუხლი 43. *მატჩების ორგანიზების მენეჯერი*

[მუხლი 43 არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მატჩების ორგანიზების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია მატჩების ორგანიზებაზე.

2. მატჩების ორგანიზების მენეჯერს გავლილი უნდა ჰქონდეს **სფფ**–ის მიერ ორგანიზებული ან **სფფ**–ის მიერ აღიარებული კურსი/სემინარები (თუკი ჩატარდება).

3. მატჩების ორგანიზების მენეჯერი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**–ში, რფფ–ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**–ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 44. *უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ოფიცერი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის კვალიფიციური ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე:

   ა) უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების (რისკების მართვისა და დაგეგმვის ჩათვლით) შემუშავება, განხორციელება და ანალიზი;

   ბ) ლიცენზიის მაძიებელსა და საჯარო ორგანოებს და **სფფ**–ს შორის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის საკითხებზე ძირითადი საკონტაქტო პირის ფუნქციების შესრულება;

   გ) მატჩთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ოპერაციების მართვა.

2. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ოფიცერი უნდა ფლობდეს, მინიმუმ, ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ–ერთ კვალიფიკაციას:

   ა) იყოს კვალიფიციური საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გაცემული მოქმედი ან ყოფილი პოლიციელის ან სამართალდამცავი ორგანოების თანაშრომლის მოწმობა;

   ბ) **სფფ**–ის ან სახელმწიფოში აღიარებული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სპეციფიკური კურსის შედეგად გაცემული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის დიპლომი და/ან სერტიფიკატი;

   გ) სტადიონზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში, მინიმუმ, 3–წლიანი გამოცდილების საფუძველზე, **სფფ**–ის მიერ გაცემული „კომპეტენტურობის

აღიარება“[3].

ასევე **პრო–** საკლუბო ლიცენზიისთვის მას გავლილი უნდა ჰქონდეს სწავლება და გააჩნდეს გამოცდილება ფეხბურთის მატჩებზე მასების კონტროლის და უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის საკითხებში.

3. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ოფიცერი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**–ში, რფფ–ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**–ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 45. *გულშემატკივართან მეკავშირე*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს გულშემატკივართან კავშირზე პასუხისმგებელი პირი — გულშემატკივართან მეკავშირე.

2. გულშემატკივართან მეკავშირე რეგულარულად უნდა ხვდებოდეს და თანამშრომლობდეს კლუბის პერსონალთან, ნებისმიერ შესაბამის საკითხთან დაკავშირებით. იგი რეალურად უნდა მუშაობდეს და ასრულებდეს **სფფ**–ის მიერ დადგენილ ფუნქცია–მოვალეობებს, რაც უნდა აისახოს მის თანამდებობრივ ინსტრუქციაში.

3. ამას გარდა, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია:

   ა) უზრუნველყოს გულშემატკივართან მეკავშირის უფლებები, რომელსაც განსაზღვრავს **სფფ**;

   ბ) აწარმოოს გულშემატკივრის ყოველწლიური გამოკითხვა კლუბის საქმიანობის შესახებ და წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში მათ წინაშე.

მუხლი 46. *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებთან მეკავშირე*

[მუხლი 46 არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებთან მეკავშირე, რათა ხელი შეუწყოს ჩართულობისა და ხელმისაწვდომობისკენ მოწოდებულ მომსახურებებსა და ობიექტებს.

2. შშმ პირებთან მეკავშირე რეგულარულად უნდა ხვდებოდეს და თანამშრომლობდეს კლუბის პერსონალთან, ნებისმიერ შესაბამის საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 47. *ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული კვალიფიციური მთავარი მწვრთნელი, რომელიც დადასტურებულია მთავარ მწვრთნელად **სფფ**–ის მიერ და პასუხისმგებელია ძირითადი გუნდის შემდეგ საკითხებზე:

[3] აღნიშნული ალტერნატივა არ განიხილება ეროვნული პრო– საკლუბო ლიცენზიისთვის.

ა) ფეხბურთელების შერჩევა;

ბ) ტაქტიკა და წვრთნა;

გ) ფეხბურთელებისა და ტექნიკური პერსონალის მართვა გასახდელსა და ტექნიკურ ზონაში მატჩამდე, მატჩის დროსა და მატჩის შემდეგ; და

დ) ვალდებულებები მედიის საკითხებზე (პრეს–კონფერენცია, ინტერვიუები, და ა.შ.).

2. მთავარ მწვრთნელთან ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, მინიმუმ, რეგისტრაციის სეზონის ბოლომდე.

3. მთავარი მწვრთნელი უნდა ფლობდეს **უეფა**–ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა***–*ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ–ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

კაცთა გუნდებისთვის:

ა) **უეფა**–ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია:
   i. ეროვნული **პრო–** და **ა–** საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA–PRO;
   ii. ეროვნული **ბ–** საკლუბო ლიცენზიისთვის – UEFA–A;
   iii. ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის – UEFA–B;

ბ) **უეფა**–ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში შესაბამისი საკლუბო ლიცენზიისთვის მითითებული სამწვრთნელო ლიცენზიის ეკვივალენტურია.

ქალთა გუნდებისთვის:

გ) მოქმედი UEFA–B სამწვრთნელო ლიცენზია;

დ) **უეფა**–ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

4. ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**–ში, რფფ–ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**–ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 48. *ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის კვალიფიციური თანაშემწე, რომელიც ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელს ეხმარება ყველა საფეხბურთო საკითხში.

2. ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე უნდა ფლობდეს **უეფა**–ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა***–*ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ–ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

კაცთა გუნდებისთვის:

ა) **უეფა**–ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია:
   i. ეროვნული **პრო–** და **ა–** საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA–A;
   ii. ეროვნული **ბ–** საკლუბო ლიცენზიისთვის – UEFA–B;

iii. ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის – UEFA-C;

ბ) **უეფა**-ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

ქალთა გუნდებისთვის:

გ) მოქმედი UEFA-C სამწვრთნელო ლიცენზია;

დ) **უეფა**-ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

3. ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 49. *ძირითადი გუნდის მეკარეების მწვრთნელი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ძირითადი გუნდის კვალიფიციური მეკარეების მწვრთნელი, რომელიც ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელს ეხმარება მეკარეების წვრთნის საკითხებში.

2. ძირითადი გუნდის მეკარეების მწვრთნელი უნდა ფლობდეს **უეფა**-ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა****-ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

კაცთა და ქალთა გუნდებისთვის, ყველა ეროვნული საკლუბო ლიცენზიისთვის:

ა) მოქმედი UEFA-B მეკარეების მწვრთნელის ლიცენზია;

ბ) **უეფა**-ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

3. ძირითადი გუნდის მეკარეების მწვრთნელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 50. *ძირითადი გუნდის ფიზიკური მომზადების (ფიზმომზადების) მწვრთნელი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ძირითადი გუნდის კვალიფიციური ფიზიკური მომზადების მწვრთნელი, რომელიც ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელს ეხმარება ფეხბურთელების ფიზიკური მომზადების საკითხებში.

2. ძირითადი გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელი უნდა ფლობდეს **უეფა**-ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა****-ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

ა) მოქმედი UEFA-B სამწვრთნელო ლიცენზია;

ბ) **უეფა**-ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

3. ძირითადი გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 51. *ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი*

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ყოველდღიური საქმიანობის მართვასა და ტექნიკურ ასპექტებზე.

2. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს **უეფა**-ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა***-*ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

   ა) მოქმედი UEFA Youth სამწვრთნელო ლიცენზია:
      i. ეროვნული **პრო-** და **ა-** საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA Elite Youth A;
      ii. ეროვნული **ბ-** და **საბაზისო**- საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA Youth;

   ბ) **უეფა**-ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია:
      i. ეროვნული **პრო-** და **ა-** საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA-A;
      ii. ეროვნული **ბ-** და **საბაზისო**- საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA-B;

   გ) **უეფა**-ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) ან ბ) პუნქტებში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია;

3. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 52. *ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელები*

1. თითოეულ სავალდებულო ახალგაზრდულ გუნდში, რომელიც წარმოდგენილია ლიცენზირების პროცესში ზემოთ, 17.1 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული მინიმუმ ერთი კვალიფიციური მწვრთნელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი ახალგაზრდული გუნდის ყველა საფეხბურთო საკითხზე.

2. კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის:

   ახალგაზრდული გუნდების მთავარი მწვრთნელები, გასაწვრთნელი გუნდის ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად, თითოეული უნდა ფლობდეს **უეფა**-ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა***-*ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

   ა) მოქმედი UEFA Youth სამწვრთნელო ლიცენზია:
      i. ეროვნული **პრო-** და **ა-** საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA Elite Youth A;

ii. ეროვნული **ბ–** და **საბაზისო**– საკლუბო ლიცენზიებისთვის – UEFA Youth;

ბ) **უეფა**–ს მოქმედი სამწვრთნელო ლიცენზია:
   i. ეროვნული **პრო–** და **ა–** საკლუბო ლიცენზიებისთვის:
      - 15–დან 21–წლამდე (ე.ი. U16–U21) ასაკობრივი კატეგორიის გუნდებში – UEFA–A;
      - 12–დან 15–წლამდე (ე.ი. U13–U15) ასაკობრივი კატეგორიის გუნდებში – UEFA–B;
      - 12–წლამდე (ე.ი. U12 და უმცროსები) ასაკობრივი კატეგორიის გუნდებში – UEFA–C;
   ii. ეროვნული **ბ–** საკლუბო ლიცენზიისთვის:
      - 15–დან 21–წლამდე (ე.ი. U16–U21) ასაკობრივი კატეგორიის გუნდებში – UEFA–B;
      - 15–წლამდე (ე.ი. U15 და უმცროსები) ასაკობრივი კატეგორიის გუნდებში – UEFA–C;
   iii. ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის – UEFA–C;

გ) **უეფა**–ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) ან ბ) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

დ) ამასთან, ეროვნული **პრო–** და **ა–** საკლუბო ლიცენზიებისთვის, მინიმუმ, 3 ახალგაზრდული (ვაჟთა) გუნდის მთავარი მწვრთნელები უნდა ფლობდნენ **უეფა**–ს წევრი ასოციაციის მიერ **უეფა**–ს მწვრთნელთა კონვენციის შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ–ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:
   i. UEFA Elite Youth A;
   ii. UEFA–A;
   iii. **უეფა**–ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, i) ან ii) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

ქალთა კლუბების ლიცენზირებისთვის:

17.1.გ) მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი ახალგაზრდული (გოგონათა) გუნდის მთავარი მწვრთნელი უნდა ფლობდეს **უეფა**–ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა***–*ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ–ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

ე) მოქმედი UEFA Youth სამწვრთნელო ლიცენზია;

ვ) მოქმედი UEFA–C სამწვრთნელო ლიცენზია;

ზ) **უეფა**–ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ე) ან ვ) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია;

3. ლიცენზირების პროცესში, ზემოთ 17.1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ყველა ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**–ში, რფფ–ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**–ის წევრ სხვა **ასოციაციაში.**

მუხლი 53. *ახალგაზრდული გუნდების მეკარეების მწვრთნელი*

[მუხლი 53 არ განიხილება საბაგისო საკლუბო ლიცენზიისა და ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ლიცენზიის მაძიებელს უნდა ჰყავდეს დანიშნული, მინიმუმ, ერთი კვალიფიციური მეკარეების მწვრთნელი, რომელიც ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელებს ეხმარება მეკარეების წვრთნის საკითხებში.

2. ახალგაზრდული გუნდების მეკარეების მწვრთნელი უნდა ფლობდეს **უეფა**-ს წევრი ასოციაციის მიერ ***უეფა***-*ს მწვრთნელთა კონვენციის* შესაბამისად გაცემულ, მინიმუმ, ერთ-ერთ შემდეგ კვალიფიკაციას:

   ა) მოქმედი UEFA-B სამწვრთნელო ლიცენზია;
   ბ) **უეფა**-ს მოქმედი კომპეტენტურობის აღიარება, რომელიც, მინიმუმ, ზემოთ, ა) პუნქტში მითითებული ლიცენზიის ეკვივალენტურია.

3. ახალგაზრდული გუნდების მეკარეების მწვრთნელი უნდა იყოს რეგისტრირებული **სფფ**-ში, რფფ-ში, წევრ **ლიგაში** ან **სფფ**-ის წევრ სხვა **ასოციაციაში**.

მუხლი 54. *ზოგადი მოთხოვნები **უეფა**-ს სამწვრთნელო კვალიფიკაციებთან დაკავშირებით*

47-53 მუხლებთან დაკავშირებით, მოთხოვნილი **უეფა**-ს სამწვრთნელო ლიცენზიის მფლობელად ითვლება მწვრთნელი, რომელსაც, **უეფა**-ს მწვრთნელთა კონვენციის მოთხოვნების განხორციელების შესაბამისად, სალიცენზიო გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი შეფასების თარიღის მდგომარეობით:

ა) გააჩნია **უეფა**-ს წევრი ეროვნული ასოციაციის მიერ გაცემული მოქმედი **უეფა**-ს სამწვრთნელო ლიცენზია; ან
ბ) მინიმუმ, დაწყებული აქვს მოთხოვნილ **უეფა**-ს სამწვრთნელო ლიცენზიის მისაღებად კურსებზე სწავლა. ასეთ კურსზე უბრალოდ რეგისტრაცია არაა საკმარისი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 54[1]. *ზოგადი მოთხოვნები 35-53 მუხლებით გათვალისწინებული პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ზემდგომი ლიგის ლიცენზიისთვის*

1. კლუბს, რომელიც განიხილება ზემდგომი ლიგის ლიცენზიის მაძიებლად, უფლება აქვს სალიცენზიოს წინა სეზონის დასრულდებამდე, 35-53 მუხლებით განსაზღვრულ თანამდებობებზე ჰყავდეს მიმდინარე ლიგისთვის **სფფ**-ის მოქმედი კლუბების ეროვნული ლიცენზირების დებულებებით დადგენილი კვალიფიკაციის მქონე კადრი. ამასთან, ზემდგომი ლიგის ლიცენზირების მიზნებისთვის, სხვა საკადრო დოკუმენტაციასთან ერთად, კლუბმა უნდა წარმოადგინოს:

ა) სათანადოდ გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე წინასწარი შეთანხმება ზემდგომი ლიგისთვის მოთხოვნილი კვალიფიკაციის მქონე პირთან, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული კონკრეტულ თანამდებობაზე თანამშრომლობის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ კლუბი აღზევდება ზემდგომ ლიგაში; ან

ბ) კომპეტენტური ორგანოს დადასტურება კლუბის მოქმედი კადრის შესახებ, რომ იგი ჩარიცხრულია ზემდგომი ლიგისთვის მოთხოვნილი კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო სასწავლო კურსზე.

2. ამ დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ აღნიშნული კადრის განთავისუფლების შემთხვევაში, ზემდგომი ლიგის ლიცენზირების მიზნებისთვის, კლუბი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულება ან წინასწარი შეთანხმება ზემდგომ ლიგაში მოთხოვნილი კვალიფიკაციის მქონე პირთან

მუხლი 55. *წერილობითი კონტრაქტები*

1. 30-ე და 36-53 მუხლებში განსაზღვრულ თითოეულ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ, სამედიცინო და უსაფრთხოების პერსონალს ან მომსახურების მომწოდებელს უნდა გააჩნდეს:

ა) წერილობითი კონტრაქტი ლიცენზიის მაძიებელთან (ან ლიცენზიის მაძიებლის იურიდიულ სტრუქტურაში შემავალ რომელიმე ერთეულთან), ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) უფლებები და მოვალეობები უნდა იყოს განსაზღვრული წერილობითი ფორმით ცალკე, ორმხრივად ხელმოწერილ თანამდებობრივ ინსტრუქციაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს განსაზღვრული მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეული მწვრთნელის კონტრაქტი აკმაყოფილებს **ფიფა**-სა და **სფფ**-ის დებულებებს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ.

მუხლი 56. *მომსახურების მომწოდებლები*

[მუხლი 56 არ განიხილება საბაზისო საკლუბო ლიცენზიისა და ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

თუ რომელიმე ფუნქცია მინიჭებულია მომსახურების მომწოდებლისთვის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა გააფორმოს წერილობითი კონტრაქტი მომსახურების მომწოდებელთან, რომელიც უნდა შეიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ ინფორმაციას:

ა) განსაზღვრული ფუნქციები და მოვალეობები;

ბ) ინფორმაცია იმ პირების შესახებ, ვინც პასუხისმგებელია აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე, მათი სათანადო კვალიფიკაციის ჩათვლით.

მუხლი 57. *თანამდებობების დაკავება და ფუნქციების შესრულება*

1. 30-ე და 36-დან 53 მუხლებში განსაზღვრული ფუნქციები წარმოადგენს მინიმალურ საორგანიზაციო სტრუქტურას, რაც მოეთხოვება ლიცენზიის მაძიებელს.

2. ერთი პიროვნება შეიძლება იკავებდეს ერთზე მეტ თანამდებობას იმის უზრუნველყოფით, რომ ამ პიროვნებას აქვს საკმარისი დრო, სათანადო კომპეტენცია და საჭირო კვალიფიკაცია თითოეული თანამდებობისთვის, და გამორიცხულია ინტერესთან კონფლიქტი. ამას გარდა, უნდა იყოს დაცული ქვემოთ, 3-5 პუნქტებში აღნიშნული შეზღუდვები.

3. ერთი პიროვნება არ შეიძლება ითავსებდეს ორზე მეტ თანამდებობას. მთავარ მწვრთნელს (მუხ. 47) ეკრძალება სხვა თანამდებობის შეთავსება, გარდა ფიზმომზადების მწვრთნელის ფუნქციისა (მუხ. 50), ხოლო 42 მუხლით განსაზღვრული ახალგაზრდული გუნდების ექიმის ფუნქციას შეიძლება ითავსებდეს ძირითადი გუნდის ექიმი (მუხ. 40) ან ფიზიოთერაპევტი (მუხ. 41).

4. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დაუშვებელია სპორტულ-ტექნიკური პერსონალის დანიშვნა ან სხვა პრაქტიკულად შეუთავსებელი თანამდებობების დაკავება ერთი პირის მიერ, რაზედაც ლიცენზიარის გადაწყვეტილება ითვლება კომპეტენტურად.

5. გულშემატკივართან მეკავშირე იმავდროულად შეიძლება იყოს 39-ე მუხლით განსაზღვრული მედია ოფიცერი, ან 46-ე მუხლით განსაზღვრული შშმ პირებთან მეკავშირე. ამასთან, 45-ე და 46-ე მუხლებით განსაზღვრული თანამდებობების შეთავსება ერთი პირის მიერ არ შედის ზემოთ, მე-2 პუნქტში აღნიშნული თანამდებობების შეთავსების ლიმიტის დაანგარიშებაში.

6. 30-ე და 36-53 მუხლებში განსაზღვრულ ყველა სალიცენზიო კადრს უნდა ჰქონდეს მოწერილი ხელი **სფფ**-ის მიერ დადგენილ სპორტული სამართლიანობის დეკლარაციაზე. კონკრეტულ კლუბში რეგისტრაციის პერიოდში საკმარისია აღნიშნული დეკლარაციის ერთხელ ხელმოწერა და არ არის საჭირო მისი განახლება იმავე კლუბში თანამდებობის/ფუნქციის შეცვლისას. ხელმოწერილი დოკუმენტის განახლება საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ პიროვნება გადავა სხვა კლუბში და/ან **სფფ** შეცვლის დეკლარაციის შინაარსს.

7. 30-ე და 36-53 მუხლებში განსაზღვრულ თითოეულ პერსონალს უნდა გააჩნდეს პერსონალური მოქმედი ელფოსტის მისამართი, რომელიც უნდა ეცნობოს ლიცენზიარს. პერსონალის მიერ კლუბის ან სხვა კადრის ელფოსტის მისამართის გამოყენება ჩაითვლება ამ მოთხოვნის დარღვევად.

მუხლი 58. *სეზონის განმავლობაში შეცვლის ვალდებულება*

1. თუ 30-ე და 36-53 მუხლებში განსაზღვრული თანამდებობა სეზონის განმავლობაში ვაკანტური გახდება, ლიცენზირებულმა კლუბმა უნდა უზრუნველყოს, რომ მაქსიმუმ 20 დღის განმავლობაში ასეთი თანამდებობა დაიკავოს პიროვნებამ, რომელსაც გააჩნია მოთხოვნილი კვალიფიკაცია.

2. თუ თანამდებობა ვაკანტური გახდება ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის (მაგ.,

ავტოავარია ან სხვ.) გამო, **სფფ**-ს შეუძლია გაახანგრძლივოს 20-დღიანი პერიოდი, თუ არსებობს საფუძლიანი დადასტურება, რომ აღნიშნული პიროვნება კვლავ ავადაა და არ შესწევს უნარი, შეასრულოს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

3. თუ 30-ე და 36-53 მუხლებში განსაზღვრული თანამდებობა სეზონის განმავლობაში ვაკანტური გახდება ხელმეორედ და ლიცენზიარი ჩათვლის, რომ კლუბი ამას აკეთებს დროის მოგების მიზნით, ლიცენზიარს უფლება აქვს, შეზღუდოს 20-დღიანი პერიოდი და კლუბს დაუწესოს განსხვავებული ვადები, საკუთარი შეხედულებისამებრ.

4. ზემოაღნიშნული საშეღავათო პერიოდები იზღუდება ლიცენზირების გრაფიკით დადგენილი შესაბამისი სალიცენზიო დოკუმენტაციის წარდგენის თარიღით.

5. 30-ე და 36-53 მუხლებში განსაზღვრულ თანამდებობებზე დანიშნული თანამშრომლების გათავისუფლების და/ან შეცვლის შესახებ **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციას (**ლმა**) უნდა ეცნობოს და წარედგინოს სრული საკადრო დოკუმენტაცია (**ლმა**-ის მიერ დადგენილი ფორმით და საშუალებით), გათავისუფლებიდან/ცვლილებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 59. *იურიდიული დეკლარაციები*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს იურიდიული ძალის მქონე დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს, რომ იგი:

   ა) იღებს ვალდებულებას, ყოველთვის დაიცვას **ფიფა**-ს, **უეფა**-ს და **სფფ**-ის წესდებები, დებულებები და გადაწყვეტილებები, აგრეთვე, აღიარებს ლოზანაში არსებული სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) იურისდიქციას, როგორც ეს ***უეფა***-*ს წესდების* შესაბამის მუხლებშია განსაზღვრული, ასევე ***სფფ***-*ის წესდებით* განსაზღვრული დავების განმხილველი უმაღლესი ორგანოს იურისდიქციას;

   ბ) ეროვნულ დონეზე მონაწილეობას მიიღებს **სფფ**-ის მიერ აღიარებულ და დამტკიცებულ შეჯიბრებებში;

   გ) დაუყოვნებლივ აცნობებს **სფფ**-ს ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების ან მოვლენის, ასევე დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის გარემოების შესახებ;

   დ) იღებს ვალდებულებას, დაიცვას ***სფფ***-*ის კლუბების ლიცენზირების დებულებები საქართველოს ჩემპიონატის* ***ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში*** *და* ***ქალთა ეროვნულ ლიგაში*** *მონაწილეობისთვის*;

   ე) მისი ანგარიშგების პერიმეტრი განსაზღვრულია 65-ე მუხლის შესაბამისად;

   ვ) 65.3 პუნქტში ჩამოთვლილ თითოეულ საფეხბურთო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი შეყვანილია ანგარიშგების პერიმეტრში;

   ზ) პასუხისმგებელი იქნება ანგარიშგების პერიმეტრში ჩართული ნებისმიერი საწარმოს ნებისმიერ შედეგზე, რომელიც არ დაიცავს ზემოთ, დ) პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

   თ) ლიცენზიის მაძიებლის სამართლებრივ ფორმაში, იურიდიულ სტრუქტურაში (მფლობელის ჩათვლით) ან იდენტობაში სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე სამი სეზონის განმავლობაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია წარდგენილია **სფფ**-სთვის;

   ი) ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი სრულყოფილია და უტყუარი;

   კ) **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირების ადმინისტრაციას და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს და **სფფ**-ის იურიდიულ ორგანოებს აძლევს ნებისმიერი დოკუმენტის შემოწმებისა და ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციიდან ინფორმაციის მოძიების უფლებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

   ლ) აცნობიერებს, რომ **სფფ** იტოვებს უფლებას, ეროვნულ დონეზე მოახდინოს შესაბამისობის შემოწმებები, წინამდებარე დებულებების 76-ე მუხლის შესაბამისად.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს იურიდიული ძალის მქონე დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მის ყველა თანამშრომელს (ფეხბურთელების ჩათვლით) აქვს ხელი მოწერილი სპორტული სამართლიანობის დეკლარაციაზე, როგორც ამას განსაზღვრავს **სფფ**.

3. ზემოთ, 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული დეკლარაციები უნდა იყოს დამოწმებული ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ლიცენზიარისთვის სამართლებრივი დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო თარიღამდე ერთი თვის ვადაში.

მუხლი 60. *მინიმალური სამართლებრივი ინფორმაცია*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი მინიმალური სამართლებრივი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ლიცენზიის მაძიებლის შესახებ:

   ა) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მოქმედი წესდება, რომლის თანახმადაც, ლიცენზიის მაძიებლის ძირითად საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს ფეხბურთი და მისი განვითარება (მაგ., პროფესიული და/ან სამოყვარულო ფეხბურთი, ახალგაზრდული ფეხბურთი, საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, სხვ.). მასში ასევე უნდა მიეთითოს კლუბის ოფიციალური ელფოსტის მისამართი.
   ამას გარდა, საწესდებო დოკუმენტაციაში განხორციელებული ყველა ცვლილება/დამატება კლუბმა უნდა ასახოს ერთ დოკუმენტში — წესდების მოქმედ ვერსიაში და ლიცენზირების პროცესში წარმოადგინოს ერთიანი, საბოლოო დოკუმენტი (და არა წესდების თავდაპირველი ან რომელიმე სხვა ვერსია, ცვლილებებითა და დამატებებით)

   ბ) სამართლებრივი დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო თარიღამდე ერთი თვის ვადაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ქართულ და, ეროვნული **პრო**–საკლუბო ლიცენზიისთვის, ასევე, ინგლისურ ენებზე, რომელშიც, მინიმუმ, მითითებული იქნება:
      - სრული იურიდიული სახელწოდება,
      - სამართლებრივი ფორმა,
      - სათავო ოფისის მისამართი;
      - ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირი.

   გ) ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირების სია (თუ ასეთი არ არის ამონაწერში მითითებული ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, წარმოსადგენია ხელმოწერის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი);

   დ) ნოტარიულად დამოწმებული საჭირო ხელმოწერის ტიპი იმ უფლებამოსილი პირისათვის, ვინც ლიცენზირების პროცესში წარმოდგენილ რომელიმე ერთ დოკუმენტზე მაინც აწერს ხელს (მაგ., კოლექტიური, ინდივიდუალური, ა.შ.).

მუხლი 61. *ლიცენზიის მაძებლის იდენტობა, ისტორია და მემკვიდრეობა*

[არ განიხილება საბაგჩისო საკლუბო ლიცენზიისთვის]

1. ნებისიმიერი დეტალი, რომელიც შეადგენს ფეხბურთის კლუბის ვიზუალური იდენტობის ნაწილს, ოფიციალურ სახელთან და/ან შეჯიბრში მონაწილე გუნდის სახელთან დაკავშირებით და ან ერთობლიობაში, როგორიცაა კლუბის ოფიციალური გერბი, ლოგო, სხვა საფირმო ნიშნები და ოფიციალური ფერები, უნდა წარმოადგენდეს 11.1 პარაგრაფში განსაზღვრული ლიცენზიის მაძიებლის ან რეგისტრირებული წევრის (თუ განსხვავდება ლიცენზიის მაძიებლისგან) საკუთრებას და იყოს მისი ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ.

2. ლიცენზიის მაძიებლის იდენტობა უნდა იყოს რეგისტრირებული ლიცენზიართან, მის ისტორიასთან და მემკვიდრეობასთან ერთად, სპორტული მიღწევების ჩათვლით.

3. ამასთან ლიცენზიის მაძიებლის ლოგო უნდა იყოს სათანადოდ რეგისტრირებული

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში (საქპატენტში).

მუხლი 62. *სამართლებრივი ჯგუფის სტრუქტურა*

1. ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია საკუთარი ჯგუფის იურიდიული სტრუქტურის შესახებ, ოფიციალური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, ლიცენზიარისთვის სალიცენზიო განაცხადის წარდგენისთვის დადგენილ საბოლოო ვადამდე. დოკუმენტი უნდა ჩამოყალიბდეს სქემის სახით, თითოეული ფიზიკური თუ იურიდიული პირის შესახებ ცალ–ცალკე გრაფებისა და გამოკვეთილი როლების მითითებით.

2. ამ დოკუმენტში ნათლად, გარკვევით და ცალ–ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია:

   ა) ლიცენზიის მაძიებლის და, თუ განსხვავებულია, **სფფ**–ის რეგისტრირებული წევრის შესახებაც;
   ბ) ლიცენზიის მაძიებლის და, თუ განსხვავებულია, **სფფ**–ის რეგისტრირებული წევრის ყველა შვილობილი კომპანიის შესახებაც;
   გ) ლიცენზიის მაძიებლის და, თუ განსხვავებულია, **სფფ**–ის რეგისტრირებული წევრის ყველა ასოცირებული საწარმოს შესახებაც;
   დ) ნებისმიერი მხარის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ლიცენზიის მაძიებლის წილის ან ხმათა 10%–ს ან მეტს;
   ე) ლიცენზიის მაძიებლის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი/გავლენის მქონე სუბიექტის/საწარმოს შესახებ;
   ვ) ნებისმიერი სხვა საფეხბურთო კლუბის შესახებ, რომლის მიმართაც (ა)–(ე) პუნქტებში მითითებულ რომელიმე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ან იურიდიული პირის მთავარ/მნიშვნელოვან მმართველ პერსონალს გააჩნია რაიმე სახის საკუთრების ინტერესი, წილი ან ხმის უფლება და/ან აქვს რაიმე სხვა სახის ჩართულობა ან ზეგავლენა მის მენეჯმენტში, ადმინისტრირებაში, სპორტულ/საშეჯიბრო ნაწილშიდა/ან ფინანსური ან ოპერაციული პოლიტიკის მართვაში.
   ზ) ლიცენზიის მაძიებლის მთავარი მმართველი პერსონალისა და, თუ განსხვავებულია, იგივე სახის ინფორმაცია რეგისტრირებული წევრის შესახებაც.

3. ამ დოკუმენტში ასევე მკაფიოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული ანგარიშგების პერიმეტრი, როგორც ეს განმარტებულია 65–ე მუხლში.

4. ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში შემავალი თითოეული მხარის შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია:

   ა) სახელწოდება ქართულ და, ეროვნული **პრო–** საკლუბო ლიცენზიის შემთხვევაში, ინგლისურ ენებზე;
   ბ) იურიდიული ფორმა;
   გ) ოფისისა და ელ. ფოსტის მოქმედი და ოფიციალური მისამართები;
   დ) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი;
   ე) ძირითადი საქმიანობა; და
   ვ) წილობრივი მონაწილეობის პროცენტი (თუ განსხვავებულია, ხმის უფლებით მონაწილეობის პროცენტიც);

გარდა ამისა, ლიცენზიის მაძიებლის და, თუ განსხვავებულია, **სფფ**–ის რეგისტრირებული წევრების ყველა შვილობილი კომპანიის შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილო შემდეგი ინფორმაცია:

ზ) სააქციო (საწესდებო) კაპიტალი;
თ) მთლიანი აქტივები;
ი) მთლიანი ამონაგები; და
კ) მთლიანი კაპიტალი.

5. ლიცენზიარს უნდა ეცნობოს ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, რომელიც შესაძლოა განხორციელებულიყო იურიდიული ჯგუფის სტრუქტურაში, ოფიციალურ საანგარიშგებო თარიღსა და ამ ინფორმაციის ლიცენზირების პროცესში წარდგენის შორის პერიოდში.

6. თუ მიზანშეწონილია, ლიცენზიარს შეუძლია მოსთხოვოს ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა (მაგ. ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი და/ან უშუალო მაკონტროლებელი სუბიექტის ნებისმიერი შვილობილი და/ან ასოცირებული კომპანიის შესახებ).

7. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს, რომ იურიდიული ჯგუფის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს. ეს უნდა დადასტურდეს ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მოკლე განცხადებითა,ხელმოწერითა და ბეჭდით.

მუხლი 63. *საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, საბოლოო ბენეფიციარი ან გადაწყვეტილებისუნარიანი გავლენის მქონე მხარე*

1. ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს უნდა მიაწოდოს დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

ა) ლიცენზიის მაძიებლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე;
ბ) ლიცენზიის მაძიებლის საბოლოო ბენეფიციარი, ე.ი. ფიზიკური პირი, რომელსაც ეკუთვნის ან რომელიც აკონტროლებს სუბიექტსა თუ შეთანხმებას, ან რომლის სახელითაც ხდება ტრანზაქციის წარმოება ; და
გ) ნებისმიერი მხარე, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ან გადაწყვეტილებისუნარიანი გავლენა ლიცენზიის მაძიებელზე.

2. ზემოთ, 1–ელ პუნქტში მითითებულ თითოეულ მხარესთან დაკავშირებით უნდა იყოს მოცემული შემდეგი ინფორმაცია, ლიცენზიარისთვის ამ ინფორმაციის წარდგენის დღის მდგომარეობით:

ა) დასახელება და იურიდიული ფორმა;
ბ) ძირითადი საქმიანობა;
გ) საკუთრების წილის პროცენტული მაჩვენებელი და, თუ განსხვავებულია, ხმის მიცემის უფლებათა პროცენტული მაჩვენებელი ლიცენზიის მაძიებელ სუბიექტში;
დ) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და, საჭიროების შემთხვევაში, მთავარი მმართველი პერსონალი; და

ე) ნებისმიერი სხვა საფეხბურთო კლუბი, სადაც მხარეს ან მის რომელიმე მთავარ მმართველ პერსონალს გააჩნია საკუთრების წილი, ხმის მიცემის უფლება ან წევრობა, ან სხვა ნებისმიერი სახის ჩართულობა ან გავლენა.

3. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მიუთითოს ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ზემოთ, 1-2 პუნქტებში მოყვანილ ინფორმაციასთან მიმართებით,, რომელიც მოხდა ფინანსური ანგარიშგების პერიოდში, ლიცენზიარისთვის ინფორმაციის წარდგენამდე.

4. ზემოთ, მე-3 პუნქტით განსაზღვრული ცვლილების არსებობის შემთხვევაში, ის დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ლიცენზიის მაძიებლის მიერ ლიცენზიარისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში. როგორც მინიმუმ, უნდა იყოს მოცემული შემდეგი ინფორმაცია:

ა) ცვლილების შეტანის თარიღი;
ბ) ცვლილების შეტანის მიზეზებისა და დანიშნულების აღწერა;
გ) ცვლილების გავლენა ლიცენზიის მაძიებლის ფინანსურ, საოპერაციო და სპორტულ პოლიტიკაზე; და
დ) ცვლილების გავლენა ლიცენზიის მაძიებლის კაპიტალსა თუ სავალო მდგომარეობაზე

5. თუ რელევანტურია, ლიცენზიარს შეუძლია ლიცენზიის მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა.

6. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს, რომ დეკლარაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარის, საბოლოო ბენეფიციარისა და მნიშვნელოვანი ან გადაწყვეტილებისუნარიანი გავლენის მქონე მხარის შესახებ არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს. ეს უნდა დადასტურდეს როგორც ლიცენზიის მაძიებლის, ისე მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარის აღმასრულებელი ორგანოს/უფლებამოსილი ხელმომწერ(ებ)ის მოკლე განცხადებითა და ხელმოწერით.

მუხლი 64. *წერილობითი დასტური სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღებამდე*

1. კლუბების ლიცენზირების კომიტეტის მიერ ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პერიოდის დაწყებამდე შვიდი დღის განმავლობაში ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს უნდა წარუდგინოს წერილობითი დასტური, როგორც ეს განმარტებულია ლიცენზიარის მიერ მე-8 მუხლში.

2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს შემდეგი:

ა) ლიცენზიარისთვის წარდგენილი ყველა დოკუმენტის სისრულე და სიზუსტე;
ბ) მოხდა თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილება სალიცენზიო განაცხადთან ან ლიცენზირების რომელიმე კრიტერიუმთან დაკავშირებით;
გ) ჰქონდა თუ არა წინა პერიოდის შემოწმებული ფინანსური ანგარიშგების ბალანსში მოყვანილი თარიღის შემდეგ ადგილი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მოვლენებსა თუ პირობებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ლიცენზიის მაძიებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასეთ მოვლენებს/პირობებს განეკუთვნება, მაგალითად:

- ვადიანი სესხი, რომლის დაფარვის ვადა იწურება მისი გადავადების ან გადახდის

რეალური პერსპექტივის გარეშე;

- დამფინანსებლების ან სხვა კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის მაჩვენებლები;
- მნიშვნელოვანი ოპერაციული ზარალი ბოლოს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემდეგ;
- კრედიტორებისთვის ვალის დროულად დაბრუნების უუნარობა;
- დამფინანსებლებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებათა პირობების შესრულების უუნარობა;
- მატერიალური თაღლითობის ან შეცდომების გამოვლენა და დადასტურება, რომლებიც აჩვენებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის სწორი;
- ლიცენზიის მაძიებლის მიმართ აღძრული, მიმდინარე სასამართლო პროცესი, რომლის შედეგად წამოყენებულ მოთხოვნებსაც ის სავარაუდოდ ვერ შეასრულებს;
- სამართლებრივ საკითხებთან ან გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით ლიცენზიის მაძიებლის აღმასრულებელი პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობის ნაცვლად დაკისრებული აქვს გარე პირ(ებ)ს;
- ხელმძღვანელობის ზედა რგოლში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- ხელმძღვანელობის განზრახვა, მოახდინოს საწარმოს ლიკვიდაცია, შეაჩეროს ფუნქციონირება ან თავი დაიცვას კრედიტორებისგან კანონმდებლობის შესაბამისად, ან გადაწყვიტოს, რომ მას არ გააჩნია ამისი რეალური ალტერნატივა.
- სხვ.

ამგვარი ეკონომიკური მნიშვნელობის მოვლენისა თუ პირობის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობის რწმუნებულებებში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული მოვლენის ან პირობის დახასიათება და მისი ფინანსური ზეგავლენის შეფასება, ან აღინიშნოს, რომ ამგვარი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

დ) ჰქონდა/აქვს თუ არა ადგილი ლიცენზიის მაძიებლის ან მისი ანგარიშგების პერიმეტრში შემავალი მშობელი კომპანიის მიერ მცდელობას, კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურების თანახმად თავი დაიცვას კრედიტორებისგან სალიცენზიო სეზონის დაწყებამდე 12 თვის განმავლობაში.

3. ხელმძღვანელობის მხრიდან ზემოაღნიშნული დასტური დამოწმებული უნდა იყოს ლიცენზიის მაძიებლის აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერით.

მუხლი 65. *ანგარიშვალდებული საწარმო და ანგარიშგების პერიმეტრი*

1. ლიცენზიის მაძიებელი განსაზღვრავს და ლიცენზიარს მიაწვდის ანგარიშგების პერიმეტრს (ფარგლებს), ანუ აცნობებს, რომელი საწარმოს ან საწარმოების შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია (ერთი საწარმოს, კონსოლიდირებული თუ კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება) VI.B დანართის შესაბამისად, რომელიც უნდა შეფასდეს VIII დანართის შესაბამისად.

2. ანგარიშგების პერიმეტრი უნდა მოიცავდეს:

   ა) ლიცენზიის მაძიებელს და, თუ განსხვავებულია, **სფფ**-ის რეგისტრირებულ წევრსაც;
   ბ) ლიცენზიის მაძიებლის და, თუ განსხვავებულია, **სფფ**-ის რეგისტრირებულ წევრების ყველა შვილობილ საწარმოსაც;
   გ) ნებისმიერ საწარმოს, იმის მიუხედავად, არის თუ არა ის ჯგუფის იურიდიული სტრუქტურის შემადგენლობაში, რომელიც იღებს შემოსავალს და/ან ახორციელებს მომსახურებას და/ან ეწევა დანახარჯებს საფეხბურთო საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია ქვემოთ, მე-3 (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში.
   დ) ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში შემავალ ნებისმიერ სხვა საწარმოს, რომელიც იღებს შემოსავალს და/ან ახორციელებს მომსახურებას და/ან ეწევა დანახარჯებს საფეხბურთო საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია ქვემოთ, მე-3 (გ) - (ლ) ქვეპუნქტებში;

3. საფეხბურთო საქმიანობა მოიცავს:

   ა) თანამშრომლის (როგორც ეს ტერმინი განსაზღვრულია 70-ე მუხლში) დაქირავებას/აყვანას, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ან იურიდიული ვალდებულებებიდან თანამშრომლებზე წარმოშობილი ნებისმიერი ფორმის ანაზღაურების გადახდას;
   ბ) ფეხბურთელების რეგისტრაციების შეძენას/გაყიდვას (იჯარის ჩათვლით);
   გ) ბილეთების გავრცელებას;
   დ) სპონსორობასა და რეკლამას;
   ე) ტრანსლაციას;
   ვ) საქონლით ვაჭრობასა და გამასპინძლებას;
   ზ) კლუბის ოპერაციებს (ადმინისტრაცია, მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მგზავრობა, სკაუტინგი და სხვ.);
   თ) სტადიონის და საწვრთნელი ინფრასტრუქტურის გამოყენებასა და მართვას;
   ი) ქალთა ფეხბურთს;
   კ) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებას; და
   ლ) დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალს, რომელიც იწვევს ლიცენზიის მაძიებელზე ვალდებულებების დაკისრებას, ან ლიცენზიის მაძიებლის აქტივებითა თუ შემოსავლებით პირდაპირ ან ირიბად უზრუნველყოფილი ვალების წარმოქმნას.

4. ანგარიშგების პერიმეტრიდან საწარმოს გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საფეხბურთო საქმიანობა, რომელსაც ის ახორციელებს, უკვე მთლიანად ასახულია ანგარიშგების პერიმეტრში შემავალი რომელიმე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში; და

ბ) მისი საქმიანობა საერთოდ არ არის დაკავშირებული საფეხბურთო საქმიანობებთან, რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ, მე–3 პუნქტში, ან ფეხბურთის კლუბის მდებარეობებთან, აქტივებთან ან ბრენდთან; ან

გ) იგი არ არის არსებითი ანგარიშგების პერიმეტრში შემავალ ყველა საწარმოსთან შედარებით და არ ახორციელებს არც ერთ ისეთ საფეხბურთო საქმიანობას, რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ, მე–3 (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში.

5. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს სათანადო ხელმოწერით დამოწმებული განცხადება/დოკუმენტი, სადაც დადასტურებული იქნება, რომ:

ა) ზემოთ, მე–3 პუნქტში მითითებულ თითოეულ საფეხბურთო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველანაირი ამონაგები და დანახარჯები გათვალისწინებულია ანგარიშგების პერიმეტრში და თუ ასე არ არის, წარმოადგინოს დეტალური განმარტებები, რამ განაპირობა ეს; და

ბ) ანგარიშგების პერიმეტრიდან გამორიცხულია თუ არა ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში შემავალი რომელიმე საწარმო და თუ ასეა, წარმოადგინოს ამგვარი გადაწყვეტილების არგუმენტაცია/დასაბუთება ზემოთ, მე–4 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 66. *ფინანსური ანგარიშგება*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება (ქვემოთ, „ფინანსური ანგარიშგება/ები“):

ა) ლიცენზირების ძირითადი პროცესის წინ დასრულებული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგება. წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს აუდიტირებული წინამდებარე დებულებების IV დანართის მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული აუდიტორის მიერ და წარმოდგენილი იყოს აუდიტორული დასკვნა, შესაბამისი სტანდარტით; და

ბ) სალიცენზიო სეზონის წინა წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული 8–თვიანი ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნული 8–თვიანი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სალიცენზიო დოკუმენტაციის პირველადი წარმოდგენისას არ მოითხოვება. თუმცა, ლიცენზირების ორგანოების პირველი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე ან შემდგომ ეტაპებზე, ლიცენზიის მაძიებელი კლუბის მიერ მუხ. 66 დაკავშირებით არააუდიტირებული 8–თვიანი ფინანსური ანგარიშგების არასრულად/არასათანადოდ წარმოდგენის შემთხვევაში, **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების ორგანოები უფლებას იტოვებენ, მოსთხოვონ კლუბს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი წინამდებარე დებულებების IV დანართის მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული აუდიტორის მიერ და წარმოდგენილი იყოს აუდიტორული დასკვნა, შესაბამისი სტანდარტით, როგორც 8–თვიან, ისე, საჭიროების შემთხვევაში, განსხვავებულ, მაგ. 9–თვიან პერიოდზეც, ამ ორგანოების მიერვე დადგენილ ვადებში (მაგ., მეორე გადაწყვეტილების

მიღებისთვის, ა.შ.).

2. ფინანსური ანგარიშგება, მათ შორის, წინა პერიოდის შესადარისი ფინანსური მაჩვენებლები, უნდა იყოს შედგენილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ან ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შესაბამად (საჭიროების მიხედვით), და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) საბალანსო უწყისს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულის მდგომარეობით;
   ბ) მოგება–ზარალის უწყისს/ შემოსავლების განაცხადს საანგარიშგებო პერიოდისთვის;
   გ) ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს საანგარიშგებო პერიოდისთვის;
   დ) დეკლარაცია საანგარიშგებო პერიოდში საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
   ე) შენიშვნებს, რომლებიც უნდა მოიცავდეს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა–განმარტებით შენიშვნებს; და
   ვ) ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას.

მხოლოდ **ქალთა** კლუბების ლიცენზირებისთვის: როდესაც ქალთა საფეხბურთო გუნდები და აქტივობები იმავე იურიდიული პირის/საანგარიშგებო პერიმეტრის ნაწილია, როგორც კაცთა საფეხბურთო გუნდები და აქტივობები, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადგინოს ქალთა ფეხბურთის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები და მოამზადოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება V დანართის მოთხოვნების შესაბამისად.

3. ფინანსური ანგარიშგება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია V დანართში და მომზადდეს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა.

4. თუ ფინანსური ანგარიშგება არ აკმაყოფილებს ინფორმაციის წარდგენის მინიმალურ მოთხოვნებსა და აღრიცხვის პრინციპებს, როგორც ეს განსაზღვრულია V დანართში, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარუდგინოს ლიცენზიარს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

   ა) დამატებითი მონაცემები ინფორმაციის წარდგენის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მოყვანილია V დანართში; და
   ბ) აუდიტორის შეფასება, რომელიც ადასტურებს დამატებითი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეს. აღნიშნული შეფასება უნდა იყოს შედგენილი იგივე აუდიტორის მიერ, რომელიც ხელს აწერს ფინანსურ ანგარიშგებას **სფფ**–ის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.

5. თუ ფინანსური ანგარიშგება არ აკმაყოფილებს VI დანართში დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს, ლიცენზიის მაძიებელმა ასევე უნდა წარუდგინოს ლიცენზიარს ყოველივე შემდეგი:

   ა) განახლებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც აკმაყოფილებს VI დანართში დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ფარავდეს იგივე საანგარიშგებო პერიოდს და მოიცავდეს წინა შესადარისი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ფინანსურ მაჩვენებლებს;
   ბ) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის განცხადება იმის შესახებ, რომ განახლებული ფინანსური ანგარიშგება არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს; და
   გ) აუდიტორის შეფასება, რომელიც ადასტურებს განახლებული ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეს. აღნიშნული შეფასება უნდა იყოს შედგენილი იგივე

აუდიტორის მიერ, რომელიც ხელს აწერს ფინანსურ ანგარიშგებას **სფფ**–ის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.

მუხლი 67. *ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნება*

ლიცენზიის მაძიებელმა საკუთარ ან **სფფ**–ის ვებსაიტზე, **სფფ**–ის მიერ დადგენილ ვადაში (რომელიც არ უნდა სცდებოდეს **უეფა**–სთვის სალიცენზიო გადაწყვეტილებების შეტყობინების ვადას) და დადგენილი ფორმით უნდა გამოაქვეყნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) აუდიტორის მიერ შემოწმებული ფინანსური ინფორმაცია, **სფფ**–ის მიერ შეფასებული ბოლო საანგარიშო პერიოდისათვის:
- შეფასების თარიღისთვის დასრულებული 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება;

და
- სალიცენზიო სეზონის წინა წლის 8–თვიანი (ან სალიცენზიო ორგანოების მიერ დადგენილი განსხვავებული პერიოდის) ფინანსური ანგარიშგება (აუდიტირებული, სალიცენზიო ორგანოების მოთხოვნის შემთხვევაში);

და

ბ) ბოლო საანგარიშო პერიოდში აგენტებისთვის/შუამავლებისთვის ან მათ სასარგებლოდ გადახდილი საერთო თანხა.

[ეს ბ) პუნქტი არ განიხილება საბაგისო საკლუბო ლიცენზიისა და ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

მუხლი 68. *წმინდა კაპიტალის წესები*

[68–ე მუხლი არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ლიცენზიის მაძიებელმა თავის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს წმინდა კაპიტალის პოზიცია, რომელიც არის:

   ა) დადებითი; ან
   ბ) 10%–ით ან მეტით გაუმჯობესებული წინა 31 აგვისტოს შემდეგ.

2. წმინდა კაპიტალი ნიშნავს საწარმოს აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია მის ფინანსურ ანგარიშგებაში. თუ ლიცენზიის მაძიებლის აქტივები აღემატება მის ვალდებულებებს, ე.ი. ლიცენზიის მაძიებელს აქვს წმინდა აქტივების პოზიცია, ანუ დადებითი კაპიტალი. თუ ლიცენზიის მაძიებლის ვალდებულებები აღემატება მის აქტივებს, ე.ი. ლიცენზიის მაძიებელს აქვს წმინდა ვალდებულების პოზიცია, ანუ უარყოფითი კაპიტალი.

3. თუ ლიცენზიის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ 1 პუნქტს 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია წარადგინოს ახალი შემოწმებული საბალანსო უწყისი არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა რათა აჩვენოს, რომ ზემოთ, 1 (ა) ან (ბ) პუნქტის პირობები იქნა შესრულებული.

4. აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, კაპიტალი შეიძლება მოიცავდეს სუბორდინირებულ უპროცენტო სესხებს, რომლებიც სულ მცირე მომდევნო 12 თვის

მანძილზე დაექვემდებარება ყველა სხვა ვალდებულებებს.

5. ლიცენზიარის შეფასება უნდა შეესაბამებოდეს VIII დანართს.

მუხლი 69. *ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა ფეხბურთის კლუბების მიმართ*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ სალიცენზიო სეზონის წინა 15 ოქტომბრის მდგომარეობით სხვა საფეხბურთო კლუბების მიმართ არ გააჩნია ვადაგადაცილებული ვალდებულება (როგორც ეს განსაზღვრულია VII დანართში), რომლებიც წარმოიქმნება სალიცენზიო სეზონის წინა 31 აგვისტომდე განხორციელებული სატრანსფერო ოპერაციებიდან. წინამდებარე 69-ე მუხლის ფარგლებში, **ქალთა** კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის განიხილება/შეფასდება მხოლოდ ქალი ფეხბურთელების ტრანსფერები/რეგისტრაციები [როგორც ქვემოთ მიეთითიება ფრჩხილებში].

2. ვალდებულებად ითვლება ის დავალიანება საფეხბურთო კლუბებისადმი, რომელიც მოიცავს შემდეგს:

   ა) პროფესიონალი [ქალი] ფეხბურთელების ტრანსფერს (როგორც ეს განსაზღვრულია ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ **ფიფა**-ს ან/და **სფფ**-ის დებულებებში), მათ შორის გარკვეული პირობების შესრულებისას გადასახდელ ნებისმიერ თანხას.
   ბ) პროფესსიონალებად პირველად დარეგისტრირებულ [ქალ] ფეხბურთელებს, მათ შორის გარკვეული პირობების შესრულებისას გადასახდელ ნებისმიერ თანხას.
   გ) ფეხბურთელთა წვრთნის კომპენსაციას და სოლიდარობის გადასახადს [ქალ ფეხბურთელებთან დაკავშირებით], როგორც ეს განსაზღვრულია **ფიფა**-ს ან/და **სფფ**-ის „დებულებებში ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ"; და
   დ) [ქალი] ფეხბურთელის მიერ კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილ ნებისმიერ ერთობლივ თუ პირად ვალდებულებას.

3. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და ლიცენზიარს წარუდგინოს ტრანსფერების ცხრილი. ეს ცხრილი უნდა მომზადდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამის პერიოდში არ მომხდარა ტრანსფერები/იჯარა.

4. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია ყოველივე შემდეგზე:
   ა) ყველა ახალი [ქალი] ფეხბურთელის რეგისტრაციები (იჯარის ჩათვლით), რომლებიც წარმოიქმნა 31 აგვისტომდე 12 თვის პერიოდში გაფორმებული სატრანსფერო ხელშეკრულებების შედეგად (მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დავალიანება 31 აგვისტოს მდგომარეობით);
   ბ) [ქალი ფეხბურთელების] ყველა ტრანსფერი, რომელთან დაკავშირებითაც 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებობს გარკვეული დავალიანება (მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა ტრანსფერი და უკავშირდება თუ არა ის ფეხბურთელის რეგისტრაციას თუ გათავისუფლებას); და
   გ) [ქალი ფეხბურთელების] ყველა ტრანსფერი, რომელთან დაკავშირებითაც 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებობს დავა (როგორც ეს განსაზღვრულია VII დანართში).

5. ტრანსფერების ცხრილი თითოეული [ქალი] ფეხბურთელის ტრანსფერის/იჯარის შესახებ

უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას:

ა) მონაცემებს ფეხბურთელზე (ვინაობასა და დაბადების თარიღს);
ბ) ტრანსფერის (ან იჯარის) ხელშეკრულების გაფორმების თარიღს;
გ) იმ ფეხბურთის კლუბის დასახელებას, რომელიც მანამდე ფლობდა რეგისტრაციას;
დ) ტრანსფერის (ან იჯარის) ღირებულებას ან/და გადასახდელ თანხას (წვრთნის კომპენსაციისა და სოლიდარობის გადასახადის ჩათვლით), თუნდაც კრედიტორი არ მოითხოვდეს გადახდას;
ე) ფეხბურთელის რეგისტრაციის შესაძენად გადახდილ და/ან გადასახდელ სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
ვ) სატრანსფერო ხელშეკრულების მიხედვით გადახდილ ან გადასახდელ სხვა ნებისმიერ კომპენსაციას;
ზ) 31 აგვისტომდე გადახდილ თანხებს (როგორც ეს განსაზღვრული VII დანართში) და გადახდის თარიღებს;
თ) 31 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი ნაშთი, თითოეული გადაუხდელი ნაწილისთვის გადახდის ვად(ებ)ის მითითებით.
ი) 31 აგვისტოს მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, თითოეული გადაუხდელი ნაწილისთვის გადახდის ვად(ებ)ის მითითებით; 31 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე გადახდილი თანხები და გადახდის თარიღები; ასევე 15 ოქტომბრის მდგომარეობით დარჩენილი (31 აგვისტოდან გადმოსული) ვადაგადაცილებული თანხები, განმარტებასთან ერთად.
კ) 31 აგვისტოს მდგომარეობით გადავადებული თანხები (რომლებიც განსაზღვრულია VII დანართში), თითოეული გადავადებული ნაწილის თავდაპირველი და ახალი ვად(ებ)ის, ასევე მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების თარიღის მითითებით.
ლ) 31 აგვისტოს მდგომარეობით დაფიქსირებული სადავო თანხები (რომლებიც განსაზღვრულია VII დანართში), მათ შორის სასამართლო საქმის ცნობები და ყველა ჩართული მხარის პოზიციების მოკლე აღწერა; და
მ) პირობითი თანხები (პირობითი ვალდებულებები) რომლებიც ჯერ არ არის ასახული ბალანსში 31 აგვისტოს მდგომარეობით.

6. ლიცენზიის მაძიებელმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს თავისი ტრანსფერების ცხრილით განსაზღვრული ვალდებულებები თავის ძირითად ბუღალტრულ აღრიცხვასთან.

7. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ტრანსფერების ცხრილი არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს. ეს უნდა დადასტურდეს აღმასრულებელი ორგანოს/ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი ხელმომწერების მოკლე განცხადებითა და ხელმოწერით.

მუხლი 70. *ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა თანამშრომელთა მიმართ*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ სალიცენზიო სეზონის წინა 15 ოქტომბრის მდგომარეობით არ გააჩნია თანამშრომლების მიმართ ვადაგადაცილებული ვალდებულებები (რომლებიც განსაზღვრულია VII დანართში), რომლებიც წარმოიშვა სალიცენზიო სეზონის წინა 31 აგვისტომდე გადასახდელი სახელშეკრულებო ან

სამართლებრივი ვალდებულებების შედეგად.

2. ვალდებულებად მიიჩნევა ნებისმიერი ფორმის ანაზღაურების დავალიანება, რომელსაც თანამშრომლებს უხდიან გაფორმებული ხელშეკრულებების ან იურიდიული ვალდებულებების შესაბამისად, მათ შორის, ხელფასები, სარგოები, იმიჯის გამოყენების უფლების საფასური, პრემიები და სხვა გასამრჯელო, კერძოდ:

   i. მთლიანი (ბრუტო) ხელფასი, ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადისა და თანამშრომელთა სოციალური დაცვის გადასახადის ჩათვლით;
   ii. არაფულადი შეღავათები ახლანდელ სამუშაო ადგილზე, მაგ. სარგებელი ნატურით, წვდომა კერძო სამედიცინო მომსახურებაზე, საცხოვრებელი, მანქანები, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი და მომსახურებები;
   iii. ხელმოწერის და ლოიალურობის გადასახადები;
   სპორტული და სხვა პრემიები
   iv. დასაქმების შემდგომი შეღავათები, მათ შორის საპენსიო შენატანები და პენსიაზე გასვლისას გადასახდელი ნებისმიერი ერთიანი თანხა, და დასაქმების შემდგომი ნებისმიერი სხვა შეღავათი, მაგ. სიცოცხლის დაზღვევა და წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე
   v. თანამშრომელთა სხვა გრძელვადიანი შეღავათები, მაგ. გრძელვადიანი ანაზღაურებადი გაცდენები, საიუბილეო ან სხვა შეღავათები ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის, მოგებისა და პრემიების გაზიარება და გადავადებული ანაზღაურება
   vi. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებული გადასახადები/შეღავათები
   vii. საქმიანობის ან სხვა სახელშეკრულებო პრემიები
   viii. საიმიჯო უფლებების პირდაპირი ან ირიბი გადასახადები, რომლებიც უკავშირდება თანამშრომელთა იმიჯის ან რეპუტაციის გამოყენების სახელშეკრულებო უფლებებს სარეკლამო, მედია ან მხარდაჭერის სამუშაოებს საფეხბურთო ან/და არასაფეხბურთო საქმიანობასთან მიმართებაში;
   ix. დამსაქმებლის სოციალური უზრუნველყოფის გადასახადები
   x. ნებისმიერი სხვა ფორმის გასათვალისწინებელი გადასახადები (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა), როგორიცაა კრიპტოვალუტა, კრიპტოაქტივები, ფან–ტოკენები და არაჩანაცვლებადი ტოკენები (NFT); და
   xi. მესამე მხარის მიერ შესაბამისი პირის მიმართ გაწეული ყველა ხარჯი, რომელიც უკავშირდება ჩატარებულ თამაშებს, სპონსორობას, მხარდაჭერას ან სავაჭრო საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიცენზირებულს შეუძლია CFCB–ის დაუმტკიცოს, რომ შეთანხმება არის ნამდვილი, სამართლიანი ღირებულების, და სპონსორს/მესამე მხარესა და ლიცენზირებულს შორის რაიმე ურთიერთობისგან დამოუკიდებლად შეთანხმებული და გაფორმებული.

3. ტერმინი „თანამშრომელი“ მოიცავს შემდეგ პირებს:

   ა) ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს, **ფიფა**–ს ან/და **სფფ**–ის „ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებების“ შესაბამისად (**ქალთა** კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის, წინამდებარე მე–3.ა პარაგრაფის ფარგლებში განიხილებიან/შეფასდებიან მხოლოდ ქალი ფეხბურთელები), და

ბ) იმ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ, სამედიცინო და დაცვის პერსონალს, რომლებიც განსაზღვრულია 30-ე და 36-53 მუხლებში (**ქალთა** კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის, წინამდებარე მე-3.ბ პარაგრაფის ფარგლებში განიხილებიან/შეფასდებიან მხოლოდ ის პირები, ვინც დაკავშირებულია **ქალთა** კლუბების ლიცენზირებასთან).

გ) მომსახურების მიმწოდებლებს (სერვის პროვაიდერებს), რომლებიც ასრულებენ 30-ე და 36-53 მუხლში მითითებულ ფუნქციებს (**ქალთა** კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის, წინამდებარე მე-3.გ პარაგრაფის ფარგლებში განიხილებიან/შეფასდებიან მხოლოდ ის პირები, ვინც დაკავშირებულია **ქალთა** კლუბების ლიცენზირებასთან).

4. თუ რომელიმე „თანამშრომელი“ არის დასაქმებული, ხელშეკრულებით დაკავშირებული, ან საკონსულტაციო ან სხვაგვარ მომსახურებებს უწევს იურიდიული ჯგუფის სტრუქტურაში ან საანგარიშგებო პერიმეტრში შემავალ საწარმოს, გარდა ლიცენზიის მაძიებლისა, აღნიშნული გადასახდელები ასევე უნდა იყოს შეყვანილი ზემოთ 1 პუნქტის არეალში.

5. იმ პირებისთვის გადასახდელი თანხები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო აღარ არიან დასაქმებული ლიცენზიის მაძიებლის ან მისი იურიდიული ჯგუფის სტრუქტურაში შემავალი საწარმოს მიერ, ხვდება წინამდებარე კრიტერიუმის არეალში და უნდა იქნას გადახდილი ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ხდება ფინანსურ ანგარიშგებებში მათი აღრიცხვა.

6. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და წარუდგინოს აუდიტორს და ლიცენზიარს თანამშრომელთა ცხრილი (უწყისი), რომელიც ასახავს შემდეგ ჯამურ ნაშთს თანამშრომლებთან მიმართებაში, სალიცენზიო სეზონის წინა 31 აგვისტოს მდგომარეობით:

ა) მთლიანი გადასახდელი ნაშთი;

ბ) მთლიანი ვადაგადაცილებული თანხა, ისევე როგორც ნებისმიერი დარჩენილი ვადაგადაცილებული თანხა 15 ოქტომბრის (31 აგვისტოდან გადმოსული) მდგომარეობით;

გ) მთლიანი გადავადებული თანხა (რომელიც განსაზღვრულია VII დანართში); და

დ) მთლიანი სადავო თანხა (რომელიც განსაზღვრულია VII დანართში).

ე) ყველა თანამშრომელი, რომელიც დასაქმებული იყო საანგარიშგებო წლის ნებისმიერ მომენტში, 31 აგვისტომდე – ანუ, არა მხოლოდ ისინი, ვინც დასაქმებული იყო პერიოდის ბოლოს (31 აგვისტოს);

ვ) ყველა თანამშრომელი, რომლის მიმართაც არსებობს დავალიანება 31 აგვისტოსთვის, იმის მიუხედავად, ეს თანამშრომელი მუშაობდა თუ არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, 31 აგვისტომდე; და

ზ) ყველა თანამშრომელი, რომლის მიმართაც საქმეა აღძრული ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ სათანადო უფლებამოსილ ორგანოში, ან ფეხბურთის ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოებში, ან სათანადო საარბიტრაჟო სასამართლოში.

7. 31 აგვისტოს მდგომარეობით, ყოველი ვადაგადაცილებული, გადავადებული ან სადავო თანხის შესახებ უნდა იყოს მოცემული, როგორც მინიმუმ, შემდეგი ინფორმაცია, ახსნა-განმარტებასთან ერთად:

ა) დასაქმებულის ვინაობა და თანამდებობა/ფუნქცია (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის

დასაქმებული 31 აგვისტოს წინა პერიოდში);

გ) მუშაობის დაწყების და დასრულების თარიღები (მათი არსებობის შემთხვევაში);

დ) ვადაგადაცილებული თანხები, თითოეული გადაუხდელი ნაწილისთვის გადახდის ვად(ებ)ის მითითებით; 31 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე გადახდილი თანხები და გადახდის თარიღები; ასევე 15 ოქტომბრის მდგომარეობით დარჩენილი (31 აგვისტოდან გადმოსული) ვადაგადაცილებული თანხები;

ე) გადავადებული თანხები, თითოეული გადადებული ნაწილისთვის გადახდის ვად(ებ)ის მითითებით, და მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების თარიღი; და

ვ) სადავო თანხები, მათ შორის სასამართლო საქმის ცნობები და ყველა ჩართული მხარის პოზიციების მოკლე აღწერა.

8. ლიცენზიის მაძიებელმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს თავისი თანამშრომლების ცხრილით განსაზღვრული ვალდებულებები თავის ძირითად ბუღალტრულ აღრიცხვასთან.

9. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს, რომ თანამშრომელთა ცხრილი არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს. ეს უნდა დადასტურდეს აღმასრულებელი ორგანოს/ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი ხელმომწერების მოკლე განცხადებითა და ხელმოწერით.

მუხლი 71. *ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა სოციალური/საგადასახადო ორგანოების მიმართ*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ სალიცენზიო სეზონის წინა 15 ოქტომბრის მდგომარეობით არ გააჩნია სოციალური/საგადასახადო ორგანოების მიმართ ვადაგადაცილებული ვალდებულებები (რომლებიც განსაზღვრულია VII დანართში), რომლებიც წარმოიშვა სალიცენზიო სეზონის წინა 31 აგვისტომდე გადასახდელი სახელშეკრულებო ან სამართლებრივი ვალდებულებების შედეგად.

2. გადასახდელები არის სოციალური/საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი თანხები, რომლებიც უკავშირდება ყველა დასაქმებული პირის მიმართ არსებულ სახელშეკრულებო ან სამართლებრივ ვალდებულებებს. გადასახდელები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პირადი საშემოსავლო გადასახადებით, საპენსიო ფონდის გადასახადებით, სოციალური უზრუნველყოფითა და მსგავსი გადასახადებით.

3. ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარსა და აუდიტორს უნდა წარუდგინოს სოციალური/საგადასახადო ცხრილი, რომელშიც ნაჩვენები იქნება ყოველივე შემდეგი, სალიცენზიო სეზონის წინა 31 აგვისტოს მდგომარეობით:

ა) სოციალური/საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი მთლიანი ნაშთი;

ბ) მთლიანი ვადაგადაცილებული მთლიანი თანხა, ისევე როგორც ნებისმიერი დარჩენილი ვადაგადაცილებული (31 აგვისტოდან გადმოსული) თანხა 15 ოქტომბრის მდგომარეობით;

გ) მთლიანი გადავადებული თანხა (რომელიც განსაზღვრულია VII დანართში);

დ) მთლიანი სადავო თანხა (რომელიც განსაზღვრულია VII დანართში); და

ე) მთლიანი თანხა, რომელიც ექვემდებარება კომპეტენტური ორგანოს სამომავლო გადაწყვეტილებას (როგორც ეს განსაზღვრულია VII დანართში).

4. 31 აგვისტოს მდგომარეობით ყველა ვადაგადაცილებულ, გადავადებულ, სადავო ან

განხილვას დაქვემდებარებულ თანხებთან დაკავშირებით უნდა იქნას წარდგენილი, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია, შესაბამისი განმარტებით:

ა) კრედიტორის ვინაობა;
ბ) ვადაგადაცილებული თანხები, თითოეული გადაუხდელი ნაწილისთვის გადახდის ვად(ებ)ის მითითებით; 31 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე გადახდილი თანხები და გადახდის თარიღები; ასევე 15 ოქტომბრის მდგომარეობით დარჩენილი (31 აგვისტოდან გადმოსული) ვადაგადაცილებული თანხები;
გ) გადავადებული თანხები, თითოეული გადადებული ნაწილის თავდაპირველი და ახალი ვად(ებ)ის, ასევე მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების თარიღის მითითებით;
დ) თანხები, რომლებიც ექვემდებარება კომპეტენტური ორგანოს სამომავლო გადაწყვეტილებას, ასევე ლიცენზიის მაძიებლის მოთხოვნის მოკლე აღწერა; და
ე) სადავო თანხები, მათ შორის სასამართლო საქმის ცნობები და ყველა ჩართული მხარის პოზიციების მოკლე აღწერა.

5. ლიცენზიის მაძიებელმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს თავისი სოციალური/საგადასახადო ცხრილით განსაზღვრული ვალდებულებები თავის ძირითად ბუღალტრულ აღრიცხვასთან.

6. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს, რომ სოციალური/საგადასახადო ცხრილი არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს. ეს უნდა დადასტურდეს აღმასრულებელი ორგანოს/ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი ხელმომწერების მოკლე განცხადებითა და ხელმოწერით.

მუხლი 72. *ვადაგადაცილებული ვალდებულების არქონა ფეხბურთის მმართველი ორგანოების მიმართ*

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ სალიცენზიო სეზონის წინა 15 ოქტომბრის მდგომარეობით არ გააჩნია **სფფ**-ის ან ამ უკანასკნელის სუბიექტების (მაგ., რფფ-ის, წევრი **ლიგის** ან **ასოციაციის,** ა.შ.) მიმართ ვადაგადაცილებული ვალდებულებები (რომლებიც განსაზღვრულია VII დანართში), რომლებიც წარმოიშვა სალიცენზიო სეზონის წინა 31 აგვისტომდე გადასახდელი ვალდებულებების შედეგად.

2. **სფფ**-ისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება **სფფ**-ის იურიდიული ორგანოების მიერ დაწესებული ფინანსური შენატანებით.

3. ლიცენზიარის მიერ დაწესებულ ვადებში და ფორმით, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს **სფფ**-ის ან **სფფ**-ის სუბიექტებისთვის გადასახდელ მთლიან თანხას, ასევე ვადაგადაცილებული გადასახდელების არარსებობას ან არსებობას.

მუხლი 73. *პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია*

[მუხლი 73 არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს პერსპექტიული ფინანსური

ინფორმაცია, რათა ლიცენზიარს დაუდასტუროს, რომ შესწევს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, სალიცენზიო სეზონის დასასრულამდე, თუკი საწარმოს ფუნქციონირებადობის შესახებ აუდიტორის დასკვნა 66–ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მოიცავს მნიშვნელოვანი გარემოების ხაზგასმას, აუდიტის ძირითად საკითხს ან კვალიფიციურ აზრს/დასკვნას.

2. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს იმ პერიოდს, რომელიც იწყება უშუალოდ ოფიციალური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ და გრძელდება, მინიმუმ, სალიცენზიო სეზონის ბოლომდე.

3. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

   ა) ბიუჯეტში გათვლილ ბალანსს, წინა საანგარიშო პერიოდის შესადარისი მაჩვენებლებით.
   ბ) ბიუჯეტში გათვლილი მოგება–ზარალის ანგარიშს/შემოსავლის ანგარიშგებას, წინა საანგარიშო პერიოდის შესადარისი მაჩვენებლებით;
   გ) ბიუჯეტის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, წინა საანგარიშო პერიოდის შესადარისი მაჩვენებლებით;
   დ) ახსნა–განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შეიცავს პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებული თითოეული მნიშვნელოვანი დაშვების მოკლე აღწერას (შესაბამისი გასული პერიოდის ფინანსური და სხვა ინფორმაციის სათანადო ასპექტების მითითებით), ასევე ისეთი ძირითადი რისკების მოკლე დახასიათებას, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიონ სამომავლო ფინანსურ შედეგებზე.

4. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია უნდა მომზადდეს, მინიმუმ, ყოველკვარტალურად.

5. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია უნდა მომზადდეს აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან შესაბამისობაში და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, რაც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა უკანასკნელი ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისა, რომლებიც აისახება შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში; ასეთ შემთხვევაში ეს დეტალურად უნდა აღიწეროს.

6. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციის წარმოდგენის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია V დანართში და აგრეთვე, VI დანართში ჩამოყალიბებულ ანგარიშგების პრინციპებს. ამას გარდა, დამატებითი პუნქტები ან შენიშვნები უნდა იყოს მოცემული იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ დაზუსტებებს ან თუ მათ გარეშე პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია იქნება არასრული ან/და უზუსტო.

7. ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობამ უნდა დაამტკიცოს პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია და დაშვებები, რომლებსაც ის ეფუძნება. ეს უნდა დადასტურდეს ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის განცხადებით იმის შესახებ, რომ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 74. *დანართები*

წინამდებარე დებულებების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 75. *შესაბამისობის შემოწმებები და მონიტორინგის პროცესი*

1. **სფფ**–ის ადმინისტრაცია და/ან ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი მანდატით აღჭურვილი სააგენტოები, შემფასებლები ან სხვა ორგანოები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს ჩაატარონ ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის შესაბამისობის შემოწმება.

2. შესაბამისობის შემოწმებები მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ მაძიებელმა/ლიცენზირებულმა შეასრულა წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული საკუთარი ვალდებულებები და შესაბამისი ეროვნული ლიცენზია გაიცა სამართლიანად.

3. **სფფ**–ის ადმინისტრაციას შეუძლია მიანიჭოს უფლება და მიუთითოს მესამე მხარეს სააგენტოებს, შემფასებლებს ან სხვა ორგანოებს, ჩაატარონ შესაბამისობის შემოწმება.

4. ეროვნული ლიცენზიის მფლობელი ნებისმიერი კლუბი, რომელიც სალიცენზიო სეზონში დაიშვება ლიცენზირებად ლიგაში ასპარეზობისთვის, ვალდებულია გაიაროს მონიტორინგის პროცესი, **სფფ**–ის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის შინაარსს და გრაფიკს ადგენს **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია. მონიტორინგის პროცესში, **ლმა**–ის მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან ერთად, ლიცენზირებულ კლუბს მოეთხოვება დადგენილ ვადებში წარმოადგინოს შეფასების თარიღისთვის დასრულებული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა იყოს აუდიტირებული წინამდებარე დებულებების IV დანართის მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული აუდიტორის მიერ და წარმოდგენილი იყოს აუდიტორული დასკვნა, შესაბამისი სტანდარტით.

5. ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებული კლუბის მოვალეობების შესაბამისად, წინამდებარე დებულების მიხედვით და იმისთვის, რომ უფლებამოსილმა მესამე მხარემ განახორციელოს საქმიანობა შესაბამისობის აუდიტთან მიმართებაში, ლიცენზიარი (**სფფ**)/ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული კლუბი ვალდებულია და თანახმაა, რომ გარკვეული ფინანსური და სხვა სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს **სფფ**–ისა და მესამე მხარისთვის, რომელსაც უფლება აქვს ჩაატაროს შესაბამისობის აუდიტი.

6. **სფფ**–ისა და უფლებამოსილი მესამე მხარისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული კლუბი, **სფფ** და უფლებამოსილი მესამე მხარე გააფორმებენ კონფიდენციალობის ხელშეკრულებას. ამგვარი კონფიდენციალობის ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობით.

7. ნებისმიერი დავა **სფფ**–სა და ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულ კლუბე შორის, რომელიც წარმოიქმნება კონფიდენციალობის ხელშეკრულებიდან ან სხვაგვარად უკავშირდება მას, უნდა წარედგინოს მხოლოდ **სფფ**–ის წესდებით აღიარებულ საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

მუხლი 76. *განხორციელების მოთხოვნები*

ლმა იღებს გადაწყვეტილებებს და დირექტივების, ცირკულარების ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის სახით აყალიბებს წინამდებარე დებულებების განსახორციელებლად საჭირო დეტალურ მოთხოვნებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლების და/ან ლიცენზირებულებისთვის. **ლმა** ასევე კომპეტენტურია გააკეთოს განმარტებები წინამდებარე დებულებების ტექსტთან დაკავშირებით, გაუგებრობების შემთხვევაში.

მუხლი 77. *მიღება, ანულირება, ცვლილებების შეტანა და ძალაში შესვლა*

1. **სფფ**–ის კლუბების [ეროვნული] ლიცენზირების წინამდებარე დებულებები საქართველოს ჩემპიონატის **ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში, ლიგა 4-ში** და **ქალთა ეროვნულ ლიგაში** მონაწილეობისთვის დამტკიცებულია **სფფ**–ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2025 წლის 14 ივნისს.

2. წინამდებარე დებულებები ძალაში შედის **სფფ**–ის აღმასკომის მიერ დამტკიცებისთანავე და ცვლის **სფფ**–ის ყველა წინამორბედ დებულებას/მოთხოვნას ამ საკითხთან დაკავშირებით.

3. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების წინამდებარე წინამდებარე დებულებები არ შეიძლება შეიცვალოს ლიცენზირების პროცესის განმავლობაში, **სფფ**–ის აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

სფფ–ის აღმასკომის სახელით:

ლევან კობიაშვილი
პრეზიდენტი

დავით მუჯირი
გენერალური მდივანი

თბილისი, 14.06.2025

დანართები

დანართი I. სანქციების კატალოგი (მე-7 მუხლი)

A - მოქმედების სფერო

1. მე-7 მუხლიდან გამომდინარე, წინამდებარე დანართში ჩამოყალიბებულია მოსალოდნელი სანქციები (კატალოგი) ლიცენზიის მაძიებლების/ლიცენზირებულების მიმართ, მათ მიერ წინამდებარე დებულებების 15.2 პუნქტში მითითებული კრიტერიუმების შეუსრულებლობისა და დებულებების სხვა მოთხოვნების, ასევე დისციპლინური დარღვევებისთვის.

2. ლიცენზიის მაძიებლისთვის/ლიცენზირებულისთვის წინამდებარე კატალოგით განსაზღვრული სანქციის დაწესება წარმოადგენს **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების (როგორც განსაზღვრულია მე-6 მუხლში) ექსკლუზიურ უფლებას.

B - მეორადი/სანქცირებადი კრიტერიუმების (მუხ. 15.2) დარღვევები

1. კაცთა და ქალთა ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობის მიღების მიზნებისთვის, ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებების 15.2 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმების დარღვევისთვის, ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზირებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები:
   - გაფრთხილება;
   - ჯარიმა 1'000-დან 5'000 ლარამდე - 15.2 პუნქტში მითითებულ თითოეულ შეუსრულებელ კრიტერიუმზე, ეროვნული **პრო-** და **ა-** საკლუბო ლიცენზიებისთვის;
   - ჯარიმა 500-დან 2'000 ლარამდე - 15.2 პუნქტში მითითებულ თითოეულ შეუსრულებელ კრიტერიუმზე, ეროვნული **ბ-** საკლუბო ლიცენზიისთვის;
   - ჯარიმა 300-დან 500 ლარამდე - 15.2 პუნქტში მითითებულ თითოეულ შეუსრულებელ კრიტერიუმზე, **საბაზისო** და **ქალთა** ეროვნული საკლუბო ლიცენზიებისთვის;
   - დამატებითი/ნაკლული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება;
   - დამატებითი/დარღვეული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება;
   - 3 ქულამდე დაკლება თითოეულ შეუსრულებელ კრიტერიუმზე, როგორც მიმდინარე, ასევე დამდეგ ეროვნულ ჩემპიონატ(ებ)ში
   - ახალი ფეხბურთელების რეგისტრაციის აკრძალვა გარკვეული ვადით;
   - ლიცენზიის ჩამორთმევა.

   ეს სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ-ცალკე ან კომბინირებულად.
2. ლიცენზირების პროცესის არგავლის ან არასრულად გავლის შემთხვევა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ყველა სავალდებულო და სანქცირებადი კრიტერიუმის დარღვევა.

C - სანქციირების ტიპები ლიცენზირების დებულებების სხვა (მუხ. 15 განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევების გარდა) მოთხოვნებისა და დისციპლინური დარღვევებისთვის

1. ზემოთ, ამავე დანართის B ქვეთავში აღნიშნული დარღვევების გარდა, ლიცენზირების დებულებების სხვა მოთხოვნების და დისციპლინური დარღვევებისთვის ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზირებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი სანქციები:
   - გაფრთხილება;
   - ფულადი ჯარიმა წინამდებარე კატალოგით განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების ფარგლებში;
   - დამატებითი/ნაკლული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება;
   - დამატებითი/დარღვეული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება;
   - ქულების დაკლება, დარღვევის სიმძიმის შესაბამისად, როგორც მიმდინარე, ასევე დამდეგ ეროვნულ ჩემპიონატ(ებ)ში;
   - ახალი ფეხბურთელების რეგისტრაციის აკრძალვა გარკვეული ვადით;
   - ლიცენზიის ჩამორთმევა.

   ეს სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ–ცალკე ან კომბინირებულად.
2. ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ, რომელიც აწესებს დისციპლინურ სანქციას, დარღვევის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების შესაბამისად, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყენოს საკუთარი დისკრეციული უფლება და შეამციროს ან გაზარდოს ზემოთ, 1 პუნქტში ჩამოთვლილი სტანდარტული სანქციები, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საქმის გარემოებების საფუძველზე.

D - დარღვევებისა და სანქციების ჩამონათვალი კლუბების ლიცენზირების მიზნებისთვის

1. სანქციები ლიცენზიის მაძიებლის და/ან ლიცენზირებულის მიერ **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების დებულებების მოთხოვნების დარღვევისთვის, რომელიც არ შედის ზემოთ, ამავე დანართის B ქვეთავის ფარგლებში, განისაზღვრება შემდეგნაირად:
   1.1. **ლიცენზირების ძირითადი პროცესის დარღვევა** (მაგ., ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრული ვადების დარღვევა და სხვ.)
      i. გაფრთხილება; ან
      ii. კაცთა კლუბებისთვის: ჯარიმა 300–დან 3'000 ლარამდე თითოეული დარღვევის შემთხვევაში და/ან 100 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე; ან
      iii. ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის: ჯარიმა 50–დან 250 ლარამდე თითოეული დარღვევის შემთხვევაში და/ან 25 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე;
      iv. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა

სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.2. **წინასწარ დაგეგმილი ინსპექციების ჩატარების პირობების დარღვევა** (მაგ., **სფფ**-ის უფლებამოსილი წარმომადგენლების არშეშვება ინსპექტირების ობიექტებზე, ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის შესაბამის საკითხზე პასუხისმგებელი პირის არდახვედრა ინსპექტირების ობიექტებზე და სხვ.):

i. გაფრთხილება; ან
ii. ჯარიმა 300-დან 3'000 ლარამდე (თითოეული შემთხვევისთვის);
iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.3. **სალიცენზიო გადასახადის გადახდის ვადაგადაცილებისთვის**:

i. გაფრთხილება; ან
ii. ჯარიმა, მინიმუმ, სალიცენზიო თანხის ეკვივალენტი და/ან 50 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე;
iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.4. **ლიცენზირების სავალდებულო პროცესში მონაწილეობის არმიღება ან ლიცენზირების პროცესის იგნორირება**, რაც გამოიხატება მოთხოვნილი სალიცენზიო დოკუმენტაციის არწარმოდგენაში და/ან არასაკმარისად/არასათანადოდ წარმოდგენაში:

i. 30'000 ლარი — ეროვნული **პრო-** საკლუბო ლიცენზიის მაძიებლისთვის; ან
ii. 20'000 ლარი — ეროვნული **ა-**საკლუბო ლიცენზიის მაძიებლისთვის; ან
iii. 10'000 ლარი — ეროვნული **ბ-** საკლუბო ლიცენზიისთვის; ან
iv. 5'000 ლარი — **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის;
v. 1'000 ლარი — **ქალთა** საკლუბო ლიცენზიისთვის;
vi. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

ამ პუნქტში განსაზღვრულ დარღვევასთან დაკავშირებით, ლიცენზირების ორგანოების გადაწყვეტილება დარღვევის არსებობის შესახებ იმპერატიული ხასიათისაა და შესაბამის ლიცენზიის მაძებელს/ლიცენზირებულს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ დაადასტუროს ლიცენზირების ორგანოების გადაწყვეტილების საპირისპირო (ანუ, რომ ადგილი არ ჰქონია ლიცენზირების პროცესის იგნორირებას).

1.5. ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზირებულის **შესაბამის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის არდასწრება ლიცენზიარის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე** (ლიცენზირების ორგანოების სხდომები, შეხვედრები, სემინარები, სწავლება ან სხვა ღონისძიებები):

i. გაფრთხილება; ან
ii. ჯარიმა 300-დან 3'000 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის;
iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.6. ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის მიერ ლიცენზიარისთვის **ტყუილი ან ყალბი ინფორმაციის წარდგენა**, *თუ ეს არ შეიძლება* გამხდარიყო ლიცენზიის არგაცემის საფუძველი, თითოეული დარღვეული კრიტერიუმისთვის:

i. გაფრთხილება; ან

ii. ჯარიმა, მინიმუმ, შესაბამისი ეროვნული ლიცენზიისთვის ამ ტიპის დარღვევის შემთხვევაში ლიცენზირების დებულებებით დადგენილი მაქსიმალური ჯარიმის თანხის ოდენობით;

iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.7. ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის მიერ ლიცენზიარისთვის **ტყუილი ან ყალბი ინფორმაციის წარდგენა**, *თუ ეს შეიძლება* გამხდარიყო ლიცენზიის არგაცემის საფუძველი, თითოეული დარღვეული კრიტერიუმისთვის:

i. 5'000–დან 30'000 ლარამდე კაცთა კლუბებისთვის; ან

ii. 1'000–დან 5'000 ლარამდე ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის; ან

iii. ლიცენზიის ჩამორთმევა;

iv. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.8. ლიცენზირებულის მიერ დებულებების **სავალდებულო მოთხოვნების შესრულების შეწყვეტის ან მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ ლიცენზიარისთვის დროულად და/ან დადგენილ ვადებში არშეტყობინება**:

i. გაფრთხილება; ან

ii. კაცთა კლუბებისთვის: ჯარიმა 300–დან 3'000 ლარამდე, თითოეული შემთხვევისთვის; ან

iii. ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის: ჯარიმა 50–დან 500 ლარამდე, თითოეული შემთხვევისთვის;

iv. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.9. ლიცენზირების ორგანოების (**სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია, ექსპერტების ჩათვლით, კლუბების ლიცენზირების კომიტეტი და კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო) მიერ **საკორექციო მოქმედებებისთვის დადგენილი ვადების დარღვევა**:

i. გაფრთხილება; ან

ii. კაცთა კლუბებისთვის: ჯარიმა 300–დან 3'000 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის და/ან 100 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე; ან

iii. ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის: ჯარიმა 50–დან 500 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის და/ან 25 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე;

iv. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.10. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების ორგანოების მიერ **ლიცენზირების პროცესში დაწესებული ვადების დარღვევისათვის** (გარდა ლიცენზირების ძირითადი გრაფიკით დადგენილი ვადებისა, რომელთა დარღვევაც განიხილება ზემოთ, ამავე D ქვეთავის 1.1 პარაგრაფის შესაბამისად):

i. გაფრთხილება; ან

ii. კაცთა კლუბებისთვის: ჯარიმა 300–დან 500 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის და/ან 50 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე; ან

iii. ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის: ჯარიმა 50–დან 500 ლარამდე

თითოეული შემთხვევისთვის და/ან 25 ლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე;

iv. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.11. **სფფ**-ის კლუბების ლიცენზირების ადმინისტრაციული და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ დადგენილი **დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენის ფორმის/წესის დარღვევისთვის**:

i. გაფრთხილება; ან

ii. ჯარიმა 100-დან 500 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის;

iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

1.12. მოთხოვნილი მინიმალური სალიცენზიო **დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენისთვის**:

i. გაფრთხილება; ან

ii. კაცთა კლუბებისთვის: ჯარიმა 500-დან 1'000 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის; ან

iii. ქალთა კლუბებისთვის/გუნდებისთვის: ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის;

iv. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

2. **თუ ულიცენზიო კლუბი დაიშვება ლიცენზირებად ლიგაში**,

2.1. ეროვნული ლიცენზიების მისაღებად სავალდებულო ყოველი შეუსრულებელი კრიტერიუმისთვის განისაზღვროს:

i. ეროვნული **პრო-** საკლუბო ლიცენზიისთვის ჯარიმა 10'000-იდან 20'000 ლარამდე თითოეული შეუსრულებელი სავალდებულო კრიტერიუმისთვის, ჯამში მაქსიმუმ 100'000 ლარამდე;

ii. ეროვნული **ა-** საკლუბო ლიცენზიისთვის ჯარიმა 5'000-იდან 10'000 ლარამდე თითოეული შეუსრულებელი სავალდებულო კრიტერიუმისთვის, ჯამში მაქსიმუმ 50'000 ლარამდე;

iii. ეროვნული **ბ-** საკლუბო ლიცენზიისთვის ჯარიმა 3'000-იდან 5'000 ლარამდე თითოეული შეუსრულებელი სავალდებულო კრიტერიუმისთვის, ჯამში მაქსიმუმ 20'000 ლარამდე;

iv. ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის ჯარიმა 1'000-იდან 3'000 ლარამდე თითოეული შეუსრულებელი სავალდებულო კრიტერიუმისთვის, ჯამში მაქსიმუმ 10'000 ლარამდე;

v. **ქალთა** საკლუბო ლიცენზიისთვის ჯარიმა 1'000-იდან 3'000 ლარამდე თითოეული შეუსრულებელი სავალდებულო კრიტერიუმისთვის, ჯამში მაქსიმუმ 5'000 ლარამდე;

vi. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

2.2. **3/2/1 სეზონის წესის** (ლიცენზირებადი ლიგის შესაბამისად) დარღვევისთვის განისაზღვროს ჯარიმა:

i. ეროვნული **პრო-** საკლუბო ლიცენზიისთვის - 30'000 ლარი;

ii. ეროვნული **ა–** საკლუბო ლიცენზიისთვის – 20'000 ლარი;
iii. ეროვნული **ბ–** საკლუბო ლიცენზიისთვის – 10'000 ლარი;
iv. ეროვნული **ქალთა** საკლუბო ლიცენზიისთვის – 2'000 ლარი;
v. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

3. თუ ლიცენზიის გაცემის შემდგომ პერიოდში გაირკვევა, რომ **ლიცენზირებული აღარ ასრულებს ლიცენზიის გაცემის რომელიმე მოთხოვნას**:
   i. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია და/ან **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები წამოიწყებენ ლიცენზიის ჩამორთმევის პროცესს, **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების დებულებების მუხ. 6, პარ.2 შესაბამისად; და/ან
   ii. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები დაუწესებენ კლუბს ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრულ სანქციას/ებს, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

E - დარღვევებისა და სანქციების ჩამონათვალი მონიტორინგის მიზნებისთვის

1. ეროვნული მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით **სფფ**–ის მიერ დადგენილი საბოლოო ვადების და სხვა ვალდებულებების დარღვევისთვის განისაზღვროს:
   i. გაფრთხილება; ან
   ii. ჯარიმა 100–დან 3'000 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის;
   iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.
2. ეროვნული მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით, **სფფ**–ის მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვროს:
   i. გაფრთხილება; ან
   ii. ჯარიმა 300–დან 3'000 ლარამდე თითოეული შემთხვევისთვის; ან
   iii. და/ან ამავე დანართის C ქვეთავის 1 პარაგრაფში განსაზღვრული სხვა სანქცია/ები, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

F - სანქციების გამოყენების წესები

1. ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზირებულის მიმართ სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სალიცენზიო სეზონის დაწყების წინ, ისე მის განმავლობაში ან მისი დასრულების შემდეგ, სალიცენზიო ორგანოების წინადადების საფუძველზე/ინიციატივით.
2. ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ინფორმირება დარღვევის შესახებ შესაძლებელია 2–წლიანი ხანდაზმულობის პერიოდის გასვლამდე.

3. ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით დისციპლინური სანქციის დაწესებისას, ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები თავდაპირველად ხელმძღვანელობენ ზემოთ, ამავე დანართის A–E ქვეთავებში შესაბამისი დარღვევისთვის განსაზღვრული სანქციებით. დარღვევის გამეორების ან ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ მითითებულ ვადებში ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის მხრიდან პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევებში, ასევე ისეთი დარღვევებისას, რომლებიც არაა გათვალისწინებული ზემოთ, A–E ქვეთავებში და დაკავშირებულია კლუბების ლიცენზირების და/ან მონიტორინგის საკითხებთან, ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უფლებამოსილნი არიან თავად განსაზღვრონ ამავე დანართის დისციპილნურ კატალოგში განსაზღვრული ნებისმიერი სანქცია.
4. ზემოთ, ამავე დანართის B ქვეთავში, და/ან D ქვეთავის 1.6 და 1.7 პარაგრაფებში განსაზღვრული სანქციები შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ლიცენზირებულ კლუბებს, რომლებიც გამოიყენებენ შესაბამის ლიცენზიას და/ან კლუბებს, რომლებიც ულიცენზიოდ დაიშვებიან ლიცენზირებად ლიგებში.
5. ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა სანქციის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, **სფფ**–ში აღიარებული ინფორმაციის გავრცელების საშუალებების გამოყენებით, ოფიციალურად უნდა აცნობონ დაწესებული სანქციის შესახებ შესაბამის ლიცენზიის მაძიებელს / ლიცენზირებულს და ლიცენზირების ადმინისტრაციას, დარღვევ(ებ)ის გამოსწორების საბოლოო ვად(ებ)ის მითითებით (თუკი ადგილი აქვს).
6. ლიცენზიის მაძიებელმა ან ლიცენზირებულმა დაწესებული ჯარიმით განსაზღვრული თანხა უნდა ჩარიცხოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ქვეანგარიშზე, გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ სხვაგვარად არ მიეთითება გადაწყვეტილებაში.
7. ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზირებულისთვის დაწესებული სანქციის შესრულებას აკონტროლებს **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების და მონიტორინგის ადმინისტრაცია, რომელსაც გადაწყვეტილებას აწვდიან **სფფ**–ის ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები, ხოლო დაჯარიმებული მხარე პასუხისმგებელია სანქციის შესრულების შესახებ **ლმა**–ისთვის შეტყობინებაზე.
8. თუ ლიცენზიის მაძიებელი ან ლიცენზირებული დადგენილ ვადებში არ შეასრულებს დაწესებულ სანქციებს, **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უფლებამოსილნი არიან რამდენჯერმე გამოიყენონ წინამდებარე დანართის შესაბამის მუხლებში განსაზღვრული უფრო მკაცრი ზომები. ეს გამკაცრებული სანქციები არ ექვემდებარება გასაჩივრებას.
9. ლიცენზიის მაძიებელს ან ლიცენზირებულს, ასევე ლიცენზიარს შეუძლია ლიცენზირების პირველი ინსტანციის (**სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების კომიტეტის) მიერ მიღებული გადაწყვეტილება სანქციის დაწესების შესახებ, გაასაჩივროს **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოში, წინამდებარე დებულებებში აღწერილი პროცედურული წესების შესაბამისად.
10. **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს **სფფ**–ის წესდებით განსაზღვრულ საფეხბურთო დავების განმხილველ უმაღლეს ორგანოში, ამ ორგანოს დებულებების შესაბამისად.

დანართი II. ძირითადი პროცესი

A - პრეამბულა

<u>**გამოყენებული შემოკლებები:**</u>

ლმ	– ლიცენზირების მენეჯერი
ლმა	– კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია
ლკ	– კლუბების ლიცენზირების კომიტეტი
ლაო	– კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანო
არბიტრაჟი	– **სფფ**–ის წესდების შესაბამის მუხლებში განსაზღვრული დავების განმხილველი დამოუკიდებელი უმაღლესი ორგანო

B - პროცესის აღწერა

1. ეროვნული სალიცენზიო ციკლის დაწყება:
   ლმა
   1.1. სალიცენზიო ციკლის წინა წლის ივლისის ბოლომდე (ან, გამონაკლის შემთხვევაში, საგანგებოდ განსაზღვრულ ვადებში, სალიცენზიო სეზონის დაწყების წინ), **ლმა** ამზადებს სალიცენზიო დოკუმენტების პაკეტს [ლიცენზირების პაკეტი], რომელიც, მინიმუმ, მოიცავს:
   - დებულებებს და კრიტერიუმებს,
   - გრაფიკ(ებ)ს,
   - ინსტრუქციებს და მეთოდურ მასალებს,
   - ნიმუშებს,
   - უკან დასაბრუნებელ კითხვარებს და ფორმებს.

   1.2. ლიცენზირების პაკეტი გადაეცემა ლიცენზიის მაძიებლებს **სფფ**–ში აღიარებული კომუნიკაციის საშუალებებით[4].
2. სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმატი:
   ლიცენზიის მაძიებლები
   2.1. ლიცენზიის მაძიებელი ამზადებს მოთხოვნილ დოკუმენტებს და დადგენილ ვადებში წარმოადგენს მათ წინამდებარე ლიცენზირების დებულებებით ან სხვა ინსტრუქციით განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით (ძირითადად, **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ექსტრანეტის [ექსტრანეტი] საშუალებით, თუ სხვაგვარად არ მოითხოვება ლიცენზიარის მიერ).
   2.2. ლიცენზიის მაძიებელი არ არის ვალდებული წარმოადგინოს დოკუმენტების დედნები, თუ სხვაგვარად არ მიეთითება ლიცენზირების დებულებებში და/ან არ

[4] აქ და შემდეგში კომუნიკაცია გულისხმობს **სფფ**–ში აღიარებულ შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: შეხვედრა (მათ შორის, ონლაინ), ფოსტა, ელფოსტა, ექსტრანეტი და ა.შ., როგორც ამას ითხოვს/ადგენს ლიცენზიარი. ლმა–ს შეუძლია, მოითხოვოს დოკუმენტების მიღების დამადასტურებელი საბუთი.

მოითხოვება ლიცენზიარის მიერ.

2.3. ლიცენზიის მაძიებელს არ სჭირდება დაურთოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ელფოსტის გზავნილებსა და დოკუმენტებში, როგორიცაა ელექტრონული ფორმები და კითხვარები, თუ ისინი:

(ა) გამოგზავნილია ელფოსტის მისამართიდან, რომელიც მითითებულია ლიცენზიის მაძიებლის ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტაციაში (რეესტრის ამონაწერი, წესდება, ან სხვ.), და/ან

(ბ) განთავსდება ექსტრანეტზე კლუბის რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ.

2.4. აღნიშნული არ შეეხება დოკუმენტებს, რომლებზეც მოითხოვება მესამე პირის ხელმოწერა, რა შემთხვევაშიც აუცილებელია სრულად ხელმოწერილი დოკუმენტის წარმოდგენა.

3. ლიცენზიის მაძიებლის სტატუსის დადგენა:

ლმა

3.1. დოკუმენტების მიღებისას, კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია (**ლმა**), პირველ რიგში, ამოწმებს ზოგადი/საბაზისო ინფორმაციის არსებობას, და, განაცხადისა თუ სხვა სავალდებულო მინიმალური საბაზისო დოკუმენტაციის (მაგ. 3/2/1 სეზონის წესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ან სხვ., რაც განისაზღვრება **ლმა**-ს მიერ) არწარმოდგენის ან არასათანადოდ წარმოდგენის შემთხვევაში, კლუბი არ განიხილება ლიცენზიის მაძიებლად და **სფფ** არ განიხილავს სხვა კრიტერიუმებთან დაკავშირებით წარმოდგენილ სალიცენზიო დოკუმენტაციას (არსებობის შემთხვევაში), ხოლო აქედან გამომდინარე უარყოფით შედეგებზე სრულად იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი კლუბი.

4. სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები:

ლმა

4.1. ზოგად, სპორტულ, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის, ინფრასტრუქტურულ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ფინანსურ კრიტერიუმებში, ასევე მონიტორინგის პროცესისთვის, სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოსადგენად **ლმა** ადგენს:

(ა) დოკუმენტაციის წარმოდგენის პირველად ვადას/ებს, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა კრიტერიუმისთვის;

(ბ) დოკუმენტაციის წარმოდგენის საბოლოო ვადას/ებს, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა კრიტერიუმისთვის და რომლის შემდეგაც სალიცენზიო დოკუმენტაცია აღარ მიიღება (გარდა **ლკ**-ის მიერ მეორე განხილვის შემთხვევისა, იხ. 16-19 პუნქტები ქვემოთ).

5. სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენა და ლიცენზიის მაძიებლის უფლებები:

ლიცენზიის მაძიებლები

5.1. ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია სალიცენზიო დოკუმენტაცია წარმოადგინოს შესაბამისი კრიტერიუმისთვის დაწესებულ როგორც პირველად ვადამდე, ისე მის შემდეგ საბოლოო ვადის ამოწურვამდე, თუმცა, პირველადი ვადის დარღვევა ექვემდებარება სანქციას, წინამდებარე დებულებების I დანართის შესაბამისად.

5.2. ასევე, პირველადი ვადის შემდეგ დოკუმენტაციის წარმოდგენისას, ლიცენზიის მაძიებელი კარგავს უფლებას, მოითხოვოს/მიიღოს ლიცენზირების ექსპერტის წინასწარი შეფასება და კონსულტაცია საბოლოო ვადამდე ხარვეზების (ასეთის

არსებობის შემთხვევაში) გამოსასწორებლად.

6. სალიცენზიო გადასახადი:

ლიცენზიის მაძიებლები

6.1. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, ზოგადი კრიტერიუმებისთვის დადგენილ პირველად ვადაში გადაიხადოს სალიცენზიო გადასახადი იმ ოდენობით, როგორც განსაზღვრულია **სფფ**–ის კლუბების ეროვნული ლიცენზირების დებულებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სალიცენზიო თანხის გადაუხდელობის საკითხი ექვემდებარება სანქციას, წინამდებარე დებულებების I დანართის შესაბამისად.

6.2. სალიცენზიო გადასახადის დადგენილ საბოლოო ვადაში კონკრეტული ლიცენზიისთვის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ლიცენზირების კომიტეტი არ განიხილავს სალიცენზიო განაცხადს აღნიშნულ ლიცენზიაზე, რაც ნიშნავს ავტომატურ უარს შესაბამის ეროვნულ ლიცენზიაზე.

7. პირველად ვადებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ:

ექსპერტები

7.1. შესაბამისი კრიტერიუმების ექსპერტები ამოწმებენ ლიცენზიის მაძიებლის მიერ პირველად ვადებში წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულეს და განიხილავენ კრიტერიუმებთან მათ შესაბამისობას (თუ საჭიროა, ეწვევიან ლიცენზიის მაძიებელს ადგილზე).

7.2. ექსპერტები ვალდებულნი არიან შესაბამისი კრიტერიუმისთვის დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის პირველადი ვადიდან, მაქსიმუმ, 10 კალენდარულ დღეში (ან **ლმა**–ს შესაბამის შეტყობინებაში მითითებულ ვადაში) აცნობონ ლიცენზიის მაძიებელს პირველადი შეფასება, რათა შესაძლებელი იყოს ხარვეზების გამოსწორება (არსებობის შემთხვევაში).

7.3. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ქმედებებს ექსპერტის მხრიდან:

- მოითხოვოს ინფორმაცია, მტკიცებულებები, კითხვარი ან ფორმა, რომელიც აკლია;
- მოითხოვოს განმარტებები ან დამატებითი დოკუმენტები;
- შემდგომი გამოკვლევის მიზნით, დაგეგმოს ადგილზე ვიზიტი;
- სხვა ქმედებები, რომელსაც ექსპერტი ჩათვლის საჭიროდ.

7.4. აღნიშნული შეფასების ვალდებულება ექსპერტს აქვს მხოლოდ ერთხელ, თუმცა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ასევე დაწესებული ვადებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ექსპერტმა, საბოლოო ვადის ამოწურვამდე, დამატებით შეაფასოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ კორექტირებული დოკუმენტაცია.

8. ლიცენზიის მაძიებლის საპასუხო მოქმედებები ექსპერტის შენიშვნებზე:

ლიცენზიის მაძიებლები

8.1. ლიცენზიის მაძიებელს აქვს უფლება წარმოადგინოს ნაკლული, დამატებითი, კორექტირებული სალიცენზიო დოკუმენტაცია/ინფორმაცია შესაბამის კრიტერიუმში სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენის საბოლოო ვადამდე, თუმცა პირველადი ვადების დარღვევით დოკუმენტაციის წარმოდგენა ექვემდებარება სანქციას, წინამდებარე დებულებების I დანართის შესაბამისად (იხ. 5 ზემოთ).

8.2. როგორც წინამდებარე დებულებების მუხ. 12.1 აღნიშნული, ლიცენზიის მაძიებელი არ არის ვალდებული და შეიძლება არ ეთანხმებოდეს **სფფ**–ის ლიცენზირების ექსპერტების მოსაზრებებს/რეკომენდაციებს, რომელსაც ეს უკანასკნელი

მიუთითებს პირველად შეფასებაში, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ლიცენზიის მაძიებელმა საკუთარი პოზიცია უნდა დაიცვას ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, რომლებიც სალიცენზიო გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობენ მხოლოდ წინამდებარე დებულებებით. და შედეგებზე სრულად იქნება პასუხისმგებელი თავად ლიცენზიის მაძიებელი.

9. ექსპერტების საბოლოო შეფასება/დასკვნა სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენის საბოლოო ვადის შემდგომ:

ექსპერტები

9.1. სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენის საბოლოო ვადის შემდეგ, შესაბამისი კრიტერიუმების ექსპერტები ამოწმებენ ლიცენზიის მაძიებლის მიერ აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულეს და განიხილავენ კრიტერიუმებთან მათ შესაბამისობას (თუ საჭიროა, ეწვევიან ლიცენზიის მაძიებელს ადგილზე).

9.2. ექსპერტები არ არიან უფლებამოსილნი დააწესონ დამატებითი ვადები ხარვეზების გამოსასწორებლად და/ან ნაკლული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

9.3. ექსპერტები ვალდებულნი არიან, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ ვადაში მოამზადონ საბოლოო შეფასებები/დასკვნები, რომელიც უნდა აცნობონ:

(ა) ლიცენზირების კომიტეტს [არ განიხილება ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიისთვის][5];

(ბ) ლიცენზიის მაძიებლებს; და

(გ) **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციას.

9.4. ექსპერტების საბოლოო შეფასებები/დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს როგორც სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის დადგენილ საბოლოო ვადებში ლიცენზიის მაძიებლის მიერ [დადგენილი წესით/ფორმატით] წარმოდგენილ დოკუმენტაციას/ინფორმაციას, ისე **სფფ**–ში არსებულ შიდა ინფორმაციას, რომელიც ცნობილია/ხელმისაწვდომია მისთვის (შესაბამისი წყაროების მითითებით).

10. **ლმა**–ის უფლებამოსილება ექსპერტების შეფასებებთან დაკავშირებით:

ლმა,

ექსპერტები

10.1. **ლმა** უფლებამოსილია შეამოწმოს, სრულყოფილია თუ არა ექსპერტების საბოლოო შეფასებები/დასკვნები და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მათი განახლება/შესწორება/დაზუსტება.

11. 64–ე მუხლი:

ლიცენზიის მაძიებლები

11.1. ლიცენზირების დებულებების 64–ე მუხლით დადგენილ ვადებში, ლიცენზიის მაძიებლები წარუდგენენ ლიცენზირების გადაწყვეტილების მიმღებ პირველი ინსტანციის ორგანოს (**ლპ**) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის წერილობით განცხადებას, ამავე მუხლით მოთხოვნილ საკითხებზე.

[5] აქ და ქვემოთ, ჩანაწერების სიმარტივისთვის, ეროვნული საბაზისო საკლუბო ლიცენზირების პროცედურასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები მოცემულია კვადრატულ ფრჩხილებში [].

12. **ლკ**–ის [**ლმა**–ის] პროცედურები:

ლკ [ლმა]

12.1. **ლკ** [**ლმა**] დადგენილ ვადებში იღებს ლიცენზირების ექსპერტების საბოლოო შეფასებებს/დასკვნებს და განიხილავს მას. საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზირების ექსპერტებისგან მოითხოვს დამატებით ახსნა–განმარტებებსა და/ან დოკუმენტებს და დადგენილ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ან უარის შესახებ.

12.1.1. ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიის მაძებელ კონკრეტულ კლუბთან/გუნდთან დაკავშირებით, კლუბის/გუნდის მიერ აღნიშული ლიცენზიის მისაღებად სავალდებულო ყველა მოთხოვნის შესრულების ექსპერტების მხრიდან დადასტურების შედეგად, **ლმა** იღებს აღნიშნული კლუბისთვის/გუნდისთვის ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილებას.

12.1.2. თუ რომელიმე ექსპერტი საბოლოო შეფასებაში/დასკვნაში მიუთითებს ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიის მისაღებად სავალდებულო რომელიმე კრიტერიუმ(ებ)ის დარღვევის შესახებ, **ლმა** იღებს აღნიშნული კლუბისთვის/გუნდისთვის ეროვნული **საბაზისო** საკლუბო ლიცენზიის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებას.

12.2. **ლკ** ასევე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზირებული კლუბისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ, ლიცენზირების დებულებების მუხ. 6 შესაბამისად.

12.3. **ლკ** [**ლმა**] ასევე ადგენს სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის ფაქტებს და კომპეტენტურია დაუწესოს ლიცენზიის მაძიებელს, ლიცენზირების დებულებებით განსაზღვრული შესაბამისი დისციპლინური სანქცია (ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს **ლმა**–ის კომპეტენციას).

12.4. **ლკ**–ის კვორუმი განისაზღვრება წინამდებარე დებულებების 6.7 პუნქტის შესაბამისად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

12.5. სხდომის დასრულების შემდეგ **ლკ** ადგენს სხდომის ოქმს, **ლმა**–ის მიერ დადგენილი ფორმით. სხდომის ოქმი კონფიდენციალურია და იგი მიეწოდება მხოლოდ ლიცენზიარს/**ლმა**–ს.

13. **ლკ**–ის [**ლმა**–ის] პირველი გადაწყვეტილება:

ლკ [ლმა]

13.1. **ლკ** [**ლმა**], **ლმა**–ის მიერ დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში, აცნობებს პირველ გადაწყვეტილებას დაინტერესებულ მხარეებს:

(ა) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს; და

(ბ) **ლმა**–ს.

13.2. **ლკ**–ის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დეტალურად უნდა იყოს განმარტებული ლიცენზიაზე უარის მიზეზები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომ დადგენილ ვადაში:

(ა) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს/**ლმა**–ს აქვს უფლება გაასაჩივროს **ლკ**–ის [**ლმა**–ის] გადაწყვეტილება ლიცენზირების აპელაციის ორგანოში

(**ლაო**); და/ან

(ბ) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს აქვს უფლება ხარვეზების გამოსწორების საფუძველზე მოითხოვოს **ლკ**–ის [**ლმა**–ის] მეორე განხილვა.

14. **ლკ**–ის პირველი გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზების გამოსწორება:

ლიცენზიის მაძიებლები

14.1. ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია, ისარგებლოს ლიცენზირების გრაფიკით დადგენილი გახანგრძლივებული ვადით და აღნიშნულ ვადაში წარმოადგინოს დამატებითი, ნაკლული და/ან კორექტირებული დოკუმენტაცია და მოითხოვოს სალიცენზიო განაცხადის მეორე განხილვა **ლკ**–ის [**ლმა**–ის] მიერ.

14.2. ლიცენზირების გრაფიკით დადგენილი ხარვეზების გამოსწორების ვადა შეეხება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიისთვის დარღვეული სავალდებულო/„ა“ თანრიგის კრიტერიუმების გამოსწორებას, რაც გახდა **ლკ**–ის მიერ ლიცენზიის გაცემაზე უარის საფუძველი. ვადების გახანგრძლივება დარღვეული სანქცირებადი/„ბ“ თანრიგის კრიტერიუმების გამოსასწორებლად არ განიხილება.

14.3. ხარვეზების გამოსწორების ვადა ასევე შეეხება ლიცენზირების დებულებების [მუხ. 69–72](#) დადგენილი ფინანსური ვალდებულებების შესრულების ვადის გახანგრძლივებას (მაგ., სატრანსფერო, სახელფასო, საგადასახადო, ფეხბურთის მმართველი ორგანოების მიმართ და ა.შ. ვალდებულებები).

15. სალიცენზიო გადასახადი **ლკ**–ის მეორე განხილვისთვის:

ლიცენზიის მაძიებლები

15.1. ლიცენზიის მაძიებლის მიერ **ლკ**–ის [**ლმა**–ის] მეორე განხილვის მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, ხარვეზების გამოსასწორებლად ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ გახანგრძლივებულ ვადაში გადაიხადოს სალიცენზიო გადასახადი იმავე ოდენობით, რაც განსაზღვრულია სალიცენზიო გადასახადის პირველადი გადახდისთვის, **სფფ**–ის კლუბების ეროვნული ლიცენზირების დებულებებში (იხ. დებულებების [6.8.პ) პუნქტი),](#) ასევე ამავე ვადაში უნდა ჰქოდეს სრულად გადახდილი სალიცენზიო გადასახადი პირველი განხილვისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ლკ** [**ლმა**] ლიცენზიის მაძიებლის მეორე განხილვის განაცხადს არ განიხილავს და ამ ორგანოს თავდაპირველი გადაწყვეტილება დარჩება ძალაში.

16. ექსპერტების შეფასება გახანგრძლივებულ ვადებში წარმოდგენილ სალიცენზიო დოკუმენტაციაზე:

ექსპერტები

16.1. გახანგრძლივებულ ვადებში სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაბამისი კრიტერიუმების ექსპერტები ამოწმებენ მათ სისრულეს და განიხილავენ კრიტერიუმებთან მათ შესაბამისობას (თუ საჭიროა, ეწვევიან ლიცენზიის მაძიებელს ადგილზე).

16.2. ექსპერტები ვალდებულნი არიან, ლიცენზირების გრაფიკით დადგენილ ვადაში მოამზადონ საბოლოო შეფასებები/დასკვნები, რომელიც უნდა აცნობონ:

(ა) ლიცენზირების კომიტეტს [**ლმა**–ს];

(ბ) ლიცენზიის მაძიებლებს; და

(გ) **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციას.

16.3. ექსპერტის შეფასებები/დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს როგორც გახანგრძლივებული

საბოლოო ვადების მდგომარეობით, ლიცენზიის მაძიებლის მიერ [დადგენილი წესით/ფორმატით] წარმოდგენილ დოკუმენტაციას/ინფორმაციას, ისე **SFP**-ში არსებულ შიდა ინფორმაციას, რომელიც ცნობილია/ხელმისაწვდომია მისთვის.

17. **LK**-ის [**LMA**-ის] პროცედურები მეორე განხილვისას:

LK [LMA]

17.1. **LK** [**LMA**] დადგენილ ვადებში იღებს ლიცენზირების ექსპერტების საბოლოო შეფასებებს/დასკვნებს გახანგრძლივებულ ვადებში ლიცენზიის მაძიებლის მიერ [დადგენილი წესით/ფორმატით] წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და განიხილავს მას. საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზირების ექსპერტებისგან მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებებსა და/ან დოკუმენტებს და დადგენილ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ან უარის შესახებ.

17.1.1. ეროვნული **SABAZISO** საკლუბო ლიცენზიის მაძებელ კონკრეტულ კლუბთან/გუნდთან დაკავშირებით, კლუბის/გუნდის მიერ აღნიშული ლიცენზიის მისაღებად სავალდებულო ყველა მოთხოვნის შესრულების ექსპერტების მხრიდან დადასტურების შედეგად, **LMA** იღებს აღნიშნული კლუბისთვის/გუნდისთვის ეროვნული **SABAZISO** საკლუბო ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილებას.

17.1.2. თუ რომელიმე ექსპერტი საბოლოო შეფასებაში/დასკვნაში მიუთითებს ეროვნული **SABAZISO** საკლუბო ლიცენზიის მისაღებად სავალდებულო რომელიმე კრიტერიუმ(ებ)ის დარღვევის შესახებ, **LMA** იღებს აღნიშნული კლუბისთვის/გუნდისთვის ეროვნული **SABAZISO** საკლუბო ლიცენზიის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებას.

17.2. ამის შემდგომ ხარვეზების გამოსწორება არ განიხილება და **LK**-ის დამატებითი განხილვა არ ტარდება.

17.3. **LK** [**LMA**], **LMA**-ის მიერ დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში აცნობებს მეორე გადაწყვეტილებას დაინტერესებულ მხარეებს:

(ა) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს; და

(ბ) **LMA**-ს.

17.4. **LK**-ის [**LMA**-ის] უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დეტალურად უნდა იყოს განმარტებული ლიცენზიაზე უარის მიზეზები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომ დადგენილ ვადაში ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს/**LMA**-ს აქვს უფლება გაასაჩივროს **LK**-ის [**LMA**-ის] გადაწყვეტილება ლიცენზირების აპელაციის ორგანოში (**LAO**) [ან არბიტრაჟში].

18. **LK**-ის გადაწყვეტილების **LAO**-ში გასაჩივრების [**LMA**-ის გადაწყვეტილების **LK**-ში გასაჩივრების] პროცედურა:

ლიცენზიის მაძიებლები/ლიცენზირებულები, LMA

18.1. **LK**-ის [**LMA**-ის] მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხოლოდ კლუბების ლიცენზირების აპელაციის ორგანოში (**LAO**), ამ ორგანოსთვის პირდაპირი მიმართვის გზით, წინამდებარე დებულებების მუხ. 6 შესაბამისად.

18.2. საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობით, ექსტრანეტზე და ასევე

ელფოსტის საშუალებით გაიგზავნოს **ლმა**–ს მისამართზე. მისი ფორმა, შინაარსი და საფუძვლები უნდა აკმაყოფილებდეს **სფფ**–ის ლიცენზირების მოქმედი დებულებების მოთხოვნებს (მუხ. 6).

18.3. ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის საჩივარს თან უნდა ახლდეს **სფფ**–თვის სააპელაციო გირაოს 80%–ის გადახდის დადასტურება **ლაო**–ში გასაჩივრებული თითოეული საკითხისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ განიხილება.

18.4. ლიცენზიარი განთავისუფლებულია სააპელაციო გირაოს გადახდისგან.

19. საჩივრის განაცხადის შეფასება და განხილვა **ლაო**–ს მიერ და გადაწყვეტილების მიღების პროცესი და გადაწყვეტილების შედეგის შეტყობინება:

ლაო

19.1. **ლაო** აფასებს საჩივარს და ადგენს მისი განხილვის სამართლიანობას შინაარსსა და ფორმასთან მიმართებაში.

19.2. დადებით შემთხვევაში, **ლაო** ადგენს სხდომის თარიღს და აცნობებს მონაწილე მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული, **ლმ**, **ლკ** და სხვ.).

19.3. **ლაო** იკრიბება და განიხილავს ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის ან **ლმა**–ის საჩივარს. **ლაო**–ს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და/ან მტკიცებულებები მათგან.

19.4. **ლაო**–ს მოთხოვნის შემთხვევაში, **ლკ** [**ლმა**] ამზადებს ანგარიშს და გადასცემს **ლაო**–ს, სხდომამდე, მინიმუმ, 3 კალენდარული დღით ადრე.

19.5. **ლაო**–ს კვორუმი განისაზღვრება წინამდებარე დებულებების 6.7 პუნქტის შესაბამისად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

19.6. სხდომის დასრულების შემდეგ **ლაო** ადგენს სხდომის ოქმს, **ლმა**–ის მიერ დადგენილი ფორმით. სხდომის ოქმი კონფიდენციალურია და იგი მიეწოდება მხოლოდ ლიცენზიარს/**ლმა**–ს.

19.7. **ლაო** გადაწყვეტილებას იღებს **ლკ**–ის [**ლმა**–ის] გადაწყვეტილების და ყველა იმ დასაშვები დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე, რომელსაც აპელანტი წარმოადგენს წერილობით საჩივართან ერთად, დადგენილ საბოლოო ვადაში, წინამდებარე ლიცენზირების დებულებების მუხ. 6 შესაბამისად.

19.8. **ლაო**, **ლმა**–ის მიერ დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კალენდარულ დღეში აცნობებს გადაწყვეტილების შედეგს დაინტერესებულ მხარეებს:

(ა) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს; და

(ბ) **ლმა**–ს.

19.9. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომ ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს/**ლმა**–ს მიეცემა **ლაო**–ს გადაწყვეტილების **სფფ**–ის არბიტრაჟში გასაჩივრების უფლება, რისთვისაც დაინტერესებ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დასაბუთებული გადაწყვეტილება (იხ. მე–20 პუნქტი ქვემოთ).

19.10. აპელაციის თანხა უბრუნდება აპელანტს სრულად ან ნაწილობრივ, სააპელაციო მოთხოვნათ იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც მას დაუკმაყოფილდება, რაზედაც **ლაო** იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

20. **ლაო**-ს დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნა/შეტყობინება:

ლიცენზიის მაძიებლები/ლიცენზირებულები, ლაო

20.1. დაინტერესებული მხარე: ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული/**ლმა** უფლებამოსილია მოითხოვოს **ლაო**-ს დასაბუთებული გადაწყვეტილება, **ლაო**-ს გადაწყვეტილების შედეგის მიღების შემდგომი დღიდან 2 კალენდარულ დღეში.

20.2. დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, ლიცენზიის მაძიებელმა/ლიცენზირებულმა 2 კალენდარულ დღეში, უნდა გადაიხადოს ლიცენზირების დებულებებით დადგენილი სააპელაციო გირაოს 20%, **ლაო**-ში გასაჩივრებული თითოეული საკითხისთვის. ლიცენზიარი განთავისუფლებულია აღნიშნული სააპელაციო გირაოს გადახდისგან.

20.3. დადგენილ ვადაში ოფიციალური მოთხოვნისა და სააპელაციო გირაოს სრულად გადახდის შემთხვევაში, **ლაო** დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნიდან 4 კალენდარულ დღეში აცნობებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დაინტერესებულ მხარეებს:

(ა) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს;

(ბ) **ლკ**-ს; და

(ბ) **ლმა**-ს.

21. **ლაო**-ს გადაწყვეტილების გასაჩივრება არბიტრაჟში:

ლიცენზიის მაძიებლები/ლიცენზირებულები, ლმ

21.1. **ლაო**-ს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ **სფფ**-ის წესდებით განსაზღვრულ არბიტრაჟის ორგანოში (**სფფ**-ის არბიტრაჟი), მისთვის პირდაპირი მიმართვის გზით.

21.2. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა შეადგენს 3 კალენდარულ დღეს და ივი აითვლება **ლაო**-ს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების მომდევნო დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს **ლმა**-ს მიერ არბიტრაჟში გასაჩივრებისთვის ლიცენზირების გრაფიკით დადგენილი საბოლოო ვადისა.

21.3. საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობით და შეესაბამებოდეს არბიტრაჟის მიერ დადგენილ წესებს ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით.

22. საჩივრის განაცხადის შეფასება და განხილვა არბიტრაჟის მიერ:

არბიტრაჟი

22.1. **სფფ**-ის არბიტრაჟი აფასებს საჩივარს და ადგენს მისი განხილვის სამართლიანობას შინაარსსა და ფორმასთან მიმართებაში.

22.2. დადებით შემთხვევაში, არბიტრაჟი ადგენს სხდომის თარიღს და აცნობებს მონაწილე მხარეებს (ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული, **ლმა**, **ლკ**, **ლაო** და სხვ.).

22.3. არბიტრაჟი იკრიბება და განიხილავს ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის ან **ლმა**-ის საჩივარს. არბიტრაჟს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და/ან მტკიცებულებები მათგან.

22.4. არბიტრაჟის მოთხოვნის შემთხვევაში, **ლაო** და/ან **ლკ** და/ან **ლმა**, ამზადებს ანგარიშს და გადასცემს არბიტრაჟს სხდომამდე, მინიმუმ, 3 კალენდარული დღით ადრე.

22.5. არბიტრაჟი დადგენილ ვადებში იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი დებულებების შესაბამისად, რომლის შესახებაც გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს:

(ა) ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს;

(ბ) **ლკ**–ს და/ან **ლაო**–ს; და

(დ) **ლმა**–ს.

22.6. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დეტალურად უნდა იყოს მოცემული უარის მიზეზები. ამასთან, ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს/**ლმა**–ს ეცნობება, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

23. სალიცენზიო გადაწყვეტილებების შეტყობინება **სფფ**–ისთვის:

სფფ–ის ვიცე–პრეზიდენტი/გენერალური მდივანი,

ლმა

23.1. **ლმა** აცნობებს სალიცენზიო გადაწყვეტილებების საბოლოო შედეგებს **სფფ**–ის აღმასკომს.

24. ლიცენზირებული კლუბების მონიტორინგი სალიცენზიო სეზონში:

ლმა,

ექსპერტები

24.1. **ლმა** და ექსპერტები აკონტროლებენ სალიცენზიო ციკლის განმავლობაში ლიცენზირებულების მიერ ლიცენზირების მოთხოვნების შესრულების უწყვეტობის საკითხს და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ კლუბების ლიცენზირების და/ან **სფფ**–ის კომპეტენტურ ორგანოებს, შესაბამისი ზომების მისაღებად.

დანართი III. ე.წ. „3/2/1 სეზონის წესთან“ (მუხ. 11) დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების პროცედურა

A - პრეამბულა

1. **სფფ**-ის წესდების მუხ. 71 თანახმად, ლიცენზირებად ლიგებში კლუბები დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი ლიგის ლიცენზიის მიღების საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ, **სფფ**-ის კლუბების ეროვნული ლიცენზირების დებულებებით (ქვემოთ: „[ლიცენზირების] დებულებები“) დადგენილ სხვა კრიტერიუმებთან ერთად, კლუბი უნდა აკმაყოფილებდეს დებულებების მუხ. 11 განსაზღვრულ ლიცენზიის მაძიებლის კრიტერიუმებს ე.წ. „სამი (ორი/ერთი) სეზონის წესთან“ დაკავშირებით.

2. აღნიშნული წესი გულისხმობს კლუბის უწყვეტ წევრობას **სფფ**-ის იურისდიქციაში (**სფფ**-ში, **რეგიონულ ფფ**-ში, ან **ლიგაში,** ან **სფფ**-ის წევრ სხვა ასოციაციაში) სულ ცოტა, ზედიზედ ბოლო 3 სეზონის მანძილზე ეროვნული საკლუბო **პრო**-ლიცენზიისთვის, 2 სეზონის მანძილზე — **ა**-ლიცენზიისთვის და 1 სეზონის მანძილზე — **ბ**- და **ქალთა** ლიცენზიებისთვის.

3. ამას გარდა, ამავე პერიოდში ლიცენზიის მაძიებელი კლუბის ძირითად /ან სათადარიგო/ან ქალთა გუნდს, რომლის ლიცენზიაც განიხილება, მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ოფიციალურ ეროვნულ შეჯიბრებებში.

4. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ლიცენზიის მაძიებლის/ლიცენზირებულის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში ან ჯგუფის იურიდიულ სტრუქტურაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება (მაგ. სხვა ერთეულთან შერწყმა ან საფეხბურთო საქმიანობის ტრანსფერი სხვა ერთეულისთვის), ან ნებისმიერი ცვლილება ლიცენზიის მაძიებლის იდენტობაში (მაგ., სათავო ოფისი, სახელწოდება, გერბი ან კლუბის ფერები), შეჯიბრების სამართლიანი პრინციპის საზიანოდ, ან კლუბის ისტორიის და მემკვიდრეობის საზიანოდ, რათა გაიადვილოს სპორტული მიღწევებით კვალიფიკაცია ან ლიცენზიის მიღება ლიცენზიის მაძებლის მიერ, ჩაითვლება წინამდებარე მოთხოვნებით განსაზღვრული წევრობის წყვეტად.

5. დებულების მუხ. 11, პარ. 5 თანახმად, **სფფ**-ის აღმასრულებელმა ორგანომ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი აღნიშნულ „3(2/1) სეზონის წესთან“ დაკავშირებით განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფეხბურთის განვითარების პოლიტიკის შესაბამისად.

B - პროცედურა

1. წინამდებარე პროცედურა მიზნად ისახავს ლიცენზირებად ლიგებში ე.წ. „სამი (ორი/ერთი) სეზონის წესთან“ დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზნით კონკრეტული მოთხოვნების ჩამოყალიბებას, კერძოდ, იურიდიული ფორმის და/ან სხვა მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, კანონმდებლობით იზღუდება

სამართალმემკვიდრეობის შენარჩუნება, ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებას აქვს ადგილი, და **სფფ**–ის მიერ მოხდება ე.წ. სპორტული მემკვიდრეობის აღიარება.

2. ოპერატიული რეაგირებისთვის და საქართველოს ჩემპიონატის შეუფერხებლად მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, ასეთ შემთხვევებში ლიცენზირებად ლიგაში (გარდა ეროვნული ლიგისა) გამონაკლისის დაშვების და იურიდიული პირის ჩანაცვლების კომპეტენცია **სფფ**–ის აღმასკომის მიერ დელეგირებულია **სფფ**–ის გენერალურ სამდივნოზე, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ცვლილების მონაწილე მხარეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციის რეკომენდაციის საფუძველზე.
3. **სფფ**–ის გენერალური სამდივნოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ეს ორგანო ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილება გააცნოს მონაწილე მხარეებს, ასევე **სფფ**–ის აღმასკომს გადაწყვეტილების შემდგომ უახლოეს სხდომაზე, და სხვა დაინტერესებულ პირებს (მაგ., **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი, და სხვ.). **სფფ**–ის აღმასკომი უფლებას იტოვებს, გააბათილოს **სფფ**–ის გენერალური სამდივნოს გადაწყვეტილება და მხარეებს დაუბრუნოს გადაწყვეტილების მიღებამდე **სფფ**–ის იურისდიქციაში არსებული სტატუსი.
4. არსებითად მნიშვნელოვანია, იურიდიული პირის ჩანაცვლებისას, მინიმუმ, შენარჩუნებულ იქნეს ან, უკეთეს შემთხვევაში, გაუმჯობესდეს შესაბამისი ლიგის ლიცენზირების მოთხოვნების შესრულების სტატუსი.
5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიგაში იურიდიული პირის ჩანაცვლების მიზნებისთვის უნდა იქნეს წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია:
   5.1. ლიცენზირებადი ლიგის მოქმედი წევრი კლუბის დამფუძნებლის წერილობითი თხოვნა **სფფ**–ს, იურიდიული პირების ჩანაცვლების პროცედურის დაწყებისა და ე.წ. სპორტული მემკვიდრეობის აღიარების შესახებ, რომელიც, მინიმუმ, განმარტავს შემდეგს:
      5.1.1. ცვლილების შინაარსი;
      5.1.2. მონაწილე მოქმედი (ან ყოფილი) და ახალი კლუბების იურიდიული რეკვიზიტები (სრული იურიდიული სახელწოდება, საიდ. ნომერი, და ა.შ.);
      5.1.3. მოტივაცია, რომ ცვლილება ხორციელდება მხოლოდ ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ და არა სხვა მიზნით (მაგ., კრედიტორების ვალდებულებებისგან თავის ასარიდებლად, კერძო პირთა ბიზნეს–ინტერესებისთვის და ა.შ.) და იგი არ ისახავს მიზნად ლიცენზირების მოთხოვნების დარღვევას, კერძოდ, ე.წ. „სამი (ორი/ერთი) სეზონის წესთან“ დაკავშირებით;
      5.1.4. განმარტება კანონდმებლობით არსებული შეზღუდვების შესახებ, რაც არ იძლევა ცვლილებისას სამართალმემკვიდრეობის შენარჩუნების საშუალებას (თუ ადგილი აქვს);
      5.1.5. განმარტება, რატომ არის აუცილებელი იურიდიული პირის ცვლილება და რატომ ვერ ხერხდება მოტივაციის ნაწილში აღნიშნული ცვლილების მიზნების განხორციელება არსებული იურიდიული პირის/ფორმის შემთხვევაში;
      5.1.6. სხვა დეტალები, რაც მნიშვნელოვანია საქმესთან დაკავშირებით.
   5.2. მოქმედი/ყოფილი და ახალი იურიდიული პირების იურიდიული დოკუმენტაცია, თითოეულზე მინიმუმ:

5.2.1. წესდება;
5.2.2. არაუადრეს 1 კვირის ვადაში მომზადებული რეესტრის ამონაწერი;
5.2.3. იურიდიული დეკლარაციები (როგორც ეს მოითხოვება ლიცენზირების პროცესში);
5.2.4. ჯგუფის იურიდიული სტრუქტურა, ანგარიშგების პერიმეტრის მითითებით (როგორც ეს მოითხოვება ლიცენზირების პროცესში);
5.2.5. ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება ახალი კლუბის მიერ, მინიმუმ, 2 სეზონზე, რომელიც ფარავს, მინიმუმ, ამ პერიოდში დაგეგმილ ვალდებულებებს და ეფუძნება დაშვებებისა და რისკების დასაბუთებულ ანალიზს.

5.3. მონაწილე იურიდიული პირებისა და მათი დამფუძნებლების შეთანხმება მოქმედი/ყოფილი იურიდიული პირის მიერ ახალი იურიდიული პირისთვის მატერიალური და არამატერიალური აქტივების და პასივების (მათ შორის, (ა) სპორტული აქტივების: სპორტული მიღწევები, ტიტულები, ლოგო, ფერები, ლოკაცია, კლუბის, როგორც სპორტული ბრენდის, სხვა მახასიათებლები; (ბ) როგორც საფეხბურთო, ისე არასაფეხბურთო, ყველა ტიპის ვალდებულების), ასევე არსებული და პოტენციური ფულადი სახსრების გადაცემის შესახებ, რომელსაც უნდა ერთვოდეს:
5.3.1. გადაცემული კომპონენტების სრული და კონკრეტული ჩამონათვალი (სათანადოდ დადასტურებული და, **სფფ**–ის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, აუდიტირებული);
5.3.2. შეთანხმებები დანართებში მითითებულ მხარეებთან (მაგ., ფეხბურთელები და სხვა თანამშრომლები, ინფრასტრუქტურის მომწოდებლები, და ა.შ.), მინიმუმ, იგივე ან უკეთესი პირობებით ურთიერთობის შესახებ, მხარეთა შესაბამისი დადასტურებებით.

5.4. საქმის ვითარებიდან გამომდინარე, **სფფ**–მ ასევე შესაძლოა მოითხოვოს:
5.4.1. მონაწილე იურიდიულ პირთა აუდიტი სხვადასხვა პერიოდზე, რაზედაც დაინტერესებული მხარეები დამატებით იქნებიან ინფორმირებულნი; და/ან
5.4.2. ახალი კლუბის/იურიდიული პირის საგანგებო ლიცენზირების პროცესი, რათა ამ უკანასკნელმა დაადასტუროს, რომ სრულად აკმაყოფილებს იმ ლიგის საკლუბო ლიცენზიის მოთხოვნებს, რომელშიც განიხილება ჩანაცვლება (აღნიშნული პროცესი, მინიმუმ, მოიცავს სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენას **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი საგანგებო ლიცენზირების გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში, იმ ფორმატში და გადაწყვეტილების მიღების იმ პროცედურით, როგორც დაადგენს ეს ორგანო, ასევე სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდას და კლუბის უფლებას, გაასაჩივროს სალიცენზიო გადაწყვეტილება).

5.5. ახალი იურიდიული პირის მიერ ვალდებულების აღების გარანტია **სფფ**–ში, **უეფა**ში, **ფიფა**–სა და CAS–ში მოპასუხედ ჩართვის შესახებ, ყოფილი იურიდიული პირის საფეხბურთოს საკითხებზე წარმოშობილ დავებში, რომელიც უკავშირდება ჩანაცვლების თარიღამდე წარმოშობილ საკითხებს (ეს შეიძლება იყოს ზემოთ 5.3. მითითებული შეთანხმებ(ებ)ის ნაწილი).

5.6. ახალი კლუბის მიმართვა შესაბამისი რეგიონის ფეხბურთის ფედერაციისადმი,

გაწევრიანების შესახებ და, მინიმუმ, აღნიშნული რფფ–ის საპასუხო წერილობითი კომუნიკაცია, საქმის წარმოებაში მიღების შესახებ.

6. **სფფ**–ის მიერ გამონაკლისის დაშვების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა და იურიდიული პირის ჩანაცვლების შედეგად:
   6.1. ყოფილ კლუბს (იურიდიულ პირს) უნარჩუნდება რეგისტრირებული წევრობა **სფფ**–ის იურისდიქციაში (**სფფ**–ში, ან **რფფ**–ში, ან **ლიგაში**, ან **სფფ**–ის წევრ სხვა ასოციაციაში, როგორც რელევანტურია კონკრეტული კლუბის შემთხვევაში) მარეგისტრირებელი ზემდგომი ორგანოს მომდევნო უახლოეს ყრილობამდე, რომელზეც შეიძლება იქნეს განხილული აღნიშნული კლუბის შემდგომი წევრობის სტატუსი.
   6.2. ყოფილი კლუბის დამფუძნებელი იღებს ვალდებულებას, არ მოახდინოს ყოფილი კლუბის ლიკვიდაცია გამონაკლისის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, მინიმუმ, 3 წლის განმავლობაში.
7. გამონაკლისის დაშვების/უარის შესახებ **სფფ**–ის გადაწყვეტილებას დაინტერესებული მხარეებს აცნობებს **სფფ**–ის გენერალური სამდივნო.

დანართი IV. აუდიტორის არჩევა და აუდიტორის მიერ ჩასატარებელი პროცედურები

A - პრინციპები

1. აუდიტორი (იხ. 66–ე მუხლი და VI დანართი) უნდა იყოს დამოუკიდებელი და აკმაყოფილებდეს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს.

2. აუდიტორული კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს **სფფ**–ის კლუბების ლიცენზირების და მონიტორინგის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (კრიტერიუმები და/ან ჩამონათვალი და/ან სხვ.), რის შესახებაც ლიცენზიარი აცნობებს ლიცენზიის მაძიებლებს სალიცენზიო სეზონის წინა წლის 31 ივლისამდე. ლიცენზიის მაძიებელმა წინასწარ, დადგენილ ვადებში უნდა აცნობოს **სფფ**–ს ლიცენზირების მიზნებისთვის შერჩეული აუდიტორული კომპანიის ვინაობა.

3. ლიცენზიარს შეუძლია გადაწყვიტოს, კონკრეტული კრიტერიუმების შესაფასებლად, აუდიტორები დაქირავებულ იქნეს ლიცენზიარის თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ. ამას გარდა, **ლმა**–ს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს თქვას უარი რომელიმე აუდიტორული კომპანი(ებ)ის ჩართულობაზე ლიცენზირების პროცესში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არ საჭიროებს დასაბუთებას და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ლიცენზირების მიზნებისთვის დაიქირავოს სხვა აუდიტორული კომპანია, ზემოთ, მე–2 პუნქტის შესაბამისად.

B - შეფასების პროცედურები

1. აუდიტორმა უნდა ჩაატაროს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც უნდა:

   ა) შეიცავდეს განცხადებას, რომ ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ჩატარდა საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად; და

   ბ) წარედგინოს ლიცენზიარს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რათა შეადგინოს სალიცენზიო გადაწყვეტილების საფუძველი.

   გარდა ამისა, აუდიტორმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი ანგარიში იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება VI დანართში დადგენილ სააღრიცხვო მოთხოვნებს. თუ ეს არ არის ასე, მაშინ ანგარიში უნდა შეიცავდეს იმ მოთხოვნების მოკლე აღწერას, რომლებიც არ არის დაკმაყოფილებული. ასეთ შემთხვევაში, ლიცენზირების კომიტეტი დეტალურად განიხილავს და შეაფასებს არსებულ სუტუაციას, სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღებისას.

2. წინამდებარე დებულებების 69–ე, 70–ე, 71–ე და 73–ე მუხლებთან დაკავშირებით, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს შეთანხმებული პროცედურები და მოამზადოს აუდიტორის ანგარიში (იხ. VII დანართი).

დანართი V. ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენის მინიმალური მოთხოვნები

A - პრინციპები

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (**ფასს**) თუ მცირე და საშუალო საწარმოთა მიმართ **ფასს**-ების მოთხოვნების მიუხედავად, წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული ფინანსური კრიტერიუმები ლიცენზიის მაძიებლებისგან მოითხოვს ლიცენზიარისთვის ფინანსური ინფორმაციის გარკვეული მინიმალური დონის წარდგენას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია 66-ე და 73-ე მუხლებში.

2. ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ამას გარდა, იმისთვის, რომ მომხმარებელმა სწორად გაიგოს წარმოდგენილი ინფორმაცია, ფინანსურ ანგარიშგებაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმეორდეს:

   ა) ანგარიშვალდებული საწარმოს/საწარმოების სახელწოდება (და სამართლებრივი ფორმა), იურიდიული და ფაქტიური მისამართები და წინა ბუღალტრული აღრიცხვის თარიღის შემდეგ ამ ინფორმაციაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;

   ბ) ეხება თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია: ლიცენზიის ინდივიდუალურ მაძიებელს/ლიცენზირებულს, საწარმოთა ჯგუფს თუ საწარმოთა რომელიმე სხვა ტიპის გაერთიანებას; ასევე ამგვარი ჯგუფის ან გაერთიანების სტრუქტურისა და შემადგენლობის აღწერა; და

   გ) ბუღალტრული აღრიცხვის დახურვის თარიღი და ფინანსური ინფორმაციით (როგორც მიმდინარე, ასევე შესადარისი ინფორმაციით) მოცული პერიოდი.

3. თუ ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება V დანართში მოყვანილი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნებს, ლიცენზიის მაძიებელმა ასევე უნდა წარუდგინოს ლიცენზიარს შემდეგი ინფორმაცია:

   ა) დამატებითი ინფორმაცია V დანართში მოყვანილი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

   ბ) აუდიტორის შეფასება, რომელიც ადასტურებს დამატებითი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეს. Fაღნიშნული შეფასება უნდა იყოს შედგენილი იგივე აუდიტორის მიერ, რომელიც ხელს აწერს ფინანსურ ანგარიშგებას **სფფ**-ის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.

4. ყველა ფინანსური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ლარებში.

B - საბალანსო უწყისი

კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის იხ. ქვემოთ, 1-ელი და მე-2 პუნქტები

1. მინიმალური მოთხოვნები საბალანსო უწყისის მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ.

<u>აქტივები</u>

i) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
ii) ფეხბურთელთა ტრანსფერებთან დაკავშირებული მოთხოვნები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
iii) მოთხოვნები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა დაკავშირებულ მხარეთა მიმართ (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
iv) სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
v) საგადასახადო აქტივები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
vi) მარაგი
vii) სხვა აქტივები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
viii) მატერიალური აქტივები
ix) არამატერიალური აქტივები _ ფეხბურთელთა რეგისტრაციები
x) სხვა არამატერიალური აქტივები
xi) ინვესტიციები

<u>ვალდებულებები</u>

xii) ბანკის ოვერდრაფტები
xiii) ბანკისა და სხვა სესხები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xiv) ვალდებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა დაკავშირებულ მხარეთა წინაშე (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xv) ფეხბურთელთა ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xvi) ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xvii) ვალდებულებები სოციალური/საგადასახადო ორგანოების მიმართ (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xviii) დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xix) სხვა საგადასახადო ვალდებულებები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xx) სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება)
xxi) ანარიცხები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)
xxii) სხვა ვალდებულებები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)

<u>წმინდა აქტივები/ვალდებულებები</u>

xxiii) წმინდა აქტივები/ვალდებულებები

<u>კაპიტალი</u>

xxiv) სააქციო/საწესდებო კაპიტალი
xxv) გადაფასებული რეზერვი
xxvi) გაუნაწილებელი მოგება
xxvii) სხვა რეზერვები

2. ხელმძღვანელობას უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, (i)–(xxvii) მუხლების ასახვა

საბალანსო უწყისში ცალკეა უმჯობესი თუ ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ქალთა კლუბების ლიცენზირებისთვის იხ. მე-3 პუნქტი, ქვემოთ:

3. მინიმალური მოთხოვნები საბალანსო უწყისის მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ.

აქტივები

i. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ii. სხვა მიმდინარე აქტივები

iii. მატერიალური და არამატერიალური აქტივები

iv. დებიტორული დავალიანება

v. სხვა გრძელვადიანი აქტივები

vi. მთლიანი აქტივები (i-v პუნქტების ჯამი)

ვალდებულებები

vii. საბანკო და სხვა სესხები

viii. სხვა გადასახდელები

ix. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

x. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

xi. მთლიანი ვალდებულებები (vii-x მუხლების ჯამი)

კაპიტალი

xii. მთლიანი კაპიტალი

C - მოგებისა და ზარალის უწყისი

კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის იხ. ქვემოთ, 1-ელი და მე-2 პუნქტები:

1. მინიმალური მოთხოვნები მოგებისა და ზარალის უწყისის მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ.

<u>ამონაგები</u>

i) ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები
ii) ამონაგები სპონსორობიდან და რეკლამებიდან
iii) ამონაგები ტრანსლაციიდან
iv) კომერციული საქმიანობიდან
v) **უეფა**-ს სოლიდარობის და საპრიზო თანხა
vi) გრანტები/სუბსიდიები ფეხბურთის ეროვნული ორგანოსა თუ მთავრობისგან

vii) სხვა საოპერაციო შემოსავალი
viii) მთლიანი შემოსავალი (i–vii პუნქტების ჯამი)

<u>ხარჯები</u>

ix) გაყიდული საქონლის/მომსახურების/მასალების თვითღირებულება
x) თანამშრომელთა გასამრჯელოების ხარჯები (ფეხბურთელები და სხვა თანამშრომლები)
xi) მატერიალური აქტივების ცვეთა და გაუფასურება
xii) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაციების გამოკლებით)
xiii) სხვა საოპერაციო ხარჯები
xiv) მთლიანი საოპერაციო ხარჯი (ix–xiii პუნქტების ჯამი)

<u>ფეხბურთელთა რეგისტრაცია</u>

xv) ფეხბურთელთა რეგისტრაციის ან ფეხბურთელთა რეგისტრაციების შეძენის ხარჯების ამორტიზაცია და გაუფასურება
xvi) ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი ან შემოსავალი ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან
xvii) სხვა სატრანსფერო შემოსავალი/ხარჯები
xviii) მთლიანი წმინდა შედეგი ფეხბურთელების რეგისტრაციიდან (xv–xvii პუნქტების ჯამი)

<u>არაოპერაციული პუნქტები</u>

xix) მოგება/ზარალი მატერიალური ან არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან
xx) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები
xxi) სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები
xxii) საგადასახადო შემოსავალი/ხარჯი
xxiii) საბოლოო შედეგი (viii, xiv, xviii, xix–xxii პუნქტების ჯამი)

2. ხელმძღვანელობას უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, (i)–(xxiii) მუხლების ასახვა მოგება–ზარალის უწყისში ცალკეა უმჯობესი თუ ახსნა–განმარტებით შენიშვნებში.

ᲥᲐᲚᲗᲐ კლუბების ლიცენზირებისთვის იხ. ქვემოთ, მე–3 პუნქტი:

3. მოგება–ზარალის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის წარდგენის მინიმალური მოთხოვნები მოცემულია ქვემოთ.

<u>შემოსავლები</u>

i. ბილეთების გაყიდვები
ii. სპონსორობა და რეკლამა
iii. მაუწყებლობის უფლებები
iv. კომერციული საქმიანობა

v. **უეფა**–ს სოლიდარობისა და საპრიზო თანხები

vi. სუბსიდიები, შემოწირულობები, შენატანები და სხვა გრანტები

vii. სხვა ოპერაციული შემოსავალი

viii. მთლიანი შემოსავალი (i–vii პუნქტების ჯამი)

<u>ხარჯები</u>

ix. თანამშრომლებზე გაცემული სარგებელი

x. სხვა ოპერაციული ხარჯები

xi. მთლიანი ოპერაციული ხარჯები (ფეხბურთელთა რეგისტრაციის გამორიცხვით) (იხ. Ix–x პუნქტების ჯამი)

xii. წმინდა შედეგი ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან

xiii. წმინდა არაოპერაციული შემოსავალი/(ხარჯი) — სხვა

xiv. საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)

xv. გადახდილი დივიდენდები/მინორიტარული წილები

xvi. მთლიანი ხარჯები (ix–xv პუნქტების ჯამი)

D - ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

1. ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური პერიოდის ფულადი ნაკადები, კლასიფიცირებული შემდეგი სახით:

<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>

საოპერაციო საქმიანობა არის ანგარიშვალდებული საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. ამგვარად, აღნიშნული ფულადი ნაკადები, საზოგადოდ, მიიღება ისეთი ოპერაციებიდან და სხვა მოვლენებიდან, რომლებიც მონაწილეობს წმინდა შედეგის განსაზღვრაში. მინიმალური მოთხოვნები ამ ნაწილის მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ:

i) წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან.

<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა (მათ შორის, ფეხბურთელთა რეგისტრაციების) და სხვა ისეთი ინვესტიციების შეძენა და რეალიზაცია, რომელთაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ძირითადი კატეგორიების მიხედვით ცალ–ცალკე უნდა წარადგინოს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი (ბრუტო) თანხები. მინიმალური მოთხოვნები ამ ნაწილის მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ:

კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის:

i) ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა ფეხბურთელთა რეგისტრაციების შეძენიდან/გაყიდვიდან;
ii) ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა მატერიალური ან არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან/გაყიდვიდან;
iii) სხვა ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან.

ქალთა კლუბების ლიცენზირებისთვის:

iv) ფულადი სახსრების შემოდინება/გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან

<u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>

საფინანსო საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება ანგარიშვალდებული საწარმოს კაპიტალი და ნასესხები სახსრები. კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ძირითადი კატეგორიების მიხედვით ცალ–ცალკე უნდა წარადგინოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი (ბრუტო) თანხები. მინიმალური მოთხოვნები ამ განყოფილების მუხლების შესახებ ჩამოყალიბებულია ქვემოთ:

კაცთა კლუბების ლიცენზირებისთვის:

i) ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა ნასესხები სახსრებიდან _ აქციონერები და დაკავშირებული მხარე
ii) ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა ნასესხები სახსრებიდან _ საფინანსო დაწესებულებები
iii) ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის/საკუთარი კაპიტალის ზრდის შედეგად
iv) ფულადი სახსრების გასვლა მესაკუთრეებზე/აქციონერებზე გაცემული დივიდენდების შედეგად
v) სხვა ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა საფინანსო საქმიანობიდან.

ქალთა კლუბების ლიცენზირებისთვის :

vi) ფულადი სახსრების შემოდინება/გადინება საფინანსო საქმიანობიდან.

<u>სხვა ფულადი ნაკადები</u>

განცალკევებით უნდა აისახოს პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი სახსრები. წლების მანძილზე, თითოეული მათგანი საანგარიშგებო პერიოდებს შორის წარდგენილ უნდა იქნეს ჯეროვნად, როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

ცალკე უნდა აისახოს მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები, თუ შეუძლებელია მათი სათანადოდ და ზუსტად დაკავშირება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან.

2. ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში წარმოდგენილ უნდა იქნეს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემადგენელი კომპონენტები. ასევე უნდა მოხდეს ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში ასახული თანხების შედარება საბალანსო უწყისში წარდგენილ შესაბამის მუხლებთან.

E - ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებითი შენიშვნები

[ეს ნაწილი არ განიხილება ᲥᲐᲚᲗᲐ კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

ფინანსურ ანგარიშგებას ახსნა–განმარტებითი შენიშვნები უნდა დაერთოს სისტემატურად. უშუალოდ საბანალსო უწყისში, მოგებისა და ზარალის უწყისში და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის თითოეული მუხლის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ის ახსნა–განმარტებითი შენიშვნა, სადაც გახსნილია ამ მუხლის შესაბამისი ინფორმაცია. ქვემოთ განხილულია მინიმალური მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებით შენიშვნებში გასახსნელი ინფორმაციისთვის:

ა) სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

ბ) მატერიალური აქტივები

ახსნა–განმარტებით შენიშვნებში ცალ–ცალკე წარდგენილ უნდა იქნეს მატერიალური აქტივების თითოეული კატეგორია (კლასი) (მაგ., ძირითადი საშუალებები: ქონება (შენობა–ნაგებობები), სტადიონი და აღჭურვილობა, და გამოყენების უფლების მქონე აქტივები).

მატერიალური აქტივების თითოეული კლასისათვის ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

i) მთლიანი საბალანსო ღირებულება (ბრუტო) და დაგროვილი ცვეთა (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს; და

ii) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენები იქნება აქტივების შემოსვლა (მატება), გასვლა, გადაფასების შედეგად გამოწვეული ღირებულების მატება ან კლება პერიოდის განმავლობაში, პერიოდის მანძილზე მოგებისა და ზარალის უწყისში აღიარებული გაუფასურების ნებისმიერი ზარალი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული გაუფასურების ნებისმიერი ზარალის ანულირება (უკუგატარების თანხა) და ცვეთა;

ცვეთის დარიცხვისთვის გამოყენებული მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები (ან ცვეთის ნორმები) უნდა განიმარტოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ახსნა–განმარტებით შენიშვნებში.

გ) არამატერიალური აქტივები

განმარტებით შენიშვნებში ცალ–ცალკე წარდგენილ უნდა იქნეს არამატერიალური აქტივების თითოეული კატეგორია (კლასი) (მაგ., ფეხბურთელთა რეგისტრაციები, გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები).

არამატერიალური აქტივების თითოეული კლასისათვის ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

i) მთლიანი საბალანსო ღირებულება (ბრუტო) და დაგროვილი ამორტიზაცია

(დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს; და

ii) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენები იქნება აქტივების შემოსვლა (მატება), გასვლა, პერიოდის განმავლობაში მოგებისა და ზარალის უწყისში ასახული გაუფასურების ნებისმიერი ზარალით გამოწვეული შემცირება და ამორტიზაცია;

ფეხბურთელთა რეგისტრაციების ბუღალტრული მოთხოვნების აღრიცხვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის გასაცნობად იხილეთ VI დანართი.

დ) დაგირავებული შემოსავლები და აქტივები

ანმგარიშმგებელმა საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

i) ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით დაგირავებული საკუთრების, ძირითადი საშუალებებისა და აღჭურვილობის (როგორიცაა სტადიონი და სავარჯიშო ობიექტები) შეზღუდვების არსებობა და ოდენობა;

ii) არამატერიალური აქტივების არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომელთა საკუთრება შეზღუდულია და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება (როგორიცაა ფეხბურთელთა რეგისტრაცია), რომელიც დაგირავებულია როგორც ფასიანი ქაღალდი ან პირობითი ვალდებულება; და

iii) ფინანსური აქტივების ან/და სამომავლო შემოსავლების (მაგ. ფეხბურთელთა რეგისტრაციასთან, საშეჯიბრო თანხებთან/პრიზებთან, აბონემენტებისა და სხვა ბილეთების გაყიდვებთან, მაუწყებლობის უფლებებსა და სასპონსორო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებების და სამომავლო შემოსავლების) არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომლებიც გამოყენებულია ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

ე) ინვესტიციები

ინვესტიციები უნდა მოიცავდეს ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებსა და ასოცირებულ საწარმოებში. შვილობილ კომპანიებში, ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებსა და ასოცირებულ საწარმოებში დაბანდებული თითოეული ინვესტიციისთვის ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა განიმარტოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

i) საწარმოს სახელწოდება;

ii) ქვეყანა, სადაც იურიდიულად არის რეგისტრირებული ან მდებარეობს საწარმო;

iii) საწარმოს ბიზნესის/საქმიანობის ტიპი;

iv) საკუთრების წილი;

v) თუ განსხვავებულია, კუთვნილი ხმისუფლებიანი წილის პროცენტიც; და

vi) ინვესტიციების აღრიცხვისთვის გამოყენებული მეთოდის აღწერა.

ვ) ბანკის ოვერდრაფტები და სესხები

ფინანსური ვალდებულების თითოეული კატეგორიისათვის ახსნა–განმარტებით

შენიშვნებში უნდა განიმარტოს შემდეგი ინფორმაცია:

i) ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობისა და ხასიათის, მათ შორის შესაბამისი თანხებისა და ხელშეკრულების პერიოდის შესახებ, იმ მნიშვნელოვანი პირობების მითითებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეზე, მათი მიღების დროსა და ალბათობაზე; და

ii) საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და მის მიერ შერჩეული და გამოყენებული მეთოდები, მათ შორის, აღიარების კრიტერიუმები და გამოყენებული თანხობრივად აღრიცხვის საფუძვლები.

8) ანარიცხები

შენიშვნებში ანარიცხები უნდა აისახოს ცალ–ცალკე კატეგორიების მიხედვით. იმის დასადგენად, რომელი ანარიცხების გაერთიანება არის შესაძლებელი ერთ კატეგორიაში, აუცილებელია იმის შეფასება, საკმარისად მსგავსი ბუნებისაა თუ არა ეს ანარიცხები იმისათვის, რომ გაერთიანდნენ და ჯამური თანხით იყვნენ წარმოდგენილი.

თითოეული ტიპის ანარიცხისთვის ნაჩვენები უნდა იყოს საბალანსო ღირებულება პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს, ასევე მოცემული პერიოდის განმავლობაში გამოყენებული და გამონთავისუფლებული თანხა, და ანგარიშის კრედიტის მხარეს ასახული ნებისმიერი თანხა.

თ) გამოშვებული კაპიტალი და რეზერვები

განმარტებით შენიშვნებში ცალ–ცალკე უნდა გაიხსნას ინფორმაცია სააქციო კაპიტალის, გადაფასების რეზერვების, სხვა რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების შესახებ.

i) სააქციო/საწესდებო კაპიტალი
საანგარიშო პერიოდში გამოშვებულ სააქციო კაპიტალთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს შემდეგი ინფორმაცია:

- გამოშვებული აქციების რაოდენობა და ტიპი;
- აქციების გამოშვების შედეგად წარმოშობილი საემისიო კაპიტალი (თუ არსებობს);
- აქციების გამოშვების შედეგად მიღებული მთლიანი თანხა;
- ახალი აქციების გამოშვების მიზეზები.

ii) გადაფასების რეზერვები
როდესაც ძირითადი საშუალებების (ქონება, სტადიონი, აღჭურვილობა ან/და არამატერიალური აქტივები) მუხლები გადაფასებული ღირებულებით არის ასახული, ახსნა–განმარტებით შენიშვნებში მითითებული უნდა იყოს გადაფასებით წარმოქმნილი ნამეტის დაგროვილი თანხა, აგრეთვე მოცემული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილება, ასევე ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც ეხება ნაშთის განაწილებას აქციონერებზე.

iii) სხვა რეზერვები
რეზერვის ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც არ შედის გადაფასების რეზერვებში, მათ შორის ნებისმიერი ცვლილება საანგარიშო პერიოდში და

ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც ეხება ნაშთის განაწილებას აქციონერებზე.

iv) გაუნაწილებელი მოგება
ახსნა–განმარტებით შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის საწყისი და საბოლოო თარიღისათვის არსებული გაუნაწილებელი მოგების ნაშთი (ე.ი. დაგროვილი მოგება ან ზარალი), ასევე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები.

ი) მაკონტროლებელი მხარე და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

როდესაც ანგარიშვალდებულ საწარმოს სხვა მხარე აკონტროლებს, ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა განიმარტოს მოცემულ დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობა და დაკავშირებული მხარის სახელწოდება, ასევე, საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, თუ იგი განსხვავებულია. ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებით შენიშვნებში იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა რაიმე ოპერაცია ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მაკონტროლებელ მხარე(ებ)ს შორის.

კ) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაცია ნიშნავს რესურსების, სერვისების ან ვალდებულებების გადაცემას დაკავშირებულ მხარეებს შორის, იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა Gფასის გადახდა.

თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებს შორის შესრულებული იყო ერთი ან მეტი ოპერაცია, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა განმარტოს დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის ხასიათი, ასევე ინფორმაცია შესრულებული ოპერაციებისა და არსებული საბალანსო ნაშთების შესახებ, მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების, რომელიც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის შესაფასებლად. მსგავსი ბუნების მუხლები აგრეგირებული სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, თუ მათი ცალ–ცალკე განმარტება აუცილებელი არ არის დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გასაგებად.

როგორც მინიმუმი, ახსნა–განმარტებით შენიშვნებში თითოეული დაკავშირებული მხარის შესახებ უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

i) ოპერაციების მოცულობა (თანხა) და ხასიათი;
ii) არსებული საბალანსო ნაშთების მოცულობა, ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით და:
   - მათი პირობები, მათ შორის უზრუნველყოფილია თუ არა ისინი, ასევე ანგარიშსწორების ფორმა; და
   - ინფორმაცია გაცემული ან მიღებული გარანტიების შესახებ;
iii) საბალანსო ნაშთებთან დაკავშირებული საეჭვო ვალების ანარიცხები; და
iv) დაკავშირებული მხარეებიდან მისაღებ უიმედო ან საეჭვო ვალებთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებული ხარჯები.

განმარტებები ცალ–ცალკე უნდა გაკეთდეს თითოეული შემდეგი კატეგორიი–სთვის:

- სათავო საწარმო;
- საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნე–ლოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;
- შვილობილი საწარმოები;
- ასოცირებული საწარმოები;
- ერთობლივი საქმიანობები, სადაც ანგარიშვალდებული საწარმო არის სრულუფლებიანი მონაწილე;
- ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს ზედა რგოლის ხელმძღვანელობა; და
- სხვა დაკავშირებული მხარეები.

ანგარიშგებაში უნდა დადასტურდეს, რომ დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები შესრულებულია იმ პირობების ეკვივალენტურად, რომელიც ,,გაშლილი ხელის მან–ძილის პრინციპის“ ოპერაციებისთვის არის დამახასიათებელი, თუკი შესაძლებე–ლია ამგვარი პირობების დასაბუთება.

ლ) პირობითი ვალდებულებები

თუ საწარმოს საანგარიშსწორებო თანხების გასვლის ალბათობა უმნიშვნელო არ არის, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ოფიციალური საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეული კატეგორიის პირობითი ვალდებულებისთვის ახსნა–განმარტებით შენიშვნებში მოკლედ უნდა აღწეროს პირობითი ვალდებულების ხასიათი და, თუ შესაძლებელია:

i) მისი ფინანსური გავლენის შეფასება;
ii) უნდა მიუთითოს საწარმოს გასაცემი ნებისმიერი თანხის სიდიდესთან ან ამ თანხის გასვლის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები; და
iii) რაიმე სახის ანაზღაურების ალბათობა.

მ) საბალანსო თარიღის შემდგომი მოვლენები

ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა გაიხსნას ინფორმაცია საბალანსო თარიღის შემდგომი არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენების შესახებ, მათ შორის მოვლენის არსი (ხასიათი) და მისი ფინანსური გავლენის შეფასება, ან უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ამგვარი შეფასების გაკეთება. საბალანსო თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითებია:

i) გრძელვადიანი ნასესხები სახსრები, რომელთა გადახდის ვადა ახლოვდება და არ არსებობს სესხის განახლების ან გადახდის რეალური პერსპექტივა;
ii) მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალი;
iii) გამოვლენილი არსებითი თაღლითობის ან შეცდომების ფაქტები, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ფინანსური ანგარიშგება მცდარია;
iv) ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ ის აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან კომერციული საქმიანობის შეწყვეტას ან მას არა აქვს რეალური ალტერნატივა, ასე რომ არ მოიქცეს;

v) მოთამაშეთა ტრანსფერის ოპერაციები, როდესაც გადასახდელი ან მისაღები თანხები მატერიალური მნიშვნელობისაა;

vi) უძრავ ქონებასთან, მაგალითად, კლუბის სტადიონთან დაკავშირებული ოპერაციები.

ნ) სხვა განმარტებები

i) აგენტების/შუამავლების საკომისიო გადასახადები:
ახსნა–განმარტებით შენიშვნებში უნდა განიმარტოს საანგარიშო პერიოდში აგენტებთან/შუამავლებთან დაკავშირებული ან მათ სასარგებლოდ გადახდილი მთლიანი თანხა.

ii) საგადასახადო ხარჯი:
ცალ–ცალკე წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ხარჯის შემადგენელი კომპონენტები. ე.ი. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრაში მონაწილე აგრეგირებული თანხა მიმდინარე და/ან გადავადებული გადასახადის თანხად.

iii) სხვადასხვა:
ახსნა–განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ უნდა იქნეს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან განმარტება, რაც არ აისახა უშუალოდ საბალანსო, მოგებისა და ზარალის ან ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში, მაგრამ საჭიროა რომელიმე ზემოაღნიშნული ანგარიშგების გასაგებად, და/ან მოითხოვება ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

F - ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილი

[ეს ნაწილი არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ყველა ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, მოახდინოს ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, მოამზადოს ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილი და წარუდგინოს ლიცენზიარს.

2. ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილი უნდა წარედგინოს აუდიტორს, რომელმაც ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილში მოცემული აგრეგირებული მონაცემები უნდა შეაჯეროს ფინანსური ანგარიშგების საბალანსო და მოგება–ზარალის უწყისების შესაბამის მონაცემებთან. ამასთან, ფეხბურთელის საიდენტიფიკაციო ცხრილი უნდა წარედგინოს ლიცენზიარსაც.

3. მინიმალური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილში თითოეული შესაბამისი ფეხბურთელის შესახებ მოცემულია ქვემოთ:

ა) სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;
ბ) ფეხბურთელის თავდაპირველი ხელშეკრულების დაწყების თარიღი და მიმდინარე ხელშეკრულების დამთავრების თარიღი;
გ) ფეხბურთელის რეგისტრაციის პირდაპირი დანახარჯები;
დ) დაგროვილი ამორტიზაციის საწყისი (წინა წლიდან გადმოტანილი) და პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი;

ე) მოცემულ პერიოდში ფეხბურთელის რეგისტრაციის ამორტიზაცია ;
ვ) მოცემულ პერიოდში რეგისტრაციის გაუფასურება;
ზ) ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლა (თვითღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია);
თ) წმინდა სააღრიცხვო ღირებულება (საბალანსო ღირებულება);
ი) ფეხბურთელის რეგისტრაციის გაყიდვიდან (გასვლიდან) მიღებული მოგება (ზარალი) და
კ) გაყიდვის უფლებები (ან მსგავსი), ე.ი. აღწერა და (თუ შესაძლებელია) კვალიფიკაცია თითოეული გაყიდვის უფლების ფეხბურთის კლუბისთვის, რომელიც წინათ ფლობდა ფეხბურთელის რეგისტრაციას, ტრანსფერის კომპენსაციის და/ან სოლიდარობის გადასახადის გამოკლებით.

4. მოთამაშეთა იდენტიფიცირების ცხრილში ინფორმაციის წარდგენა მოითხოვება ყველა შემდეგი ფეხბურთელის შესახებ:

ა) ყველა ფეხბურთელის შესახებ, რომელთა რეგისტრაციასაც ფლობდა ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზირებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში და ამ ფეხბურთელ(ებ)თან დაკავშირებით გაწეული იყო გარკვეული პირდაპირი შეძენის დანახარჯები (საანგარიშგებო წლის განმავლობაში ან წინა პერიოდებში);
ბ) ყველა ფეხბურთელის შესახებ, ვისთან დაკავშირებითაც აღიარებული იყო გარკვეული შემოსავალი/მოგება (ზარალი) (საანგარიშგებო წლის განმავლობაში).

5. თუ ლიცენზიის მაძიებლებმა/ლიცენზირებულებმა შეცვალეს ფეხბურთელებთან დაკავშირებული სააღრიცხვო მონაცემები, რათა დაეკმაყოფილებინათ წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული სააღრიცხვო მოთხოვნები, მაშინ ფეხბურთელთა საიდენტიფიკაციო ცხრილის აგრეგირებული მონაცემები პირდაპირ უნდა ედრებოდეს/დადარებადი იყოს ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილ განახლებულ მონაცემებს.

G - ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ფინანსური მიმოხილვა

[ეს ნაწილი არ განიხილება ქალთა კლუბების ეროვნული ლიცენზიისთვის]

1. ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას ან კომენტარებს (ზოგჯერ მას დირექტორების ანგარიშს უწოდებენ), სადაც აღწერილი და ახსნილი იქნება ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებები, ასევე მის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები.

2. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს ასევე იმ პირთა ვინაობა (სახელი და გვარი), ვინც იყვნენ ანგარიშვალდებული საწარმოს აღმასრულებელი ორგანოს ან დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საანგარიშგებო წლის რომელიმე პერიოდში.

დანართი VI. ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის

A - პრინციპები

1. ლიცენზიის მაძიებლის სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, 66-ე მუხლით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგება უნდა ეფუძნებოდეს **ფასს**-ს ან **ფასს**-ებს მცირე და საშუალო საწარმოთათვის.

2. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს იმ დაშვებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი არის ფუნქციონირებადი საწარმო, რაც გულისხმობს, რომ იგი გააგრძელებს საქმიანობას საპროგნოზო მომავალში. ივარაუდება, რომ ლიცენზიის მაძიებელს არ გააჩნია განზრახვა და მოთხოვნილება დაიწყოს ლიკვიდაცია, შეწყვიტოს სამეწარმეო საქმიანობა ან ეძიოს კრედიტორებისგან დაცვა.

3. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლები (ჩარჩო) წარმოადგენდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადების მისაღებ საფუძველს, იგი უნდა შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს:

   ა) სამართლიანი წარდგენა;
   ბ) წარდგენის თანმიმდევრულობა;
   გ) დარიცხვის მეთოდი აღრიცხვაში;
   დ) არსებითი კლასის/კატეგორიის ცალ-ცალკე წარმოდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;
   ე) არ შეიძლება აქტივებისა და ვალდებულებების, ან შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების ურთიერთგადაფარვა (გაქვითვა).

4. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიის თითოეულმა მაძიებელმა ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი თავისი ქვეყნის ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ან მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, წინამდებარე წესები მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ლიცენზიის მაძიებლებმა უნდა დაიცვან, როგორც მითითებულია VI დანართის, B-F ქვეთავებში.

5. თუ ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება VI დანართში დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს, ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიარს ასევე უნდა წარუდგინოს ყოველივე შემდეგი:

   ა) განახლებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც აკმაყოფილებს VI დანართში დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ფარავდეს იგივე საანგარიშგებო პერიოდს და მოიცავდეს წინა შესადარისი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ფინანსურ მაჩვენებლებს;

   ბ) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის განცხადება იმის შესახებ, რომ განახლებული ფინანსური ანგარიშგება არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს; და

   გ) აუდიტორის შეფასება, რომელიც ადასტურებს განახლებული ფინანსური ანგარიშგების

სისრულესა და სიზუსტეს. Fაღნიშნული შეფასება უნდა იყოს შედგენილი იგივე აუდიტორის მიერ, რომელიც ხელს აწერს ფინანსურ ანგარიშგებას **სფფ**-ის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.

6. განახლებული ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს:

   ა) განახლებულ ბალანსს მოცემული პერიოდის დასასრულის მდგომარეობით;

   ბ) განახლებულ მოგება-ზარალის ანგარიშს/შემოსავლის ანგარიშგებას მოცემული პერიოდისთვის;

   გ) კაპიტალში ცვლილებების განახლებულ ანგარიშგებას მოცემული პერიოდისთვის; და

   დ) შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას, სხვა განმარტებით შენიშვნებს, ისევე როგორც შენიშვნას (შენიშვნებს), რომელიც განახლებულ ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს/შემოსავლის ანგარიშგებას შეადარებს განახლებულ ფინანსურ ანგარიშგებებსა და შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებებს.

B - კონსოლიდირების/კომბინირების მოთხოვნები

1. ანგარიშგების პერიმეტრში შემავალ ყველა საწარმოს (როგორც ეს განსაზღვრულია 65-ე მუხლში) ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს კონსოლიდირებულად ან კომბინირებულად, თითქოს წარმოადგენენ ერთ საწარმოს.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც სათავო კომპანიისა და შვილობილი კომპანიების აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები იმგვარადაა წარმოდგენილი, თითქოს ერთი კომპანიის იყოს.

3. კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება ისეთი ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ორი ან რამდენიმე კომპანიის შესახებ, რომლებიც საერთო კონტროლს ექვემდებარებიან და არ მოიცავს ინფორმაციას მაკონტროლებელი საწარმოს შესახებ.

C - ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივი ტრანსფერისთვის

1. ლიცენზიის მაძიებლებმა ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის დანახარჯების კაპიტალიზაცია უნდა მოახდინონ არამატერიალური აქტივის სახით. ამასთან დაკავშირებით, ლიცენზიის მაძიებლებმა უნდა გამოიყენონ ბუღალტრული აღრიცხვისთვის დადგენილი გარკვეული მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია ამ C ნაწილის განყოფილების მე-2 პუნქტში.

2. ბუღალტრული აღრიცხვისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნებია შემდეგი:

   ა) ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენა მაშინ უნდა აღიარდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ტრანსფერის განსახორციელებლად აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი პირობა, ე.ი. როდესაც ტრანსფერი ფაქტობრივად უპირობოა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს იურიდიული

ძალის მქონე ხელშეკრულება ორ კლუბსა და ფეხბურთელის რეგისტრაციის შემძენ კლუბსა და ფეხბურთელს შორის.

ბ) ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლა მაშინ უნდა აღიარდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ტრანსფერის განსახორციელებლად აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი პირობა, ე.ი. როდესაც ტრანსფერი ფაქტობრივად უპირობოა, რაც იმას ნიშნავს, რომ რისკები და სარგებელი გადაეცა ახალ კლუბს.

გ) დასაშვებია მხოლოდ ფეხბურთელის რეგისტრაციასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების, როგორც არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, რომელიმე ინდივიდუალური ფეხბურთელის საბალანსო ღირებულება არ უნდა გადაფასდეს იმგვარად, რომ მისი საბალანსო ღირებულება გაიზარდოს, თუნდაც ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობას შეიძლება მიაჩნდეს, რომ ამ ფეხბურთელის საბაზრო ღირებულება მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე. გარდა ამისა, მართალია, აღიარებულია, რომ ლიცენზიის მაძიებელმა შესაძლოა გარკვეული ღირებულება მიიღოს/შექმნას ადგილობრივად მომზადებული ფეხბურთელების გამოყენებიდან ან/და ტრანსფერიდან, მაგრამ ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, ლიცენზიის მაძიებლის საკუთარ ახალგაზრდულ სექტორთან დაკავშირებული დანახარჯები არ უნდა აისახოს ბალანსში _ ვინაიდან უნდა მოხდეს მხოლოდ ფეხბურთელების რეგისტრაციის დანახარჯების კაპიტალიზაცია. ფეხბურთელთა ყველა სახის ანაზაღაურება ან/და სარგებელი (როგორიცაა კონტრაქტის დადებისას მისაღები საზღაური) უნდა აისახოს, როგორც დაქირავებული პირის გასამრჯელოს ხარჯი და არა როგორც ფეხბურთელის რეგისტრაციის დანახარჯები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ფინანსური დანახარჯები მიიჩნევა ფინანსურ დანახარჯებად და არა ფეხბურთელის რეგისტრაციის დანახარჯებად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სესხი აღებული იყო ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის დაფინანსების ხელშესაწყობად.

დ) ფეხბურთელის რეგისტრაციის ხარჯების ამორტიზაციის პროცესი უნდა დაიწყოს ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის მომენტიდან. ამორტიზაციის პროცესი წყდება, როდესაც აქტივი სრულად ამორტიზებული გახდება ან შეწყდება აქტივის აღიარება (ე.ი. მიიჩნევა, რომ რეგისტრაცია მუდმივად გადაეცა სხვა კლუბს).

ე) თითოეული ინდივიდუალური ფეხბურთელის რეგისტრაციისთვის, ამორტიზებადი ღირებულება სისტემატურ საფუძველზე უნდა განაწილდეს ფეხბურთელის საწყისი კონტრაქტის პერიოდზე, მაქსიმუმ, 5 წლამდე. ამ მიზნით, აქტივის თვითღირებულება სისტემატურად ჩამოიწერება, როგორც ხარჯი, ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის დღიდან და ფეხბურთელის კონტრაქტის ვადის განმავლობაში, მაქსიმუმ, 5 წლამდე. თუ კლუბთან გაფორმებული ფეხბურთელის კონტრაქტის ვადა გაგრძელდება, მაშინ ამორტიზებას უნდა დაექვემდებაროს ფეხბურთელის რეგისტრაციის არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულებას პლუს კონტრაქტის შეთანხმებასა და გაფორმებასთან უშუალოდ დაკავშირებული ნებისმიერი დანახარჯი (მაგ., აგენტის/საშუამავლო საკომისიო გადასახდელი) და ამორტიზება განხორციელდეს თავდაპირველი კონტრაქტის დარჩენილი პერიოდის ან კონტრაქტის გაგრძელებული ვადის განმავლობაში, კონტრაქტის გაგრძელების დღიდან მაქსიმუმ 5 წლამდე პერიოდში.

ვ) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობა ყოველ წელს უნდა ატარებდეს ყველა კაპიტალიზებული ფეხბურთელის ღირებულების გაუფასურების მიმოხილვას ინდივიდუალურად. თუ ამა თუ იმ ინდივიდუალური ფეხბურთელის ანაზღაურებადი

ღირებულება ნაკლებია ბალანსში ნაჩვენებ საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ საბალანსო ღირებულება უნდა დაკორექტირდეს, კერძოდ, შემცირდეს ანაზღაურებად ღირებულებამდე და კორექტირების თანხა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშში, როგორც გაუფასურების დანახარჯი.

ზ) ფეხბურთელის რეგისტრაციის წმინდა საბალანსო ღირებულების გაუფასურება უნდა ექვემდებარებოდეს მიმოხილვას საანგარიშო პერიოდში, შემდეგ პირობებში:

i) როდესაც საანგარიშგებო დღისთვის აშკარა ხდება, რომ ფეხბურთელი უკვე ვეღარ შეძლებს კლუბთან ერთად თამაშს, მაგალითად ტრავმის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის მის კარიერას, ან ის სამუდამოდ ვეღარ შეძლებს პროფესიონალური ფეხბურთის თამაშს. ასეთ შემთხვევაში, ფეხბურთელის რეგისტრაციის წმინდა საბალანსო ღირებულება, რომელიც ნაჩვენებია ბალანსში, სრულად უნდა იქნეს მიჩნეული გაუფასურებულად ამ საანგარიშო პერიოდში. ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები არ წარმოადგენს გაუფასურების ზარალის აღიარების მიზეზს/საფუძველს:

- ფეხბურთელმა საანგარიშო პერიოდში მიიღო ტრავმა და იგი დროებით ვერ შეძლებს კლუბთან ერთად პროფესიონალური ფეხბურთის თამაშს; ან
- ფეხბურთელის ჯანმრთელობა ან უნარიანობა შესუსტდა და ის არ შეარჩიეს კლუბის ძირითადი გუნდის მატჩებში მონაწილეობისთვის.

ამასთან დაკავშირებით, ფეხბურთელის კონტრაქტის მთელი ვადის განმავლობაში ისევ უნდა გაგრძელდეს იმ ფეხბურთელების მომავალი ხელფასების აღიარება დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯის სახით, რომლებსაც მიღებული აქვთ ტრავმა, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ კარიერას, ან რომლებიც სამუდამოდ ვეღარ შეძლებენ პროფესიონალური ფეხბურთის თამაშს.

ii) თუ კლუბის ხელმძღვანელობა ვალდებულია, განახორციელოს ამა თუ იმ ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივი ტრანსფერი და ტრანსფერი განხორციელდა ზუსტად საანგარიშო დღის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელის რეგისტრაციის წმინდა საბალანსო ღირებულების გაუფასურება, რომელიც აისახება ბალანსში, უნდა ექვემდებარებოდეს მიმოხილვას, თუკი ახალი კლუბისთვის ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივ გადაცემასთან დაკავშირებული შემოსულობა ნაკლებია მის წმინდა საბალანსო ღირებულებაზე. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განიმარტოს ზემოაღნიშნული სააღრიცხვო პრინციპი და კლუბმა ეს პრინციპი უცვლელად უნდა გამოიყენოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

iii) თუ კლუბის ხელმძღვანელობამ განახორციელა ფეხბურთელის რეგისტრაციის დროებითი ტრანსფერი ამორტიზაციის ღირებულებაზე ნაკლები თანხის სანაცვლოდ.

თ) კლუბებს შორის ორი ან მეტი მოთამაშის საპირისპირო მიმართულებით ტრანსფერის შემთხვევაში, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა შეაფასოს, განიხილება თუ არა ეს ტრანსფერები მოთამაშეთა გაცვლის ტრანზაქციებად წინამდებარე დებულებების მიხედვით. თუ ეს ასეა, აქტივების გაცვლის საერთაშორისო ბუღალტრული მოთხოვნები (ე.ი. ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტი N38, პუნქტები 45–47) გამოყენებული იქნება გამავალი მოთამაშ(ეებ)ის გასხვისებიდან მიღებული მოგების და შემომავალი მოთამაშე(ები)ს რეგისტრაციის ხარჯების გაანგარიშებისას. პრინციპში, გამავალი მოთამაშის რეგისტრაციის განკარგვიდან მიღებული მოგების გაანგარიშებისას, შემოსავალი არ უნდა

აღემატებოდეს ლიცენზიის მაძიებლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მოთამაშის რეგისტრაციის ღირებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაკორექტირებულია გაცვლითი ტრანზაქციის კონტექსტში გადახდილი ნებისმიერი წმინდა ნაღდი თანხის გათვალისწინებით, ხოლო შემომავალი მოთამაშის რეგისტრაციის ხარჯები უნდა იყოს კაპიტალიზებული, მაქსიმუმ, გამავალი მოთამაშის საბალანსო ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია გაცვლითი ტრანზაქციის კონტექსტში გადახდილი ნებისმიერი წმინდა ნაღდი თანხის გათვალისწინებით.
მოთამაშეთა გაცვლის ტრანზაქცია გულისხმობს კლუბებს შორის ორი ან მეტი მოთამაშის საპირისპირო მიმართულებით გადასვლას, და ჩვეულებრივ მოიცავს ერთ ან მეტ ქვემოჩამოთვლილ პირობას გამავალი და შემომავალი მოთამაშეების მიმართ (სია არ არის ამომწურავი). ტრანსფერები – შემომავალი და გამავალი:

- წარმოადგენს იგივე სატრანსფერო ხელშეკრულების ნაწილს;
- წარმოადგენს სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებული სატრანსფერო ხელშეკრულებების ნაწილს;
- გაფორმებულია ერთი და იგივე სარეგისტრაციო პერიოდში;
- არ მოიცავს, ან მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით მოიცავს ფულადი სახსრების მოძრაობას;
- მოიცავს გადახდის იგივე ან მსგავს ვალდებულებებს როგორც შემომავალი, ისე გამავალი მოთამაშეების მიმართ, რომლებიც სავარაუდოდ ერთმანეთს გაანეიტრალებს.

3. ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი უნდა იყოს გაანგარიშებული ნებისმიერი გადახდილი და/ან გადასახდელი თანხების გარეშე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლას და მოიცავს შემდეგს:

ა) რეალიზებულ პირობით სატრანსფერო კომპენსაციას იმ თანხებისთვის, რომლებიც გადასახდელი გახდა ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლისას (მაგ. შატრანსფერო თანხის პროცენტი, რომელიც გადასახდელია სხვა კლუბისთვის);
ბ) ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც პირდაპირ გადახდილი ან/და გადასახდელია სხვა მხარისთვის, როგორიცაა სხვა საფეხბურთო კლუბი, აგენტი/შუამავალი ან ეროვნული საფეხბურთო **ასოციაცია/ლიგა**.

4. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა შეიტანოს შემდეგი კორექტივები ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივ ტრანსფერთან დაკავშირებით ორ კლუბს შორის, რომლებიც წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს:

ა) კლუბმა, რომელმაც შეიძინა ფეხბურთელის რეგისტრაცია, უნდა გამოთვალოს ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის ღირებულება – საანგარიშო პერიოდში ამორტიზაციის საფასურისთვის (კლუბებისთვის, რომლებიც ფეხბურთელთა რეგისტრაციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის იყენებენ კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდს) ან ფეხბურთელის რეგისტრაციის ღირებულებისთვის (კლუბებისთვის, რომლებიც ფეხბურთელთა რეგისტრაციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის იყენებენ შემოსავლისა და ხარჯის აღრიცხვის მეთოდს) — შემდეგი თანხებიდან ყველაზე მსხვილის გამოყენებით:

i) ფეხბურთელის რეგისტრაციის შეძენის ფაქტობრივი ღირებულება;

ii) ფეხბურთელის დარეგისტრირების ისტორიული ხარჯები იმ კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელმაც გაუშვა ფეხბურთელი. თუ ამორტიზაციის გაანგარიშებული საფასური აღემატება ამორტიზაციის აღრიცხულ საფასურს, ან თუ ფეხბურთელის რეგისტრაციის გაანგარიშებული საფასური აღემატება ფეხბურთელის რეგისტრაციის აღრიცხულ საფასურს, შესაბამისი კორექტირება უნდა იქნას შეტანილი ისე, რომ სხვაობა აღიარდეს განახლებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) კლუბმა, რომელმაც გაასხვისა ფეხბურთელის რეგისტრაცია, უნდა გამოთვალოს ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლიდან მიღებული შემოსავლები – ფეხბურთელის რეგისტრაციის გასვლის შედეგად მიღებული მოგებისთვის (კლუბებისთვის, რომლებიც ფეხბურთელთა რეგისტრაციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის იყენებენ კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდს), ან ფეხბურთელის რეგისტრაციიდან მიღებული შემოსავლისთვის (კლუბებისთვის, რომლებიც ფეხბურთელთა რეგისტრაციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის იყენებენ შემოსავლისა და ხარჯის აღრიცხვის მეთოდს) — შემდეგი თანხებიდან ყველაზე დაბალის გამოყენებით:

i) რეგისტრაციის გასვლიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავალი;

ii) წმინდა საბალანსო ღირებულება მოთამაშის ფინანსურ ანგარიშგებაში რეგისტრაციის ღირებულებასთან მიმართებაში.

გ) თუ რეგისტრაციის გასვლიდან მიღებული გაანგარიშებული მოგება უფრო დაბალია, ვიდრე გასვლიდან მიღებული აღრიცხული მოგება, ან ფეხბურთელის რეგისტრაციიდან მიღებული გაანგარიშებული შემოსავალი უფრო დაბალია, ვიდრე ფეხბურთელის რეგისტრაციიდან მიღებული აღრიცხული შემოსავალი, შესაბამისი კორექტირება უნდა იქნას შეტანილი ისე, რომ სხვაობა აღიარდეს განახლებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ბუღალტრული აღრიცხვის ზემოაღნიშნული მოთხოვნები ანალოგიურად ვრცელდება სხვა პერსონალზე (მაგ. მთავარ მწვრთნელზე), ასევე გასვლიდან მიღებულ შემოსავალსა და სხვა კლუბისთვის გადახდილ საფასურებზე.

D - ფეხბურთელის რეგისტრაციის დროებით ტრანსფერთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები

1. ქვემოთ ჩამოყალიბებულია ბუღალტრული აღრიცხვის მინიმალური მოთხოვნები ლიცენზიის იმ მაძიებლებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ოპერაციები ფეხბურთელის რეგისტრაციის დროებით ტრანსფერთან (სესხთან) დაკავშირებით:

2. მიღებული/გადახდილი სესხის საკომისიო უნდა აისახოს, როგორც ფეხბურთელის ტრანს–ფერთან დაკავშირებული შემოსავალი/ხარჯი (ფეხბურთელის ტრანსფერის შემოსავალი/ხარჯი).

3. გამსესხებელი კლუბის მიერ ახალ კლუბზე გაცემული ფეხბურთელის სესხი, ფეხბურთელის რეგისტრაციის ყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულების/არჩევანის უფლების გარეშე:

ა) გამსესხებელი კლუბის მიერ მიღებული/მისაღები სესხის საკომისიო, თუ ასეთი არსებობს, უნდა აღიარდეს, როგორც შემოსავალი სასესხო ხელშეკრულების ვადის

განმავლობაში. გამსესხებელმა კლუბმა თავის ბალანსში უნდა გააგრძელოს ფეხბურთელის რეგისტრაციის თავდაპირველი დანახარჯების აღიარება არამატერიალური აქტივის სახით და აქტივის თვითღირებულება სისტემატურ საფუძველზე გაანაწილოს, როგორც ამორტიზაციის ხარჯი ფეხბურთელის კონტრაქტის მთელი ვადის განმავლობაში.

ბ) ახალი კლუბის მიერ გადახდილი/გადასახდელი სესხის საკომისიო, თუ ასეთი არსებობს, უნდა აღიარდეს როგორც ხარჯი სასესხო ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში. თუ ფეხბურთელის ხელფასის ვალდებულება ახალ კლუბს აქვს აღებული, ის უნდა აღიარდეს, როგორც დაქირავებული პირის გასამრჯელოს ხარჯი ფეხბურთელის სესხის ვადის განმავლობაში.

4. გამსესხებელი კლუბის მიერ ახალ კლუბზე გაცემული ფეხბურთელის სესხი, ფეხბურთელის რეგისტრაციის ყიდვის უპირობო სახელშეკრულებო ვალდებულებით:

ა) გამსესხებელმა კლუბმა სესხი უნდა ასახოს, როგორც მუდმივი ტრანსფერი და ფეხბურთელის რეგისტრაციის უფლებების აღიარება უნდა შეწყდეს მის არამატერიალურ აქტივებში. შემოსულობა სესხიდან და მომავალი მუდმივი ტრანსფერიდან უნდა აღიარდეს სასესხო ხელშეკრულების დაწყების თარიღიდან.

ბ) სესხთან და მომავალ მუდმივ ტრანსფერთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები უნდა აღიაროს ახალმა კლუბმა, ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივად შეძენისთვის განკუთვნილი სააღრიცხვო მოთხოვნების შესაბამისად.

5. გამსესხებელი კლუბის მიერ ახალ კლუბზე გაცემული ფეხბურთელის სესხი, ფეხბურთელის რეგისტრაციის ყიდვის არჩევანის (სახელშეკრულებო) უფლებით:

ა) ეს ოპერაცია გამსესხებელმა კლუბმა უნდა ასახოს, როგორც სესხი მანამადე, სანამ ახალი კლუბი არ გამოიყენებს (ყიდვის) არჩევანის უფლებას. როდესაც აღსრულდება არჩევანის უფლება, სესხთან დაკავშირებული დარჩენილი შემოსულობა და ფეხბურთელის რეგისტრაციის მომავალ მუდმივ ტრანსფერთან დაკავშირებული შემოსულობა უნდა აღიარდეს ფეხბურთელის რეგისტრაციის სამუდამო გასვლისთვის განკუთვნილი სააღრიცხვო მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) როდესაც ახალი კლუბი გამოიყენებს ყიდვის არჩევანის უფლებას, სესხთან დაკავშირებული დარჩენილი დანახარჯები და ასევე ფეხბურთელის რეგისტრაციის მომავალ მუდმივ ტრანსფერთან დაკავშირებული დანახარჯები ახალმა კლუბმა უნდა აღიაროს ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივად შეძენისთვის განკუთვნილი სააღრიცხვო მოთხოვნების შესაბამისად.

6. გამსესხებელი კლუბის მიერ ახალ კლუბზე გაცემული ფეხბურთელის სესხი, ფეხბურთელის რეგისტრაციის ყიდვის პირობითი ვალდებულების შემთხვევაში:

ა) თუ მიიჩნევა, რომ ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო პირობის შესრულება ფაქტობრივად უდავოა, მაშინ ფეხბურთელის რეგისტრაცია უნდა აღიაროს ორივე კლუბმა, როგორც მუდმივი ტრანსფერი, სასესხო ხელშეკრულების დაწყების თარიღიდან.

ბ) თუ სესხის დაწყებისას საკმარისად დარწმუნებით შეუძლებელია იმის შეფასება, რომ შესრულდება სახელშეკრულებო პირობა, რომელიც იწვევს ფეხბურთელის რეგისტრაციის მუდმივ ტრანსფერს, მაშინ ფეხბურთელის რეგისტრაცია თავდაპირველად უნდა აღიარდეს, როგორც სესხი და შემდგომში როგორც მუდმივი ტრანსფერი, როგორც კი ეს პირობა შესრულდება.

7. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა შეიტანოს შემდეგი კორექტივები ფეხბურთელის რეგისტრაციის დროებით ტრანსფერთან დაკავშირებით ორ კლუბს შორის, რომლებიც წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს:

ა) კლუბმა, რომელმაც დროებით შეიძინა ფეხბურთელის რეგისტრაცია, უნდა გამოთვალოს ფეხბურთელთან დაკავშირებული ხარჯი საანგარიშო პერიოდისთვის, შემდეგი თანხებიდან ყველაზე მსხვილის გამოყენებით:

i) ტრანზაქციის ფაქტობრივი ღირებულება საანგარიშო პერიოდში;

ii) ამორტიზაციის საფასურის მთლიანი თანხა ფეხბურთელის რეგისტრაციასთან მიმართებაში და თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები ფეხბურთელთან მიმართებაში სესხის პერიოდში, როგორც ეს აღრიცხულია იმ კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელმაც დროებით გაუშვა მოთამაშე. თუ გაანგარიშებული ხარჯი აღემატება აღრიცხულ ხარჯს, შესაბამისი კორექტირება უნდა იქნას შეტანილი ისე, რომ სხვაობა აღიარდეს განახლებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) კლუბმა, რომელმაც დროებით გაასხვისა ფეხბურთელის რეგისტრაცია, უნდა გამოითვალოს ფეხბურთელთან დაკავშირებული შემოსავალი საანგარიშო პერიოდისთვის, შემდეგი თანხებიდან ყველაზე დაბალის გამოყენებით:

i) საანგარიშო პერიოდში ტრანზაქციიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავალი;

ii) ამორტიზაციის საფასურის მთლიანი თანხა ფეხბურთელის რეგისტრაციასთან მიმართებაში და თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები ფეხბურთელთან მიმართებაში სესხის პერიოდში, როგორც ეს აღრიცხულია იმ კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელმაც დროებით გაუშვა მოთამაშე.

თუ გაანგარიშებული შემოსავალი უფრო დაბალია, ვიდრე აღრიცხული შემოსავალი, შესაბამისი კორექტირება უნდა იქნას შეტანილი ისე, რომ სხვაობა აღიარდეს განახლებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

E - ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები ხარჯების კონკრეტული მუხლებისთვის

1. დაქირავებულ პირთა წახალისების/პრემიის ხარჯი

ა) სუბიექტის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ანაზღაურება დაქირავებული პირის მიერ გაწეული მომსახურებისთვის, მათ შორის ნებისმიერი სახის პრემია და წამახალისებელი თანხა, როგორიცაა საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული ანაზღაურება, კონტრაქტის დადებისას ფეხბურთელზე გასაცემი საზღაური და ლოიალობის წამახალისებელი თანხა უნდა აისახოს, როგორც მომუშავის გასამრჯელოს ხარჯი.

ბ) პრემია ან/და წამახალისებელი გადასახდელები, რომლებიც სრულად კლუბის მიერ არის გადასახდელი ამა თუ იმ პირისთვის, ყოველგვარი დამატებითი პირობის ან მომსახურების ვალდებულების გარეშე (ე.ი. კლუბს არა აქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ უნდა გასცეს ეს თანხა) უნდა აღიარდეს, როგორც დაქირავებული პირის გასამრჯელოს ხარჯი, წარმოშობისთანავე.

გ) პრემია ან/და წამახალისებელი გადასახდელები, რომლებიც დამოკიდებულია გარკვეული სამომავლო პირობის შესრულებაზე ფეხბურთელის ან/და კლუბის მხრიდან, როგორიცაა, მაგალითად ფეხბურთელის მონაწილეობა მატჩებში ან/და საკლუბო შეჯიბრების შედეგები, უნდა აღიარდეს, როგორც დაქირავებული პირის გასამრჯელოს ხარჯი იმ მომენტში, როდესაც ეს პირობა დაკმაყოფილდება, ან მისი შესრულება მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი.

დ) ფეხბურთელებისთვის განკუთვნილი წამახალისებელი გადასახდელები ან/და პრემია, რომელიც გადასახდელია შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას ან/და ვადის გაგრძელებისას, რომელიც მოიცავს რაიმე პირობას ან მომსახურების ვალდებულებას, უნდა აღიარდეს სისტემატურ საფუძველზე შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

2. დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული გასამრჯელო:

კლუბმა დაქირავებული პირის შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული გასამრჯელო სრულად უნდა აღიაროს, როგორც ხარჯი მაშინ, როდესაც კლუბს უკვე აღარ შეეძლება ამ გასამრჯელოს შეთავაზებაზე უარის თქმა.

F - ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები ამონაგების კონკრეტული მუხლებისთვის

1. *ამონაგები სეზონური აბონემენტებიდან და სხვა ანალოგიური ამონაგები*

სეზონური აბონემენტების გაყიდვასთან დაკავშირებული ამონაგები, ან ანალოგიური ამონაგები, რომელიც მიიღება მატჩთან დაკავშირებული გაყიდვებიდან, უნდა აღიარდეს პროპორციულად იმ მომენტში, როდესაც მოცემული პერიოდის განმავლობაში ჩატარდება შესაბამისი მატჩები.

2. *ამონაგები ტრანსლაციის უფლებებიდან ან/და ფულადი პრიზების სახით მიღებული ამონაგები*

ა) ამონაგები ტრანსლაციის უფლებებიდან ან/და ამა თუ იმ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის მისაღები სხვა სახის ანაზღაურება, რომელიც ფიქსირებულია, უნდა აღიარდეს პროპორციულად იმ მომენტში, როდესაც მოცემული პერიოდის განმავლობაში ჩატარდება შესაბამისი მატჩები.

ბ) ამონაგები ტრანსლაციის უფლებებიდან ან/და ამა თუ იმ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის მისაღები სხვა სახის ანაზღაურება, რომლის ოდენობა ცვალებადია და დამოკიდებულია კლუბის მიერ გარკვეული პირობების შესრულებაზე (როგორიცაა შეჯიბრების შედეგებზე დამოკიდებული პრემიები) უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც შესრულდება შეჯიბრების შედეგებთან დაკავშირებული ვალდებულებები.

3. *სპონსორობა და სარეკლამო ამონაგები*

ა) სპონსორობის უფლებებსა და რეკლამასთან დაკავშირებული ამონაგები, რომელიც ფიქსირებულ ანაზღაურებას წარმოადგენს, უნდა აღიარდეს პროპორციულად სპონსორობის უფლებების ან/და სარეკლამო შეთანხმებით მოცული მთელი პერიოდის განმავლობაში.

ბ) სპონსორობის უფლებებსა და რეკლამასთან დაკავშირებული ამონაგები, რომელიც

ცვალებად ანაზღაურებას წარმოადგენს და მისი ოდენობა დამოკიდებულია კლუბის მიერ გარკვეული პირობების შესრულებაზე (როგორიცაა შეჯიბრების შედეგებზე დამოკიდებული პრემიები), უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც შესრულდება (შეჯიბრების) შედეგებთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ) სპონსორობის ან/და სარეკლამო შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი არაფულადი ანაზღაურება უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით.

4. *შემოწირულობები და გრანტები/სუბსიდიები*

ა) შემოწირულობა არის კომპენსაციის/ანაზღაურების სახით მიღებული უპირობო საჩუქარი, რომელიც მიღებისას უნდა აღიარდეს, როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

ბ) გრანტები/სუბსიდიები არ უნდა აღიარდეს კლუბის ანგარიშებში მანამ, სანამ არ იარსებებს გონივრული/დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ კლუბი დააკმაყოფილებს გრანტის/სუბსიდიის მიღების პირობებს და მიიღებს გრანტს/სუბსიდიას. შემდეგ, გრანტი/სუბსიდია მოგებასა და ზარალში უნდა აღიარდეს სისტემატურ საფუძველზე იმ საანგარიშო პერიოდების განმავლობაში, რომლებშიც კლუბი ხარჯად აღიარებს შესაბამის დანახარჯებს, რომლის კომპენსაციისთვისაც გამიზნული იყო მოცემული გრანტი/სუბსიდია. ამგვარად, კონკრეტულ ხარჯებთან დაკავშირებული გრანტები მოგებასა და ზარალში აღიარდება იმავე საანგარიშო პერიოდ(ებ)ში, რომელშიც აღიარდება შესაბამისი ხარჯები. ანალოგიურად, ცვეთად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები/სუბსიდიები მოგებასა და ზარალში აღიარდება იმავე საანგარიშო პერიოდ(ებ)ში, რომელშიც აღიარდება ეს აქტივები და ამასთან ისეთი პროპორციით, როგორც აქტივებს ერიცხებათ ცვეთა (ცვეთის ხარჯი). Gრანტი/სუბსიდია, რომელსაც სუბიექტი იღებს კომპენსაციის სახით უკვე გაწეული ხარჯების ან მიღებული ზარალისთვის, ან გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით და მასთან დაკავშირებული არ არის მომავალში გასაწევი დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებასა და ზარალში, როდესაც ის დაექვემდებარება მიღებას.

G - ფინანსური ინფორმაცია ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებზე

1. ლიცენზიის მაძიებლებმა უნდა ამოკრიბონ მონაცემები ფინანსური ანგარიშგებიდან ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით (იხ. მე–16 მუხლი, ზემოთ) და ლიცენზიარს წარუდგინონ ფინანსური ინფორმაცია ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების შესახებ, რომელიც დადასტურებული იქნება აუდიტორის მიერ.

2. ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ზემოთ, 1–ლი პუნქტით, უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ ხარჯებს:

ა) გასამრჯელოები/ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული აფგ პროგრამაში;

ბ) თანამშრომლების გასამრჯელოები/ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18–წლამდე);

გ) საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები;

დ) სამედიცინო დანახარჯები;

ე) სწავლის გადასახადი;
ვ) მგზავრობა (მივლინება);
ზ) სადღეღამისო დანახარჯები (მივლინების);
თ) სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი;
ი) სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის დანახარჯი;
კ) ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი;
ლ) ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები.

დანართი VII. „ვადაგადაცილებული ვალდებულების“ ცნება

A - პრინციპები

1. კრედიტორული დავალიანება ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, თუ მისი გადახდა არ მოხდა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ან სამართლებრივად დადგენილ ვადებში.

2. კრედიტორული დავალიანება არ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად წინამდებარე დებულებების მიზნებისთვის, თუ ლიცენზიის მაძიებელს/ლიცენზირებულს (ე.ი. დებიტორს) შეუძლია დაასაბუთოს, რომ 15 ოქტომბრისთვის (69-72-ე მუხლებთან მიმართებით):

   ა) შესაბამისი თანხა იქნა გადახდილი, ანუ სრულად გადახდილი ან მოვალის მიმართ კრედიტორის ვალდებულებებით ურთიერთგადაფარული; ან

   ბ) შესაბამისი თანხის გადახდის ვადა იქნა გაგრძელებული (წინამდებარე დებულებებში მოიხსენიება, როგორც „გადავადებული თანხები“), ე.ი. კრედიტორთან დაიდო წერილობითი ხელშეკრულება გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ (კრედიტორის მიერ თანხის გადახდის არ მოთხოვნა არ წარმოადგენს ვადის გაგრძელებას); ან

   გ) შესაბამისი თანხა ექვემდებარება სარჩელს ან ღია სამართალწარმოებას (წინამდებარე დებულებებში მოიხსენიება, როგორც „სადავო თანხა“), რაც იმას ნიშნავს, რომ:

      i) ამ ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან დაკავშირებით, მოვალეს საქმე აქვს აღძრული ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ სათანადო უფლებამოსილ ორგანოში, ან ფეხბურთის ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოებში, ან სათანადო საარბიტრაჟო სასამართლოში; თუმცა, თუ ლიცენზიარის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები მიიჩნევს, რომ ამგვარი სარჩელი ან სასამართლო საქმე მხოლოდ წინამდებარე დებულებებით განსაზღვრული საბოლოო ვადებისთვის თავის არიდების მიზნით არის შეტანილი ან აღძრული (ე.ი. „დროის მოსაგებად“), კრედიტორული დავალიანების თანხა მაინც ვადაგადაცილებულ დავალიანებად მიიჩნევა; ან

      ii) მოვალეს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ სათანადო უფლებამოსილ ორგანოში, ეროვნულ ან საერთაშორისო ფეხბურთის ორგანოებში ან შესაბამის არბიტრაჟში საპასუხო სარჩელი აქვს შეტანილი ან სასამართლო საქმე აქვს აღძრული კრედიტორის წინააღმდეგ, რომელმაც ვადაგადაცილებულ კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი ან აღძრა საქმე და შეუძლია ლიცენზიარის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს დაუსაბუთოს, რომ ჩამოყალიბებული აქვს საპასუხო სარჩელის მიზეზები; თუმცა, თუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები საპასუხო სარჩელის შეტანის მიზეზებს მიიჩნევენ აშკარად უსაფუძვლოდ, თანხა ჩაითვლება ვადაგადაცილებულად; ან

   დ) შესაბამისი თანხის ანგარიშსწორება მოლოდინის რეჟიმშია (წინამდებარე დებულებებში მოიხსენიება, როგორც „მოლოდინის რეჟიმში არსებული თანხები“), რაც იმას ნიშნავს, რომ:

i) მოვალემ წერილობით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართა კომპეტენტურ ორგანოს სოციალური/საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელების გადახდის ვადის გასაგრძელებლად (როგორც ეს აღწერილია 71-ე მუხლში), ხოლო კომპეტენტურმა ორგანომ წერილობით დაადასტურა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მიჩნეულია დასაშვებად და 15 ოქტომბრის მდგომარეობით ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმში იმყოფება (71-ე მუხლის მიმართებაში); ან

ii) მოვალეს შეუძლია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს დაუსაბუთოს, რომ გატარდა ყველა გონივრული ზომა, ფეხბურთელთა წვრთნის კომპენსაციისა და სოლიდარობის გადასახადის (როგორც ეს განსაზღვრულია **ფიფა**-ს ან/და **სფფ**-ის დებულებებში „ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ“) ოდენობის დასადგენად და კრედიტორი კლუბ(ებ)ისთვის ამ თანხის გადასახდელად.

3. ზემოთ, 2.ბ) პუნქტით განსაზღვრული საშეღავათო პირობა კრედიტორებთან შეთანხმების შესახებ, დებულებების 72-ე მუხლთან დაკავშირებით, არ შეეხება ლიცენზირების მიზნებისთვის დადგენილ ანგარიშგების თარიღამდე ორი წლის წინ/ან უფრო ადრე წარმოქმნილ ვალდებულებებს

დანართი VIII. ლიცენზიარისა და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩასატარებელი შეფასების პროცედურები

A - პრინციპები

1. ლიცენზიარი განსაზღვრავს შეფასების პროცედურებს, ლიცენზიის მაძიებელი ყველა კლუბის თანასწორი უფლების უზრუნველყოფით. იგი აფასებს კლუბების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, განიხილავს მათ შესაბამისობას და საკუთარი საფუძვლიანი დამაჯერებლობისთვის განსაზღვრავს, ლიცენზიის გასაცემად შესრულდა თუ არა თითოეული კრიტერიუმი და არის თუ არა საჭირო დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

2. მე-9 მუხლში განსაზღვრული პირობების შესრულების შემოწმების პროცედურები მოიცავს შემოწმების სფეციფიკურ ქმედებებს, რომელიც უნდა განხორციელდეს ლიცენზიარის მიერ იმგვარად, როგორც ქვემოთაა ჩამოყალიბებული.

B - ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის შეფასება

1. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ლიცენზიარმა უნდა ჩაატაროს შეფასების შემდეგი მინიმალური პროცედურები:

   ა) შეაფასოს, წარმოდგენილი საანგარიშგებო პერიმეტრი მისაღებია თუ არა კლუბების ლიცენზირების პროცესისთვის;
   ბ) შეაფასოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რათა ჩამოაყალიბოს სალიცენზიო გადაწყვეტილების საფუძველი.
   გ) წაიკითხოს და გაითვალისწინოს ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა მის შესახებ;
   დ) ყურადღება გაამახვილოს აუდიტორული დასკვნის და/ან შემოწმების მოდიფიკაციებზე (შეადაროს იგი უპირობო აუდიტორული დასკვნის სტანდარტულ ფორმას) და/ან შეუდაროს ნაკლოვანებები აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის ასახვისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, ქვემოთ, მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. შეფასებული ექნება რა ანგარიშგების პერიმეტრი და გაეცნობა რა ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას, ლიცენზიარმა შეფასება უნდა განახორციელოს შემდეგი პოზიციიდან:

   ა) თუ ანგარიშგების პერიმეტრი არ აკმაყოფილებს 65-ე მუხლის მოთხოვნებს, ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას.
   ბ) თუ აუდიტორის დასკვნას უპირობო დასკვნა აქვს ყოველგვარი მოდიფიკაციის გარეშე, ეს ქმნის დამაკმაყოფილებელ საფუძველს **უეფა**-ს ლიცენზიის გასაცემად.
   გ) თუ აუდიტორის დასკვნაში აუდიტორი უარს აცხადებს დასკვნის გამოთქმაზე ან მისი მოსაზრება უარყოფითია, **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ შემდგომში ისეთი დასკვნა არ იქნება წარმოდგენილი (იმავე ფინანსური წლის სხვა

ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს), სადაც აუდიტორული მოსაზრება არ არის უარყოფითი ან აუდიტორი უარს არ აცხადებს თავისი მოსაზრების გამოთქმაზე და ლიცენზიარი არ დაკმაყოფილდება შემდგომი აუდიტორული დასკვნით.

დ) თუ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებით აუდიტორის დასკვნას დაერთვის მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი ან პირობითი „გარდა“ დასვკნა, **UEFA**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ:

i. იმავე ფინანსურ წელთან დაკავშირებული შემდგომი აუდიტორული დასკვნა თავისუფალი არ იქნება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ან პირობითობისგან; ან

ii. წარმოდგენილი არ იქნება დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს, სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დამთავრებამდე მაინც და ამ მტკიცებულებებს დამაკმაყოფილებლად არ შეაფასებს ლიცენზიარი. დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები მოიცავს 73-ე მუხლში (პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია) აღწერილ ინფორმაციას, მაგრამ არ არის აუცილებელი, შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ამ ინფორმაციით.

ე) თუ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გარდა რომელიმე სხვა საკითხთან დაკავშირებით აუდიტორის დასკვნას მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი დაერთვის ან პირობითი „გარდა“ დასვკნა აქვს გამოხატული, მაშინ ლიცენზიარმა უნდა განიხილოს დასკვნის მოდიფიცირების გავლენა კლუბების ლიცენზირების მიზნების გათვალისწინებით. **UEFA**-ს ლიცენზიის გაცემაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ წარმოდგენილი არ იქნება დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები და ამ მტკიცებულებებს დამაკმაყოფილებლად არ შეაფასებს ლიცენზიარი. დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლის მოთხოვნა შეუძლია ლიცენზიარს, დამოკიდებული იქნება აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების მიზეზზე.

ვ) თუ აუდიტორის დასკვნაში მიეთითება 64-ე მუხლში განსაზღვრული რომელიმე სიტუაცია, ლიცენზიაზე უარი უნდა ითქვას.

3. თუ ლიცენზიის მაძიებელი წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, ან/და განახლებულ ფინანსური ანგარიშგებებს ,ლიცენზიარმა დამატებით უნდა შეაფასოს ამ დამატებით ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებულ შეთანხმებულ პროცედურებზე გაცემული აუდიტორის დასკვნა. UEFA **UEFA**-ს ლიცენზიაზე შეიძლება ეთქვას უარი, თუ აუდიტორის ანგარიში არ დააკმაყოფილებს ლიცენზიარს ან/და თუ მოცემული იქნება მითითება შეცდომებზე ან/და გამონაკლისებზე.

4. ლიცენზიარმა უნდა შეამოწმოს, რომ ლიცენზიის მაძიებელმა გამოაქვეყნა ფინანსური ინფორმაცია 67-ე მუხლის შესაბამისად.

C - წმინდა კაპიტალის წესისთვის სალიცენზიო დოკუმენტაციის შეფასება

ეს ნაწილი არ ვრცელდება ᲫᲐᲚᲗᲐ კლუბების ლიცენზირებაზე

წმინდა კაპიტალის წესთან დაკავშირებით, ლიცენზიარმა უნდა შეასრულოს შეფასების შემდეგი მინიმალური პროცედურები:

ა) განსაზღვროს წმინდა კაპიტალის პოზიცია ლიცენზიარისთვის განაცხადის წარდგენის ბოლო ვადის წინა 31 აგვისტოს მდგომარეობით;

ბ) შესაძლებლობის შემთხვევაში შეაფასოს, აკმაყოფილებს თუ არა სუბორდინირებული სესხები მოთხოვნილ პირობებს;

გ) თუ წმინდა კაპიტალის პოზიცია ლიცენზიარისთვის განაცხადის წარდგენის ბოლო ვადის წინა 31 აგვისტოს მდგომარეობით უარყოფითია, შეაფასეთ, გაუმჯობესდა თუ არა ის მინიმუმ 10%-ით წმინდა კაპიტალის პოზიციასთან შედარებით, რომელმაც წინა წელს საშუალება მისცა ლიცენზიის მაძიებელს, დაეკმაყოფილებინა წმინდა კაპიტალის წესი;

დ) თუ კაპიტალის წესი არ არის შესრულებული ლიცენზიარისთვის განაცხადის წარდგენის ბოლო ვადის წინა 31 აგვისტოს მდგომარეობით, შეაფასეთ, წარადგინა თუ არა ლიცენზიის მაძიებელმა არაუგვიანეს 15 ოქტომბრამდე ახალი აუდიტირებული ბალანსი, მათ შორის 31 აგვისტოს შემდეგ განხორციელებული შენატანები, რომელიც აჩვენებს, რომ წმინდა კაპიტალის პოზიცია გაუმჯობესდა მინიმუმ 10%-ით წმინდა კაპიტალის პოზიციასთან შედარებით, რომელმაც წინა წელს საშუალება მისცა ლიცენზიის მაძიებელს, დაეკმაყოფილებინა წმინდა კაპიტალის წესი.

D - ვადაგადაცილებული ვალდებულებისთვის სალიცენზიო დოკუმენტაციის შეფასება

1. საფეხბურთო კლუბების, თანამშრომლებისა და სოციალური/საგადასახადო ორგანოების მიმართ „ვადაგადაცილებული გადასახდელების გარეშე“ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, დამოუკიდებელმა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ შეფასების პროცედურები ISRS 4400-ის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, ლიცენზიარმა უნდა შეაფასოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია (კერძოდ, გადასახდელების ცხრილები და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები) და განიხილოს აუდიტორის დასკვნა. ლიცენზიარს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი დამატებითი შეფასება, რომელსაც იგი ჩათვლის საჭიროდ, მათ შორის ნიმუშის გაფართოებით ან ლიცენზიის მაძიებლისგან დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულების მოთხოვნით.

2. შემდეგი მინიმალური პროცედურები უნდა იყოს შესრულებული და აღწერილი აუდიტორის ანგარიშში:

ა) მოპოვებული იყოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ 15 ოქტომბრის მდგომარეობით წარდგენილი გადასახდელების ცხრილები, რომლებიც ეხება 31 აგვისტომდე გადასახდელ ვალდებულებებს (ე.ი. ტრანსფერების ცხრილი, დასაქმებულთა ცხრილი,

სოციალური/საგადასახადო ცხრილი და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები);

ბ) განხორციელდეს აუცილებელი ნაბიჯები (მათ შორის, განისაზღვროს შერჩევის ზომა), რათა შეფასდეს აღრიცხული ნაშთების სისრულე და სიზუსტე და გაიცეს დასკვნა თითოეულ შესრულებულ პროცედურასთან დაკავშირებით;

გ) შემოწმდეს ლიცენზიის მაძიებლის მიერ 31 აგვისტოს მდგომარეობით აღრიცხული ვადაგადაცილებული ნაშთის სისრულე;

დ) შემოწმდეს 31 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე ვადაგადაცილებული დავალიანებების დაფარვა; და

ე) მოხდეს 15 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული ნებისმიერი ვადაგადაცილებული ნაშთის იდენტიფიცირება.

3. **უეფა**-სა და ლიცენზიარის მიმართ „ვადაგადაცილებული გადასახდელების გარეშე“ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ლიცენზიარმა უნდა შეასრულოს, სულ მცირე, შეფასების შემდეგი პროცედურები:

ა) გადახედოს **უეფა**-სგან მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას ლიცენზირის აფილირებული კლუბების მიერ გადასახდელ, ვადაგადაცილებულ თანხებთან დაკავშირებით და შეამოწმოს ნებისმიერი ვადაგადაცილებული ბალანსის დაფარვა 31 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე; და

ბ) განახორციელოს ნებისმიერი დამატებითი შეფასება და მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულება ლიცენზიის მაძიებლისგან, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ.

E - ხელმძღვანელობის წერილობითი რწმუნებულებების შეფასება სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღებამდე

1. ხელმძღვანელობის წერილობით რწმუნებულებებთან დაკავშირებით, ლიცენზიარმა უნდა წაიკითხოს და განიხილოს კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმებთან დაკავშირებით მომხდარი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების ზეგავლენა.

2. ლიცენზიარმა ასევე უნდა წაიკითხოს და განიხილოს ინფორმაცია დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის ნებისმიერი მოვლენის შესახებ, ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციასთან და სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად.

3. ლიცენზიარმა უნდა შეაფასოს კლუბის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც მინიმუმ, სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე. **უეფა**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, ლიცენზიარს მიაჩნია, რომ ლიცენზიის მაძიებელი ვერ შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დამთავრებამდე.

4. თუ ლიცენზიის მაძიებელი ან ანგარიშგების პერიმეტრში ჩართული ლიცენზიის მაძიებლის ნებისმიერი სათავო კომპანია ითხოვს/ითხოვდა ან მიიღო დაცვა თუ ჯერაც იცავს თავს კრედიტორებისგან კანონმდებლობის ან სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად სალიცენზიო სეზონის წინ 12 თვის განმავლობაში, მას ლიცენზიაზე უარი უნდა ეთქვას.

ლიცენზიაზე უარი ეთქმის იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი საწარმო აღარ იღებს დაცვას კრედიტორებისგან სალიცენზიო გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

F - პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შეფასება

ეს ნაწილი არ ეხება ᲥᲐᲚᲗᲐ კლუბების ლიცენზირებას

1. ლიცენზიარმა უნდა შეაფასოს, აკმაყოფილებს თუ არა ლიცენზიის მაძიებელი 73-ე მუხლით განსაზღვრულ მდგომარეობას.

2. დამოუკიდებელმა აუდიტორმა უნდა განახორციელოს პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შეფასება ISRS 4400-ის შესაბამისად. აღნიშნული შეფასება უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ პროცედურებს:

   ა) პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის არითმეტიკული სისწორის შემოწმებას;
   ბ) ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობასთან ერთად საკითხების განხილვისა და პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის საფუძველზე იმის დადგენას, მომზადებული იყო თუ არა ეს ფინანსური ინფორმაცია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღწერილი დაშვებებისა და რისკების გათვალისწინებით;
   გ) იმის შემოწმებას, შეესაბამება თუ არა პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციაში ასახული საწყისი ნაშთები უშუალოდ წინა პერიოდის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ საბალანსო უწყისის საბოლოო ნაშთებს; და
   დ) იმის შემოწმებას, არის თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მაძიებლის აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ამ მხრივ, ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობამ უნდა განაცხადოს, რომ წარდგენილი დოკუმენტები არის სრული, ზუსტი, და შეესაბამება წინამდებარე დებულებებს.

   ე) საჭიროების შემთხვევაში: შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლა, მაგალითად, სასპონსორო ხელშეკრულებები, საბანკო ხელშეკრულებები, კაპიტალის გაზრდა, საბანკო გარანტიები და დამფუძნებელთა/პარტნიორთა შეხვედრების ოქმები.

3. აუდიტორმა უნდა შეაფასოს ლიცენზიის მაძიებლის ლიკვიდობა (ე.ი. მისთვის ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების არსებობა, ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით) და მისი შესაძლებლობა, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე მაინც. ლიცენზიარმა უნდა განიხილოს აუდიტორის დასკვნა. მან შეიძლება ჩაატაროს შეფასების დამატებითი პროცედურები, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ და/ან ლიცენზიის მაძიებლისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტური დადასტურებების წარმოდგენა. ლიცენზიარი ასევე აფასებს კლუბის შესაძლებლობას, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე მაინც.

4. **ᲣᲔᲤᲐ**-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა ითქვას, თუ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, ლიცენზიარს მიაჩნია, რომ ლიცენზიის მაძიებელი ვერ შეძლებს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას მათი გადახდის ვადის დადგომისას და საქმიანობის გაგრძელებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე მაინც.

დანართი IX. ლიცენზირების მოთხოვნები სათადარიგო გუნდებისთვის

კლუბის სათადარიგო გუნდის ლიცენზირებად ლიგაში მონაწილეობისთვის თავად მფლობელი კლუბი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი ლიგისთვის წინამდებარე დებულებებით დადგენილ კრიტერიუმებს. ამას გარდა, ზემოთ მუხ. 1.2 შესაბამისად, კლუბების სათადარიგო გუნდებს ლიცენზირებად ლიგებში მონაწილეობისთვის მოეთხოვებათ უშუალოდ გუნდისთვის განსაზღვრული დამატებითი კრიტერიუმების შესრულება, იმ რანგით, როგორც კლასიფიცირებულია მუხ. 15-ში, შესაბამისი ლიგის ლიცენზიისთვის, კერძოდ, მათ უნდა დააკმაყოფილონ „თავი IV — კლუბების ლიცენზირების კრიტერიუმები“ ნაწილში განსაზღვრული შემდეგი მუხლები: 19.1, 20.1, 21, 23.1, 31, 32, 40, 41, 44, 47, 48, 49, 50, 54, 54[1], 55, 57, 58.

კლუბების დისციპლინირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაცია

lu@gff.ge
www.gff.ge